

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

# ეტიმოლოგიური ძიებანი XVII

ექლვნება თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტის ღვაწლმოსილი  
თანამშრომლის ირინე ასათიანის  
ნათელ ხსოვნას

თბილისი  
2020

**UDC (uak)81373.6(0512)**

ე-871

**„ეტიმოლოგიური ძიებანი“** ქართული და სხვა ქართველური ენების ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისადმი მიძღვნილი თემატური კრებულია.

კრებული 1987 წელს დაფუძნდა **აკად. ქეთევან ლომთათიძის** ინიციატივით.

კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები, რომლებშიც ქართველურ ენათა ლექსიკური მასალის ანალიზისას მოხმობილია როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა სათანადო მასალა.

სარედაქციო კოლეგია:

**ნანა მაჭავარიანი**

**მურმან სუხიშვილი**

**მედეა დლონტი** (რედაქტორი)

**ვაჟა შენგელია**

**იზა ჩანტლაძე**

**მერაბ ჩუხუა** (მთავარი რედაქტორი)

**ზურაბ ჭუმბურიძე**

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

© თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**ISSN 1987-9946**

**ლექსიკურ ნასესხობათა წარმოგავლობისათვის  
ქართულ და დიდოურ ენებში<sup>1</sup>**

ქართველებსა და მათ მოსაზღვრვე დიდოელებს შორის მრავალსაუკუნოვანი მეზობლობისა და ისტორიული კონტაქტების შესახებ მეტ-ნაკლებად ცნობილია, რამაც სათანადო ენობრივი ასახვა ჰპოვა ამ ხალხთა ლექსიკურ საგანძურში. შეიძლება ითქვას, რომ საკვლევი ენები, არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ერთგვარად ადსტრატულია. მეტადრე ეს ითქმის კახურ და თუშურ დიალექტებზე, რომლებიც უშუალოდ ეკვროდნენ დიდოური ენის გავრცელების არეალს და შესაბამისი ენობრივი სისტემები ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე თანაარსებობდნენ. საყურადღებოა როგორც დომინანტური ქართული წყარო-ენიდან, ისე დიდოური მსესხებელი ენიდან შეთვისებულსახელთა გავრცელების, ფონეტიკური ადაპტაციისა და სემანტიკური გადააზრიანების თავისებურებანი, რომლებიც თავს, უპ. ყოვლისა, ზემოხსენებულ დიალექტებში იჩენენ. ამასთან ერთად, საკვლევ ენათა შორის ლექსიკური შეხვედრებისას სათანადო ნასესხობათა მიმართულების განსაზღვრისა და გენეზისის კვლევის დროს დგინდება ექვსი ძირითადი წესი, რომლებიც მკაფიოდ წარმოაჩენენ ინტერფერენციული პროცესების სპეციფიკას [გუდავა 1954: 701; არდოტელი 2018: 3-4].

ჩვენ ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში შევეხეთ „წილის“ აღმნიშვნელ სახელსქართული ენის მთის დიალექტებში (ხევს. **ჭაჭი**, თუშ. **ჭიჭი**, ფშ. **ჭაჭა**, **ჭადა**...) და გამოვავლინეთ მისი ნასესხობა უშუალოდ დიდოური ენებიდან [ზვიადაური 1997: 101-]. სწორედ ამ სახელის სესხების ფონოლოგიური კანონზომიერების (დიდ. **ქ**: ქართ. **ჭ**) ანალიზით, გაკვრით შევეხეთ და ერთ-ერთი ადრეული ნაშრომის

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: FR-18-3659).

სქოლიოში გამოთქვით ვარაუდი ხევს. **კუმზურა** („ხვიმირი“) და **ლოჯი** („ჭუჭყი“) ლექსემების დიდოური ენისაგან შესაძლო ნასესხობის შესახებ [არდოტელი 2009: 87, 160]. ეს ვარაუდი შემდგომმა სილრმისეულმა კვლევა-ძიებამ არ დაადასტურა.

კითხვა ისმის: როგორ უნდა მოვახდინოთ ენებში ნასესხობათა მიმართულების განსაზღვრა?

ეს პრობლემა განსაკუთრებით რთული გადასაჭრელია მაშინ, როცა სესხება რეალიზებულია ადრეულ ქრონოლოგიურდონეზე და, აქედან გამომდინარე, არქეტიპები ორსავე ფუძემენაში რეკონსტრუირდება [ტრუბეცკოი 1987: 45; ჩიქობავა 2008: 21-32...]. ამგვარ შემთხვევებში სიტყვის ისტორიის დადგენა ზოგჯერ ეტიმოლოგიზებისა და ძირ-ფუძეთა ფონოლოგიური სტრუქტურის გარკვევის გზით ხერხდება [ქურდიანი 2007: 552].

უნდა აღინიშნოს, რომ ზემომოყვანილლექსემებსადასტურებენ ძველსა თუახალ ქართულში და მის დიალექტებში. კერძოდ, ლექსემა **ხვიმირი** (<**ჭვიმირი**) ასე განიმარტება: „წისქვილის ქვის ზემოთ დაკიდებული ძირვიწრო ფიცრის ყუთი, საიდანაც მარცვლეული კრიჭაში ჩადის“ (ქეგლ VIII ტ. 1964, 1442). ეგვე სახელი დაახლოებით ანალოგიური სემანტიკით დასტურდება ძველ ქართულში: **ჯვმირი** „წისქვილის ნაწილი, სადაც მარცვლეულს ყრიან დასაფქვავად; საწყაო“ (სარჯვ. 1997, 576). ი. იმნაიშვილი ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში ამ სიტყვას ოდენ „საწყაოს“ მნიშვნელობასუძებნის– „ერთგვარი ჭურჭელი, პურეულის საწყაო“ (იმნ. 1986, 788). სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში **ჯვმირი** განიმარტება შემდეგნაირად: „დასაფარავი, გინა წისქვილის ხვარბლის ჩასაყარი“ (საბა 1993, 448). ნ. ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონში **ხვიმირა**-სა და **ხვიმირ**-ს სემანტიკურად ერთმანეთისაგან განარჩევს: 1) **ხვიმირა (ხუმირა)** „წისქვილის ქუათა ზედა დაკიდებული ფიცრის სახორბლე ჭურჭელი, რომლიდამაც ნელ-ნელა ჩამოდის ხორბალი ზედ მიკრულსა კრიჭასა შინა და მუნით ზევეითის ქვს პირსა შინა დასაფქვავად“; 2) **ხვიმირი** „დასაფარები რამე ჭურჭელი ფანოსივით, чух“ (ჩუბ. 1961, 468). ფაქტობრივ ანალოგიურ განმარტებას გვაწვდის დ. ჩუბინაშვილი (ჩუბ. 1984, 1743).

რაც შეეხება ქართული ენის დიალექტებს, აკ. შანიძეს მთის კილოებში დადასტურებული აქვს **ჯვიმირი** და მისი ფონეტიკური სახესხვაობანი: „**ჯვიმირი**, მთ., მოჭ., **ჯუმზური** ჯ., **ჯვიმზური** თ. წისქვილის სახორბლე. გადმოზრუნებულ პირამიდისავით ფიცრებისაგან გაკეთებული ძირ-ვიწრო და ძირ-ღია ჭურჭელი, რაშიც დასაფქველი მასალა (პური, ქერი, სიმინდი) იყრება და საიდანაც მარცვალი სარეკელას და ნაველას საშუალებით წისქვილის ქვაში ცვივა და იფქვება“ (შან. 1984, 470). მეტ-ნაკლებად მსგავსი ფორმები და განმარტებები დასტურდება მოგვიანო ხანის დიალექტურ ლექსიკონებში: „**ხვიმირი**-ი (ქართლ., რაჭ., ზ. აჭარ.) წისქვილის ნაწილია: პირამიდისებურად შეკრული ყუთი, რომელშიც დასაფქვავ მარცვალს ყრიან...“, ანდა: „**ხვიმირა** (ლექს.) მარცვლის ჩასაყრელი წისქვილში“ (ალ. ღლ. 1974, 750); „**ჯუმზური**-ი / **ჯუმზურა** კნინ. ხვიმირი“ (ჭინჭ. 2005, 1161); „**ჯვიმზურა** წისქვილის ის ნაწილი, სადაც საფქვავს ყრიან. ხის ძაბრისებური ყუთი, ბოლოში გახსნილი. იქიდან ნაჭლიკაში ნელნელა ჩამოდის“ (ხორნ. 2000, 316); „**ჯვიმზურბ**//**ჯუმზურბ** ხვიმირა“ (ცოც. 2012, 307).

დიალექტური ფორმების შედარება ძველი და ახალი ქართულის მონაცემებთან ფუძისეულ მორფემად გამოგვაცოფინებს **ჯტიმ**//**ჯუმ**- ოდენობას, **ხ** ფონეტიკური დანართი ჩანს, **-ირ** სეგმენტი კი სუფიქსს წარმოადგენს (შდრ. გზ-**ირ**-ი, ჯმ-**ირ**-ი...). ფუძისეული მორფემებიდან ამოსავლად **ჯტიმ**- მიიჩნევა, ხოლო **ჯუმ**- მეორეული (**ტი>უ**) წარმონაქმნია. **ჯტიმ**//**ჯუმ**- ოდენობაში, თავის მხრივ, შეიძლება გამოიყოს ძირეული მორფემა **ჯტ**-ს სახით, თუმცა **-იმ** ელემენტის ფუნქცია დაბნელებულია და მისი დანიშნულება ბოლომდე ნათელი არ არის. რაც შეეხება სიტყვის ანლაუტურ ხმოვანს, თუმურ დიალექტში დასტურდება როგორც **ჯვიმზურბ**, ისე **ჯუმზურბ**, რომელიც ნათელყოფს ასიმილაციის (**ი...უ > უ...უ**)<sup>1</sup> არსებობას.

ზემომოყვანილი საილუსტრაციო მაგალითები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ **ხვიმირი** (<**ჯტიმირი**) ფართოდ ყოფილა გავრცელებული როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში და მის დიალექტებ-

<sup>1</sup> შესაძლოა, ზოგ კილოში **ვი > უ** დამოუკიდებლადაც რეალიზებულიყო.

ში, მაგრამ საკითხავია: რა ვითარება გვაქვს ზანურსა და სვანურში? რეკონსტრუირდება თუ არა ეს სახელი ქართველურ ფუძეენაში?

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, სამეურნეო ტერმინი **ჭტიმირი** განხილულია მ. ჩუხუას შედარებით ლექსიკონში და იგი დაკავშირებულია სვან. **ღტებ** („გობი“), ზან. (მეგრ.) **ქუფ**-ე („ფარდები ურმისა სიმინდის ჩასაყრელად“) ლექსემებთან [ჩუხუა 2003: 270].

ჩვენი ვარაუდით, ძველი ქართული ენის მონაცემი **ჭტიმირი** შეიძლება დაუკავშირდეს ადეკვატური მნიშვნელობის სვან. **ქტიბილ**-ს<sup>1</sup> („id.“), რომელიც სვანურში დიალექტურ სახესხვაობებს გვიჩვენებს: ბზ. **ქტირწფ**, ლშხ. **ქტირაფ** („id.“). სვანურში ამ ლექსემას გარკვეული პოზიციური ფონეტიკური ცვლილებები განუცდია: **მ>ხ**(მდრ. **\*მარწყუ** > სვან. **ზასყ**- „მარწყვი“), **რ>ლ** (ლაბიალური თანხმოვნის შემცველ ძირ-ფუძეებთან). სხვა სვანური ფორმები შეიძლება ტრანსპოზიციითა (**ქტირაფ** < **ქტიფარ**) და**ბ**-ს დაყრუებით აიხსნას. ამ დაკავშირებას სვანურში სიმნელეს უქმნის ანლაუტური **ქ**, რომელიც **ჭ**-ს რეფლექსად მიიჩნევა. ცნობილია, რომ საერთო-ქართველური \***ჭ** წარმოდგენილია შემდეგი ბგერათმესატყვისობის ფორმულით: ქართ. **ჭ** : ზან. **ხ** : სვან. **ჭ** [მაჭავარიანი 1965: 69]. როგორც ჩანს, **ჭ>ქ** სვანურისავე ნიადაგზე განხორციელებულა, რაც გამოწვეულია პალატალიზაციით (**ი**-ს გავლენით). სვანურში ფშვინვიერი ფარინგალის ტრანსფორმაცია, შესაძლოა, შეპირობებული იყოს ლაბიალიზებულ კომპლექსთა (**ქტ**, **ჭტ**) წინ გადაწევისა და ბილაბიალური ხშულების ჩამოყალიბების ტენდენციითაც მეტადრე მაშინ, როცა ორივე სახეობის კომპლექსი გარდაქმნისას ერთ შედეგს იძლევა: **ფ<ქტ** (//**ჭტ**) [ლომთათიძე 1984: 34-42].

რაც შეეხება მეორე საანალიზო ლექსემას, **ლოჯი** („ჭუჭყი“) საბასთან **ლოხის** სახით იჩენს თავს და აღნიშნავს „მძორ-მძიმე ცხო(ვ)ელს“ (საბა 1991, 423). ჩუბინაშვილებთან, როგორც წესი, ეს სახელი გვხვდება ერთნაირი დეფინიციით და მასში საბასეული განმარტების გამოძახილი გამოკრთის: „ზანტი, ზარმაცი, მძიმე ცხოველი“. ავ. შანიძის მთის კილოთა ლექსიკონში **ლოჯი**, „ჭუჭყი“ მნიშვნე-

---

<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ დიდოურ ენაში ამავე სემანტიკის სახელი **ქობორო** ფორმით დასტურდება.

ლობის გარდა, წარმოდგენილია გადატანითი მნიშვნელობებითაც: ა) მძიმე კაცი; ბ) გამბდარი საქონელი. დაახლოებით ანალოგიურ ვითარებას ვაწყდებით ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ქეგლ IV ტ. 1955, 1585). თევზის მნიშვნელობით აქ მოყვანილია გენეზისურად სხვა წარმომავლობის ომონიმეც.

**ლობ-** ფუძის ანალიზისას დიალექტური მონაცემებისთვის თვალის გადავლებაც კმარა, რომ ძველი ქართულის ქრონოლოგიურ დონეზე აღვადგინოთ **ლოჯ-** არქეტიპი, რაც ფაქტობრივ დაცულიც არის არქაული ტიპის კილოებში: **ლოჯი>ლობი**. რაც შეეხება ქართულის ახლომონათესავე ენებს, **ლოჯ-** ფუძე ქართულდა ზანურ ენათა ერთობის დონეზე ბგერათშესატყვისობით არის წარმოდგენილი [ქურდიანი 2007: 463]: ს/ქ. \***ლოჯ-**: ქართ. **ლობ**//<**ლოჯ-** : ზან.**ლობ-** „ჭუჭყი“, „ზუნზლი“.

მამასადამე, ზემოგანხილული სახელები ქართულში, მის დიალექტებსა და ახლომონათესავე ენებში ფართოდ არიან გავრცელებული და ბგერათშესატყვისობებს გვიჩვენებენ. რაც შეეხება დიდოურ ენათა მონაცემებს, საკუთრივ დიდოურში დასტურდება **ქობორა**, **ქობორო**, **ქობორუ** „ხვიმირი“ (დიალ. ვარ.), რომელსაც ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში ბგერათშესატყვისობა არ მოეპოვება. სიმპტომატურია, რომ ამავე მნიშვნელობის სხვა სამეურნეო ტერმინს დიდოურ ენებში ბგერათშესატყვისობა უდასტურდება: საკ. დიდ. **ქეკდა**: ჰინ. **ზოკდო**: ბეჟ. **ზუკლა** „ხვიმირი“. ეს კი დამატებითი არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ **ქობორა** („ხვიმირი“) ქართული ენიდან, კერძოდ კი, მთის კილოებიდან (ხევს. **კუმზურა**, თუშ. **კუმზურდ...**) ჩანს შეთვისებული დიდოურში. ანალოგიურადვე განიხილება დიდოური **ლოქი**<sup>1</sup> („ნაკელი“), რომელიც განყენებულად დგას და დიდოურ ენათა სინამდვილეში ბგერათშესატყვისობას მოკლებულია. ეს კი ნათელყოფს ამ ლექსემის არაპირისეულობას და მის წარმომავლობას სხვა ენობრივი სამყაროდან.

ნასესხობათა კვლევისას საინტერესოა ტრანსლიტერაციის საკითხების განხილვაც, ვინაიდან ერთი ენიდან სხვა ენაში შეღწევის

---

<sup>1</sup> ჰინ. **ტობოლოქო** („ნაკელიანი ჭუჭყი“) კომპოზიტი ჩანს: **ტობო+ლოქო** „ტლაპო+ნაკელი, ჭუჭყი“.

დროს ლექსიკა გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ დიდოურ ენაში კარგად არის დაცული ფარინგალური **ჭ**, იგი ნასესხობაში მაინც ველარული **ქ**-ს სახით რეალიზდება (შდრ. სვან. **ქჭიბილ** „id.“), ეს კი, ქართულთან შედარებით, დიდოური **ჭ**-სუფრო უკანა წარმოებაზე მიგვანიშნებს. ხმოვანთა ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს **უ>ო** გაფართოების პროცესი, რაც ნიშანდობლივია დიდოურ ენათა ვოკალური სისტემისთვის და განხორციელებულა კიდევ დიდოურ ფორმებში (**ქობორა**, **ქობორო**, **ქობორუ** „ხვიმირი“). გარდა ამისა, აუსლაუტში **ა**-ს დისტანციური ასიმილაცია (**ქობორა>ქობორო**) განუცდია, შემდეგ კი ბოლოკიდურად, როგორც წესი, **უ**-დ გარდაქმნილა (**ქობორო>ქობორუ**). რაც შეეხება წყაროენისეულ **მზ** თანხმოვანთკომპლექსს (შდრ. ხევს. **კუმ-ბურა**), **SC** არაბუნებრივია დიდოური ენისთვის და ამიტომაც მისი სუპერაცია (**მზ>ზ**) ხდება.

### გამოყენებული ლიტერატურა

**არდოტელი 2009** – ნ. არდოტელი, ხუნძურ-ანდიურ-დიოდოურენათაისტორიულ-შედარებითიფონეტიკა. თბილისი.

**არდოტელი 2018** – ნ. არდოტელი, ზოგი ნახურ-დაღესტნური-ლექსიკური ნასესხობანი ხევსურულ და თუშურ დიალექტებში.– საენათმეცნიერო ძიებანი, XL. თბილისი.

**გუდავა 1954** – ტ. გუდავა, ქართულ-ხუნძური ლექსიკური შეხვედრების შესახებ. – სმამ, ტ. XV, N10. თბილისი.

**ზვიადაური 1997** – ნ. ზვიადაური, ნახურ-დაღესტნურ ენათა ლექსიკა ქართული ენის მთის დიალექტებში. – ეტიმოლოგიური ძიებანი, ტ. VI. თბილისი.

**ლომთათიძე 1984** – ქ. ლომთათიძე, კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში. თბილისი.

**მაჭავარიანი 1965** – გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა. თბილისი.

**ტრუბეცკოი 1987** – Н. С. Трубецкой, Избранные труды по филологии. Москва.



**ქურდიანი 2007** – მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები. თბილისი.

**შანიძე 1984** – აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I. თბილისი.

**ჩუხუა 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი. თბილისი.

**ჩიქობავა 2008** – არნ. ჩიქობავა, შრომები, IV. თბილისი.

N O D A R   A R D O T E L I

### **On the Origin of Lexical Borrowings In Georgian and Dido Languages**

#### Summary

Determining the direction of certain borrowings and their genesis in the lexical encounters between languages is a difficult task and a topical issue at the same time. In addition to finding the sound equivalents that indicate to the proto language of the corresponding word, the history of a word can sometimes be determined by etymologizing and identifying the phonological structure of roots and stems.

Taking all the above-mentioned into account, on the one hand, **xvimiri** < Old Geo. **qvimiri** “a part of the mill where the grain is put to be ground; a kind of large bowl”, and on the other hand, **Loxi** < dial. **LoqI** “dirt” are attested both in Georgian and its dialects, as well as in the Kartvelian languages. The research lexemes in Kartvelian languages are presented with regular sound equivalents and, therefore, are considered to be borrowed from Georgian in the Dido language. In addition, based on the phonemic structure of the form **qobora** “a part of the mill”, it is suggested that the word is borrowed from the Georgian language, in particular, from the mountain dialects (Khevs. **qumbur**, Tush. **qumburI**).

რ ა ლ ო ს ლ ა ვ კ ა ნ ა რ კ ო ვ ს კ ი (კრაკოვი, პოლონეთი)

**ხათურ რიცხვით სახელთა:**  
**თუხულ „ოთხი“ / ჭარ „ათასი“ თაოზაზე**  
(აგაზულაზა და მტიმოლოგია იზაერიულ-კავკასიურ  
ენათა შმდარაბით მონაცემთა შუაშე)

[წინამდებარე ნაშრომი გამოქვეყნდა სამეცნიერო პროექტის ფარგლებში: „ეტიმოლოგიური ძიებანი დადესტურ ენათა რიცხვით სახელებზე. როდენობითი რიცხვითი სახელები“ დაფინანსებული ეროვნული მეცნიერების ცენტრის მიერ – 2019/32/T/HS2/00325].

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ხათური რიცხვით სახელთა **თუხულ** „ოთხი“ და **ჭარ / ფარ** „ათასი“ [კოჭლამაზაშვილი 2016 : 59] აგებულებისა და ეტიმოლოგიის მსჯელობას სხვა ქართველურ და იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებით მონაცემთა გათვალისწინებით.

ხათური არის ერთ-ერთია ძველი ახლო აღმოსავლეთის ენათაგან. მისი გენეალოგიური კლასიფიკაცია კვლავაც რჩება დისკუსიის საგანი და ენათმეცნიერთა შორის ამ საკითხზე არსებობს შეხედულებათა სხვაობა [კოჭლამაზაშვილი 2016: 8; ტიხონოვა 2017: 119-125; დუნაევსკაია 1979: 79-83; ბრაუნი 1994: 15-23].

ეს ენა ჩვეულებრივ მიჩნეულ ყოფილა იზოლირებულ ერთეულად ან ე.წ. „აზიანკური ლიგის“ წევრად. ეს ცნება აერთიანებს ძველი ახლო აღმოსავლეთის არასემიტურ და არაინდოევროპულ ენებს და თავისთავად არ მიუთითებს ენობრივ ნათესაობაზე, ამდენად გენეალოგიური ტერმინი არაა.

ი. დუნაევსკაიასა და ა. ტიხონოვას მოსაზრებით, ხათური გენეტიკურად უკავშირდება თანამედროვე აფხაზურ-ადიღურ ენებს, რასაც იზიარებს ი. ბრაუნი. ლ. კოჭლამაზაშვილი მიიჩნევს, რომ ხათური უფრო ახლომდგომია ქართველურ ჯგუფთან. მ. ჩუხუამაც გამოითქვა ასეთივე მოსაზრება.

ხათ. **თუხულ** = **თუხ-ულ**, ფუძე: **თუხ-** = **თ-უხ-**, სადაც ძირეული ნაწილი უნდა იყოს **-უხ-** < **\*-ხუ-** < **\*-ხ<sup>o</sup>უ-** < **\*-ხ<sup>o</sup>ი-**. ანლაუტური დენტალური ხშული **თ-** უნდა მივიჩნიოთ ამოსავალ გაქვავებულ კლას-ნიშნად. შესაძლებელია, რომ ხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის შედეგად განხორციელებულიყო ცვლილება **თუხ-ულ** < **\*თუხ-ილ**, რადგან არსებულ ენობრივ მასალაში ბოლოსართი **-ილ** დამოწმებულია რამდენიმე სახელში, მაგ.:

**ტა-ზარილ** = **ტა-ზარ-ილ** „ადამიანი“

**იშთარაზილ** = **იშთარაზ-ილ** „მიწა“

**შა-ქილ** = **შა-ქ-ილ** „გული“, ხოლო სუფიქსი **-ულ** გაცილებით უფრო იშვიათად გვხვდება, მაგ.:

**ხაიფინამულ** = **ხაიფინამ-ულ** „კაცობა“, „კაცობრიობა“

თუ მივიღებთ, რომ ხათური სახელური ფუძე **თ-უხ-** შებრუნებული წყობის ძირ-ფუძეთა ჯგუფს მიეკუთვნის, მაშინ **თ-უხ** ← **ხუ-თ**. ასეთ შემთხვევაში განხილული მორფემა ადვილად შესადარებელია როგორც ქართველურ, ისე სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა „ხუთის“ აღმნიშვნელ რიცხვით სახელებთან, რასაც ადასტურებენ ქვემოთ მოცემული მაგალითები.

სემანტიკური ცვლილება **ხუთი** → **ოთხი** მისაღებია. პარალელური მაგალითი გვხვდება ნახურ ენებში, სადაც გვაქვს:

ჩენ, ინგ. ჯო?; ბაცბ. ჯო < \*ყო < \*ყ<sup>o</sup> < \*ყ<sup>o</sup>ა „სამი“

მაგრამ სხვა მთის კავკასიურ ენებში ვხედავთ ამავე ძირს სხვა მნიშვნელობით:

ხვარშ. ყუნე = ყუ-ნე, ძირი: ყუ- < \*ყუ- < \*ყ<sup>o</sup>უ- < \*ყ<sup>o</sup>ა- „ორი“

ბუდუხ. ყაბ = ყა-ბ, ძირი: ყა- < \*ყა- „ორი“

ზოგ შემთხვევაში ორი სემანტიკურად განსხვავებული რიცხვითი სახელი ემყარება ერთსა და იმავე ძირს<sup>1</sup>.

ქართ. კოლხ. ხუთ-ი, ფუძე: ხუთ- = ხუ-

- , ძირი: ხუ- < \*ხ<sup>o</sup>უ- < \*ხ<sup>o</sup>ი-

სვან. ტობ<sup>o</sup>იმდ = ტო-ხ<sup>o</sup>ი-მდ, ძირი: -ხ<sup>o</sup>ი- < \*ხ<sup>o</sup>ი- „ხუთი“

სვანური ძირი, ფონეტიკური თვალსაზრისით, ყველაზე არქაული ჩანს და სრულიად შეესატყვისება ფუძე-ენისეულ რეკონსტრუქციას. ძირეული თანხმოვნის ლაბიალიზაცია ჩანს ქართვე-

<sup>1</sup> შდრ. ჯავახიშვილი 1937.

ლურ ჯგუფში მხოლოდ სვანურში. ყველა დანარჩენ ენაში ეს თან-ხმოვანი მოიშალა (დელაბიალიზდა), მაგრამ თავდაპირველად მან გამოიწვია შემდგომი ხმოვნის ლაბიალიზაცია პროგრესული ასიმილაციის შედეგად: ჯერ უნდა გვქონოდა \***ბ<sup>o</sup>**- > \***ბ<sup>u</sup>**-, შემდეგ კი - \***ბ<sup>o</sup>**- > **ბუ**-.

ლაბიალური ხმოვანი **უ** დასტურდება თანამედროვე ქართველურ ენებში სვანურის გარდა, სადაც შენარჩუნა ამოსავალი ძირეული **o** ხმოვანი.

მოყვანილ მონაცემთა საფუძველზე საერთო ქართველური ძირი აღსადგენია \***ბ<sup>o</sup>**-<sup>1</sup> და ის მომდინარეობს საერთოიბერიულ-კავკასიური ფუძე-ენისაგან.

საერთო-ქართველური ძირი არ განსხვავდება საერთო აფხაზურ-ადიღური, საერთო-ნახური და საერთო-დაღესტნურისაგან, შდრ.:

აფხაზ. **ბ<sup>o</sup>ბა** = **ბ<sup>o</sup>-ბა**, ძირი: **ბ<sup>o</sup>-** < \***ბ<sup>o</sup>**-

ხუნძ. **შუგო** = **შუ-გო**, ძირი: **შუ-** < \***შ<sup>o</sup>**- < \***შ<sup>o</sup>**- < \***ბ<sup>o</sup>**-

რუთულ. **ხუდ** = **ხუ-დ**, ძირი: **ხუ-** < \***ბ<sup>o</sup>**- < \***ბ<sup>o</sup>**-

ბაცბ. **ფხი** = **ფ-ხი**, ძირი: **-ხი** < \***ბ<sup>o</sup>**

განსაკუთრებით საყურადღებოა ბაცბური (წოვა-თუშური) ფორმა, რომლის აგებულებაც შეესატყვისება ხათურ სახელს: თავკი-ღურში დგას გაქვავებული კლას-ნიმანი.

გამორიცხული არ არის, რომ ეს ძირი გამოვლენილია აგრეთვე „ოთხის“ აღმნიშვნელ ქართველურ რიცხვით სახელებში, შდრ.:

ქართ. **ოთხ-ო**, ფუძე: **ოთხ-** = **ო-თ-ხ-**, ძირი: **-ხ-** < \***ბ<sup>o</sup>**- < \***ბ<sup>o</sup>**-  
კოლხ. **ოთხო** < \***ოთხი**<sup>1</sup>

სვან. **ჟრშთხ<sup>o</sup>** = **ჟრშ-თ-ხ<sup>o</sup>**, ძირი: **-ხ<sup>o</sup>** < \***ბ<sup>o</sup>**

ფონეტიკური თვალსაზრისით, სვანური ფორმა შეიძლება მივიჩნიოთ ყველაზე არქაულად, რადგან მხოლოდ აქ გამოვლინდა ამოსავალი ძირეული ლაბიალიზებული სპირანტი: **-ბ<sup>o</sup>-**, სხვა ქართველურ ენებში ლაბიალიზაცია მოიშალა: \***ბ<sup>o</sup>-** > **-ბ-**.

ზემოთ მოყვანილ შედარებით მონაცემთა საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველურ ენათა „**ხუთისა**“ და „**ოთხის**“

---

<sup>1</sup> აქც ვითარება ქართულს წააგავს, ხმოვანთა დისტანციური პროგრესული ასიმილაციის შედეგად განხორციელდა გარდაქმნა \***ო-ო** > **ო-ო**.

აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ეყრდნობა საზიარო ფუძეებისეულ ძირს: \***ხ<sup>0</sup>ი**- „ოთხი/ხუთი“. სავარაუდოდ, ძირის მნიშვნელობა **„ხუთი“** თავდაპირველი იყო და მისი ორმნიშვნელიანობა საერთო-ქართველურში ამ ჯგუფის გვიანდელ შიდა სემანტიკურ ინოვაციას წარმოადგენს. ამას ამტკიცებს ფაქტი, რომ აქ შესწავლილი ძირი მნიშვნელობით „ხუთი“ დამოწმებულია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც (იხ. ზემოთ), **„ოთხის“** აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები კი მთის კავკასიურ ენებში სხვა ძირებზე დამყარებლია, მაგ.:

ხუნძ. **უნყგო** = **უნყ-გო**, ფუძე: **უნ-ყ-** < \***ყყ-** < \***ყყუ-**, ძირი: \***ყუ-** < \***ყ<sup>0</sup>უ-** < \***ყ<sup>0</sup>ი-**

აღულ. **აყუდ** = **აყ-უ-დ**, ძირი: **ყუ-** < \***ყ<sup>0</sup>უ-** < \***ყ<sup>0</sup>ი-**

აფხაზ. **ფშ-ბა** = **ფ-შ-ბა**, ძირი: **-შ-**

თუ მოსაზრება ხათური ენის ნათესაობაზე თანამედროვე ქართველურ ჯგუფთან მართალია [კოჭლამაზაშვილი 2016: 8; ჩუხუა 2015: 45-47], მაშინ ხათური რიცხვითი სახელი: **თუხულ** აგრეთვე იზიარებს ზემოხსენებულ ქართველურ სემანტიკურ ინოვაციას და მისი ამოსავალი მნიშვნელობაა **„ოთხი“**. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა იყოს მიღებული, რომ განხილული მორფემის ამოსავალი მნიშვნელობა იყო **„ხუთი“** და ენობრივი განვითარების გვიანდელ საფეხურზე მოხდა სემანტიკური გადახრა: **ხუთი** → **ოთხი**.

ხათ. **ჟარ / ფარ** „ათასი“

ამ სიტყვის ეტიმოლოგია უცნობი რჩება, მითუმეტეს რომ „ათასის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები გამოვლენილი არ არის სხვა სავარაუდოდ მონათესავე ენებშიც, მაგ. ხურიტულ-ურარტულში. მაღალი რიცხვითი სახელები ძირეულ ლექსიკურ ფონდს არ მიეკუთვნის და ხშირად შეიძლება იყოს ნასესხობანი. მაგალითად, დაღესტნურ ენებშიც, სადაც ყველა „ათასის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ირანული წარმომავლობისაა, მაგ.:

ხუნძ. **აზარგო** = **აზარ-გო**, ფუძე: **აზარ-** ← ირან. **ჰაზარა**

დარგ. **აზურ** ← ირან. **ჰაზარა**

უდ. **ჰაზარ** ← ირან. **ჰაზარა**

წყარო არის ძვ. ირანული ფორმა: **hazāra** „ათასი“.

გამორიცხული არ არის, რომ ხათური სიტყვა: **ჟარ / ფარ** აგრეთვე უკავშირდება ირანულ სიტყვას: **ბივარ (bivar)** < \***ბიჟარ** „ათი ათასი“, სადაც ლაბიალური სონანტი გარდაიქმნა ლაბიოდენტალურ

სპირანტად: \*-ტ- > -ვ-. ბგერითი განვითარება წარმოსადგენი იქნებოდა: \*ბი<sup>ჟ</sup>არ > \*ბ<sup>ჟ</sup>არ > ტარ. ფონეტიკური ცვლილება მდგომარეობს პირველ საფეხურზე ხმოვნის სინკოპეში: \*ბი<sup>ჟ</sup>- > \*ბ<sup>ჟ</sup>-. შემდგომ თავკიდურიანი ბილაბიალური ობსტუენტი გაუჩინარდა დისიმილაციის შედეგად: \*ბ<sup>ჟ</sup>- > ტ-.

მეორე ფორმა: ფარ არის ფონეტიკური ვარიანტი. გვხვდება პარალელური მაგალითები:

**ტაშუნ :: ფაშუნ** „სული“

**ტუნ :: ფუნ** „სიკვდილიანობა“, „კაცობრიობა“

**ტარილ :: ფარილ** „უცნობი ფუძე“

ირანული ეტიმოლოგიის ნიადაგზე ამ სიტყვის წარმომავლობა რჩება განუმატებელი, ვინაიდან ეტიმოლოგიური შესატყვისობანი არ არის გამოვლენილი სხვა ინდო-ევროპულ ენებში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განხილული სიტყვა ირანულში ძველი არაინდოევროპული ან, სხვა სიტყვით, წინარეინდო-ევროპული ნასესხობაა რომელიმე განუსაზღვრელი წყაროდან.

ეს იყო სავარაუდოდ ერთი გადაშენებული სუბსტრატული ენებისაგან, რომლებიც, ზოგი მკვლევრის მიხედვით, გენეტიკურად უკავშირდებიან თანამედროვე იბერიულ-კავკასიურ ენებს.

**1)** [საერთო ქართველური ძირის სხვა აღდგენისათვის შდრ. კლიმოვი, ხალილოვი 2003 : 367].

**2)** [მთელი ხათური ენობრივი მასალა მოყვანილია ერთი წყაროდან – კოჭლამაზაშვილი: 2016].

## გამოყენებული ლიტერატურა

**კოჭლამაზაშვილი 2016** – კოჭლამაზაშვილი ლ., ხათური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი 2016

**ჩუხუა 2015** – ჩუხუა მ., ხათური (პროტოხეთური) ქართველური იზოგლოსებისათვის [:] ა. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 74-ე სამეცნიერო სესიის მასალები, 2015, გვ. 45-47

**ჯავახიშვილი 1937** – ჯავახიშვილი ი., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი 1937

**Браун 1994** – Браун Я., Хаттский и абхазо-адыгский, [:] Rocznik Orientalistyczny, vol. XLIX / 1994, 33. 15-23

**Дунаевская, Дьяконов 1979** – Дунаевская И.М., Дьяконов И.М., Хаттский (протохеттский) язык [в:] Языки Азии и Африки, т. III, Москва 1979, с. 79-83

**Климов, Халилов 203** – Климов Г.А., Халилов М. Ш., Словарь кавказских языков. Сопоставление основной лексики, Москва 2003

**Тихонова 2017** – **Тихонова А.П.**, Хаттско-абхазо-адыгские лексические параллели: история и современность [в:] «Вестник Адыгейского государственного университета», 2 (197) / 2017, с. 119-125

R A D O S L A W K A N A R K O W S K I Cracow (Poland)

**Some remarks on the structure and etymology of the  
Hattian numerals: *tuxul* “four” and *par / war* “thousand”  
in the light of Ibero-Caucasian comparative data**

[The present paper was published within the frames of the research project: “Etymological studies on numerals in Daghestanian languages. Cardinal numerals” financed by National Science Centre - 2019/32/T/HS2/00325].

Summary

The paper deals with structure and origin of two Hattian numerals: **tuxul** “four” and **war / par** “thousand”. In the first case it was pointed at possible etymological connections between the Hattian numeral and its Ibero-Caucasian semantic counterparts, taking into account the possible semantic change: **FIVE** → **FOUR**.

The second numeral under question may be compared with Iranian: **bivar** “ten thousand”.

Due to the lack of the comparative data in other Indo-European languages this word may be regarded as an old pre-Indo-European borrowing of possibly Ibero-Caucasian origin.

**კვლავ „ჭულევის“ ეტიმოლოგიისათვის**

ჭულევის მონასტერი XIV საუკუნის გუმბათოვანი ტაძარია ისტორიულ სამცხეში, პატარა ზანავში (ადიგენის მუნიციპალიტეტი), მდ. ქვაბლიანის მარცხენა ნაპირზე, დაბა ადიგენიდან 7 კმ-ზე. იგი წმ. გიორგის სახელობისა და განეკუთვნება საფარისა და ზარზმის მონასტრების ხუროთმოძღვრულ ჯგუფს. სამონასტრო კომპლექსში რამდენიმე ნაგებობა შედოდა (სამრეკლო, დარბაზული ტიპის სამლოცველოს ნაშთი...). ტაძარი 1381 წელს მოუხატავს არსენს. სამხრეთის კედელზე გვხვდება სარგის-საბას, ბექა I-ისა და მისი უმცროსი ვაჟის – შალვას, სარგის II-ისა და ყვარყვარე I-ის პორტრეტები, აგრეთვე საღვთო წერილის სიუჟეტები (ქსე–XI 1987, 407). შესანიშნავი ქართველი მწიგნობრის, ეფრემ მცირის თანამოღვაწის – სტეფანე ჭულეველის აქ მოღვაწეობა მიუთითებს, რომ **ჭულევი** ჯერ კიდევ XI საუკუნეში ქართული სასულიერო კულტურის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა და მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ქრისტიანულ; ისულიერებისა და კულტურის ცენტრებთან.

ტოპონიმ „ჭულევის“ ეტიმოლოგიის დადგენის ცდა მოცემულია მერაბ ბერიძის სტატიაში „ჭულევი“ (ბერიძე მ. 2010), სადაც მკვლევარს ვრცლად და ამომწურავად აქვს გაანალიზებული საკვლევ საკითხთან დაკავშირებით არსებული წერილობითი წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა.

მერაბ ბერიძის დასახელებული სტატიის შინაარსი ასეთია: ჭულევის ტაძრის აღდგენა-განახლების, კელიების აშენებისა და საეკლესიო ცხოვრების გაცოცხლების შემდეგ გაჩნდა კითხვა: რომელია სწორი ფორმა – **ჭულევი** თუ **ჭულე**? რამდენადაც ისტორიულ წყაროებში ორივე ფორმა დასტურდება, ამ კითხვასაც მოექმენება



ისტორიული საფუძველი. ამასთანავე, ადგილობრივი მოსახლეობა მონასტრის სახელწოდებად ორივე, და მესამე, შედარებით ნაკლებად ხმარებულ პარალელურ ფორმას – **ჭულეხსაც** იყენებს. მერაბ ბერიძე მხარს უჭერს მონასტრის სახელწოდებად „ჭულევი“ ფორმის დაკანონებას. მონასტრის სახელზე **-ელ** წარმომავლობა-კუთვნილების სუფიქსის დართვით, მონასტერში მოღვაწე ბერი, შესაბამისად, იქნება **ჭულეველი** და არა **ჭულელი**, რომ იქნება **ჭულევის მონასტერი** და არა **ჭულეს მონასტერი** (შდრ.: ტბა – ტბელი, ოპიზა – ოპიზელი, კუმურდო – კუმურდოელი, ანჩა – ანჩელი და სხვ.).

მ. ბერიძის სტატიიდან ვიგებთ, რომ 2008 წელს გამოიცა მონასტრისადმი მიძღვნილი ცნობარი, რომლის შემდგენლები არიან: ილემენი დიმიტრი (კაპანაძე), მარინა ხუციშვილი, ირინე სტროგანოვა, მანანა მათიაშვილი და გიორგი ჩერქეზიშვილი. ცნობარის სათაურია „ჭულევი“. შემდგენლები მიუთითებენ, რომ „მონასტრის სახელი სამი ვარიაციული ფორმით იხმარება: „ჭულე“, „ჭულევი“ და „ჭულევი“. დღეისათვის დამკვიდრებული სახელწოდებაა „ჭულევი“ (კუტალაძე, მაისურაძე 2008, 1).

ცნობარის შემდგენლები იზიარებენ გ. კუტალაძისა და ო. მაისურაძის ნაშრომში მოცემულ მსჯელობას სახელწოდება „ჭულევის“ „ჭურვიდან“ მომდინარეობის შესახებ. ძველ ქართულში „ჭური“ ჩავარდნილ, ჩაფარებულ ადგილს ნიშნავდა, ხოლო ჭულევის ადგილმდებარეობა სავსებით შეესაბამება ამ სახელს. გურამ კუტალაძისა და ომარ მაისურაძის ნაშრომი ორჯერ გამოიცა: პირველად – 1994 წელს (კუტალაძე, მაისურაძე 1994) და მეორედ (შეესებული გამოცემა) – 2008 წელს (კუტალაძე, მაისურაძე 2008). ორივე გამოცემის სახელწოდებაა „ჭულე“.

მ. ბერიძე არ იზიარებს ბროშურის ავტორთა სურვილს, რომ **ჭური** და **ჭულე** დაუკავშირონ ერთმანეთს, **-ულ** და **-ურ** სუფიქსების მონაცვლეობის გათვალისწინებით (კუტალაძე, მაისურაძე 2008, 16).

არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით (აკ. შანიძე), მ. ბერიძე შეეცადა, განეხილა სახელწოდება „ჭულევი“, მსგავსი სტრუქტურის სიტყვებთან ერთად. პირველ რიგში კი გამოყო ტოპონიმებში მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი **-ევ** სუფიქსი (შდრ. ვაშლ-ევ-ი, ძეგლ-ევ-ი, ბოსლ-ევ-ი, (მ)ღვიმ-ევ-ი (=ღვიმ-ევ-ი), ველ-

ევ-ი, ველტყ-ევ-ი (=ველტყე-ევ-ი), ვაკ-ევ-ი (=ვაკე-ევ-ი), ქვ-ევ-ი, იფნ-ევ-ი, ტბ-ევ-ი...). „ამგვარად, – შენიშნავს მკვლევარი, **-ე** ცალკე სუფიქსი არ არის, არც ფუძისეული ხმოვანია. ის არის ჭულეში **-ევ**-ის ხმოვნითი ნაწილი. დაიკარგა **ვ** და დაგვრჩა **ე**. ე. ი. ფუძე გვაქვს **ჭულ-**, რომელსაც დაერთო მრავლობითობის ნიშანი **-ევ**. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **-ევ**-მა მოგვცა **-ვ** და არა პირიქით. ამიტომაც ამოსავალი არის სრული ფორმა და არა თანხმოვანჩამოცილებული ნაწილი“ (შანიძე 1981, 440; ბერიძე მ. 2010, 61).

მაშასადამე, მკვლევრის თვალსაზრისით, „ჭულევის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას ამოსავალ ფორმად სწორედ „ჭულევი“ უნდა მივიჩნიოთ და არა – „ჭულე“.

გ. კუტალაძე საეჭვოდ მიიჩნევს ამგვარი მსჯელობის სისწორეს და წერს: „მ. ბერიძის აზრით, ჭულე უფრო ხალხური ვარიანტია, ხოლო ჭულევი – თავდაპირველი ლიტერატურული ფორმა“ (კუტალაძე, მასიურაძე 2008, 15), და გარკვეული მსჯელობის შემდეგ საკუთარ თვალსაზრისს შემდეგი სახით აყალიბებს: „ვგონებ, სრულიად სამართლიანად დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში „ჭულე“ ფორმა. ფრესკული წარწერაც ხომ ამას აკონკრეტებს... აღდგენილი მონასტრისათვის მოსახსენიებლად უკეთეს და სრულ სახედ ჭულევის მიჩნევა არ მიგვაჩნია გამართლებულად“ (იქვე, 17).

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ მონასტრის სახელწოდებად „ჭულევი“ დაფიქსირებული, თუმცა, ავტორების აზრით, ეს ფორმა სამეცნიერო ლიტერატურაში საბოლოო დამკვიდრებას არ ნიშნავს. ისინი აღდგენილი მონასტრისათვის უფრო კომფორტულ და ტრადიციულ სახელად „ჭულეს“ მიიჩნევენ, რადგან გადამწყვეტ მნიშვნელობას ტაძრის წარწერას ანიჭებენ. წარწერა კი, ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ბერიძის ცნობით, ასე იკითხება: „შეწევნითა ღვთისაფთა და წმიდისა გიორგი ჭულისათა სრულ იქმნა ეკლესია ესე ჭულისადა...“ (ბერიძე ვ. 1955, 150). მაგრამ, ამასთანავე, საქმე ისაა, რომ **ჭული** თუ **ჭულე** ფორმაზე ბევრად ადრე დასტურდება „ჭულევი“ ფორმა. ტაძარი XIV საუკუნეშია აგებული (იქვე, 151), მაგრამ XI საუკუნეში შავ მთაზე მოღვაწეთა შორის დასახელებულია სტეფანე ჭულეველი (მენაბდე 1980, 162), რაც სამი საუკუნით უსწრებს ტაძ-

რის წარწერაში დადასტურებულ „ჭულისაჲ“ ფორმას (ბერიძე მ. 2010, 61).

მერაბ ბერიძე სწორ ლიტერატურულ ფორმად „ჭულევს“ მიიჩნევს, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ უარყოფს რომელიმე ფორმას: „მე განა უარყოფ „ჭულეს“, როგორც ასეთის არსებობას, ან განა ვებრძვი ამ ფორმას, პირიქით, საჭიროა სამი ვარიანტიდან შეირჩეს ისეთი თანამედროვე ფორმა, რომელიც აღარ მოითხოვს დამატებით წვალეზას ამა თუ იმ სახით მისი გამოყენებისას. ასეთია „ჭულევი“ (ბერიძე მ. 2010, 62).

ასეთია მერაბ ბერიძის პასუხი მისივე სტატიის დასაწყისში დასმულ კითხვაზე, თუ რომელია სწორი ფორმა მონასტრის სახელწოდებისა – **ჭულევი** თუ **ჭულე**?

მკვლევარს საინტერესოდ ეჩვენება ჭულ- და ჭურ- ფუძეთა ურთიერთმიმართებისა და, შესაბამისად, სახელწოდება „ჭულევის“ ჩავარდნილი, ჩადაბლებული ადგილის (ქვაბულის) აღმნიშვნელ „ჭური“ სიტყვასთან დაკავშირება. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, რომ საინტერესო უნდა იყოს მეგრულში „ჭურის“ შესატყვისი გეომორფოლოგიური ტერმინის – „არგვანის“ სამეგრელოს ტოპონიმიში დადასტურება ასეთივე მნიშვნელობით (ჩავარდნილი, ჩადაბლებული ადგილი, ღრმა ქვაბული, ტაფობი). ასე, მაგალითად, გელიავა ქალაქ აბაშის ტოპონიმთა ნუსხაში ასახელებს ტოპონიმ „არგვანს“ და განმარტავს, როგორც „ჭურს; ქვევრივით ჩავარდნილ ადგილს“ (ელიავა 1977, 40). „მარნის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში დასახელებულია „არგვანი“, როგორც ადგილის ძველთაძველი სახელწოდება. მსგავსი ტოპონიმი, გ. ელიავას აზრით, სოფელში მეორეცაა და განმარტებულია, როგორც „ჭური“ (იქვე, 41). „ბანძის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში მითითებულ ტოპონიმ „არგვანს“ თან ახლავს ინფორმანტის განსხვავებული განმარტება: „ქვევრების ჩასაყრელი. გვიან აქ წისქვილიც აუგიათ და არგვან-წისქვილსაც ეძახიან“ (იქვე, 88). ასეთივე განმარტებაა მოცემული „აბედათის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ჩამონათვალში, სახელწოდება „არგვანთან“: „ნამარნევი, ქვევრის ჩასაყრელი“ (იქვე, 92), და „სალხინოს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაშიც: „არგვანი (ქვევრი). „უძვე-

ლესი სამარანო ადგილია, თემის საერთო მარანი ყოფილა. საუკეთესო სამაგვანო სამანია“ (იქვე, 170).

მაშასადამე, გ. ელიავას წიგნში დამოწმებულია ტოპონიმ „არგვანის“ ორი მნიშვნელობა: 1. ქვევრივით ჩავარდნილი ადგილი; 2. ქვევრების ჩასაყრელი, სამარნე; ნამარნევი.

არგვანდუდი // მაგვანდუდი ეწოდება მორევს აბაშაზე და სახნავს მდინარის მარცხენა ნაპირას, ნასაკირუს სამხრეთით (ბანძა). ამ ადგილას მდინარე მცირე „მოსაბრუნს“ აკეთებს, სადაც წყალი ღრმაა და დაგუბებული. ინფორმანტის განმარტებით, ესაა ქვევრივით ჩავარდნილი, ჩაქცეული ადგილი, ღრმა მორევი. და მართლაც, კბოდიდან მდინარეს თუკი დავხედავთ, ამ ადგილს ქვევრის ფორმა აქვს – მდინარის ფსკერი სიღრმეში თანდათან ვიწროვდება. ასეთი რელიეფის გამო უნდა დარქმეოდა მორევს „არგვანდუდი“ (კეკელია 2007, 10).

პროფ. პაატა ცხადაია სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა VI წიგნში (მარტვილის რაიონის ჩრდილოეთი ნაწილი) აღნიშნავს, რომ „არგვანი“ ეწოდება ბორცვს საბერულავოში, ვაკე-ტყეის მასქურის თავზე, ნობულევში, ვაკე-ფერდობებს პირველ კიწიაში, მორევს ოლობუეზე, ქოთნისებურ ორმოში გრიალით რომ ჩაედინება (ნორა) და სხვ (ცხადაია–VI 2012, 125-126). მოცემულია ხალხური განმარტებაც: „ყოველმხრივ მრგვალია და ჩავარდნილი. ამიტომაც არგვანი“ (იქვე, 125).

მაშასადამე, **არგვანი** მეტაფორულ-ოროგრაფიული ნომენია და სამეგრელოში „ქვევრივით ჩავარდნილ-ჩადაბლებულ ადგილს“ აღნიშნავს. შდრ.: ა. ქობალია: „არგვანი – დიდი ჭურჭელი (საზოგ.); ასადულებელი ჭურჭელი; ჭური, ლაგვანი; ქვევრივით ჩავარდნილი ადგილი“ (ქობალია 2010, 39).

გამორიცხული არ არის, რომ ტოპონიმი „ჭულევიც“ „ჩავარდნილი, ჩადაბლებული ადგილის“ აღმნიშვნელი იყოს, ისევე, როგორც „არგვანი“ სამეგრელოში, და უკავშირდებოდეს „ჭურს“ (როგორც ფიქრობენ გ. კუტალაძე და ო. მაისურაძე), ვინაიდან ქვევრის ფორმასთან ადგილის მიმსგავსება (ქვაბული, ტაფობი) ფართო ასახვას ჰპოვებს საქართველოს სხვა მხარეების ტოპონიმიაშიც.

ამჯერად, არც იმის გარკვევას შევეცდებით, **ჭულევია** უწინდელი ფორმა თუ **ჭულე**. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ სახელწოდე-

ბის შინაარსის გარკვევის თვალსაზრისით, ზემოთ დამოწმებულ მნიშვნელობასთან (ჭური – ჭულე „ქვევრივით ჩადაბლებული, ჩაფარებული ადგილი“) ერთად, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს წარწერაში ტაძრის სახელწოდებად დადასტურებული **ჭულე** ფორმის „ვიწრო ხეობად“, „ვიწრობის“, „ვიწრო გზის“ (ან ბილიკის, გადასასვლელის) შინაარსის შემცველ ტოპონიმად გააზრება. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ „ჭულე“ სიტყვა განმარტებულია როგორც „ვიწრობი“; „წვრილი; წვრილმანი“ (ქობალია 2010. 714). სათანადო მოტივაციის შემთხვევაში არ გამოვრიცხავთ, რომ „ჭულე“ რელიეფის ფორმის ამსახველი მეგრული ტოპონიმი (ზანიზმი) იყოს ისტორიული მესხეთის მიწა-წყალზე. სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმიში ოდინდელი ზანური ელემენტის არსებობას, ჩემი აზრით, სხვა ტოპონიმებთან (მაგალითად, „ჭობარეთი“) ერთად, მეცნიერულად ასაბუთებს ტოპონიმი „ჭულეც“ (ჭულევი) (ზანიზმებისათვის სამცხეში ვრცლად იხ. ნორაკიძე #4, 1971).

### გამოყენებული ლიტერატურა

**ბერიძე 1955** – ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბილისი.

**ბერიძე 2010** – მ. ბერიძე, ტაძრები და სახელები, თბილისი.

**ელიავა 1977** – გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმისა, თბილისი.

**კეკელია 2007** – ი. კეკელია, ბანძის ტოპონიმია, თბილისი.

**კუტალაძე, მაისურაძე 1994** – გ. კუტალაძე, ო. მაისურაძე, ჭულე, თბილისი.

**კუტალაძე, მაისურაძე 2008** – გ. კუტალაძე, ო. მაისურაძე, ჭულე, თბილისი.

**მენაბდე 1980** – ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, თბილისი.

**ნორაკიძე #4 1971** – ნ. ნორაკიძე, ზანიზმები სამცხის გეოგრაფიულ სახელებში. „მნათობი“, #4, თბილისი.

**ქსე–XI 1987** – ჭულევი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XI, თბილისი.

**ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

**შანიძე 1981** – აკ. შანიძე, -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში. თბილისი. თორმეტ ტომად. ტ. II, თბილისი.

**ცხადაია–VI 2012** – პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელები. მარვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), თბილისი.

IGOR KEKELIA

### **On the Etymology of *Tchulevi* “Tchulevi” Again**

#### Summary

The Monastery of Tchulevi is a domed church of the 14th century in historic Samtskhe. According to the author, it is possible to understand the form **Tchule** “Tchule” attested in the epigraphic inscription as the name of the church to be a toponym having the following meaning “narrow gorge”, “narrow road” (or path, passage). We think that “Tchule” is a Megrelian (Zan) toponym denoting the shape of the relief, which scientifically substantiates the existence of a common Zan element in the geographical names of historical Samtskhe, along with other toponyms (for example, “Tchobareti”).

**ღამათგანანი ქართვალურ ენათა ეტიმოლოგიური  
ლექსიკონისათვის – VII<sup>1</sup>**

წინამდებარე სტატიით განვაგრძობთ ქართველურ ენათა შორის გამოვლენილი შესაძლო ახალი კოგნატებისა და მათი შეპირისპირების საფუძველზე რეკონსტრუირებული საერთოქართველური არქეტიპების, ასევე ეტიმოლოგიური ლექსიკონებიდან უკვე ცნობილ შეპირისპირებათათვის დამატებითი მასალის წარმოდგენას.

**\*ბერ-**

ქართ. **ბერ-**ი “მოხუცი”

ზან. (მეგრ.) **ბად-**იდ-ი, (ლაზ.) **ბად-**ი “მოხუცი”

ქართულ ბერ- ძირს შესაძლოა შეესატყვისებოდეს ზანური **\*ბად-** (< **\*ბაჯ-** < **\*ზარ-** < **\*ზერ-**). ზანურში ბოლოკიდური ი-ს წინ ჯ-ს დ-ში სპორადული გადასვლისათვის დისიმილაციური დეპალატალიზაციის გზით შდრ.: (მეგრ.) **ფუდ-**ა “ფური; უხზო ფური” < **ფუჯ-** ი, **ხინდ-**ი “ხინჯი, მანკი” < **ხინჯ-**ი. დაკავშირება მეტ დამაჯერებლობას შეიძენდა, აღნიშნულ პოზიციაში ჯ > დ გადასვლის მაგალითები ლაზურშიც რომ დამებნილიყო.

**\*ზუარ-**

ქართ. (ქიზ.) ნა-**ზუარ-**ი “წვნივი მტვერი სწრაფი საქმიანობისაგან ადენილი”, (ქეგლ) ნა-**ზუარ-**ი, ნა-**ზუარ-**ა-ე “ნაწეწი, ნაგლეჯი, ნაფლეთი (მატყლისა, ბამბისა, ქსოვილისა და მისთ.)”, (ხევს.) ნა-**ზუერ-**ა-ე “ზუმბული; ბდღვირი, მტვერი”

---

<sup>1</sup> დასაწყისი იხ.: “ეტიმოლოგიური ძიებანი - X”, თბილისი, 2013, გვ. 3-26, “ეტიმოლოგიური ძიებანი - XI”, თბილისი, 2014, გვ. 17-38, არნოლდ ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 75-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2016, 30-39, “ეტიმოლოგიური ძიებანი - XIV”, თბილისი, 2017, გვ. 18-32, “ეტიმოლოგიური ძიებანი - XV”, თბილისი, 2018, გვ. 30-41, “ეტიმოლოგიური ძიებანი - XVI”, თბილისი, 2019, გვ. 42-55.

სვან. (ჩლრ.) **ბუარ**-ე “ქათამი კვერცხის დასადებ ადგილს დაემბს”

შეპირისპირებულ ქართულ და სვანურ ფორმათა დასაკავშირებლად უნდა დავუშვათ, რომ ამოსავალ ძირს “ამტვერების, აფუტკნის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ქართ. **ბუერ**-ი < **ზუარ**-ი უმლაუტით. უმლაუტისათვის ქართულში იხ. სარჯველაძე 1985.

#### **\*ზენგ-**

ქართ. (ქართლ.) გა-**ზენგ**-ილ-ი “გაპოხილი (ჭუჭყით, ქონით)”

ზან. (მეგრ.) გო-**ზანგ**-უ-ა “გასვრა, გათხვრა მოსქო თხიერ მასაში”

ქართულ **ზენგ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ზანური (მეგრული) **ზანგ**-. იმერული გა-**ზანგ**-ულ-ი “გასვრილი, გაჭუჭყიანებული, გათითხნილი”, გურული **ზანგ**-იან-ი “ჭუჭყიანი, ჭუჭყით გაშავებული” და აჭარული **ზანგ**-ელ-ა “თხუპნია, თხუნია” მეგრულიდან უნდა იყოს ნასესხები.

#### **\*ზრ-იალ-//\*ჟრ-იალ-**

ქართ. **ზრიალ**-ი, **ჟრიალ**-ი

ზან. (მეგრ.) **რზიოლ**-ი, **რჟიოლ**-ი “ზრიალი; ჟრჟოლა, ჟრუანტელის დავლა”

გ. კლიმოვა (1998, 65) ერთმანეთს დააკავშირა ქართული **ზრიალ**-ი და ზანური (მეგრული) **რჟიოლ**-ი და ქართულ-ზანური ერთიანობის დონისათვის აღადგინა **\*ზრ-იალ-** არქეტიპი. ჩვენი აზრით, ქართ. **ზრიალ**- ფუძეს უნდა დაუკავშირდეს ზან. (მეგრ.) **რზიოლ**-ი, ხოლო ზან. (მეგრ.) **რჟიოლ**- ფუძე ქართულ **ჟრიალ**-ს შეესატყვისება. ზან. (მეგრ.) **რზიოლ**- < **\*ზრიოლ**- < **\*ზრიალ**-, ხოლო **რჟიოლ**- < **\*ჟრიოლ**- < **\*ჟრიალ**-. ამ ტიპის, **-იალ** სუფიქსით ნაწარმოები, ქართული და ზანური პირველადი მასდარების დაკავშირებისათვის იხ.: აბაშია 1999, ცალკეულ შეპირისპირებათათვის, ასევე: კლიმოვი 1964, 165, კლიმოვი 1998, 65, 168, ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 224, 407, აბაშია 2004, 6, ფენრიხი 2007, 184, 370, ჩვენი - დამატებანი... VI, 2019, 52-53.

#### **\*ზურგ-**

ქართ. **ზურგ**-ი



ზან. (მეგრ. – ქობალია) **ზურგ**-ა, “ბორცვი, გორაკი, ქედი”, (ლაზ.) **ზურგ**-ი “შემადლებული ადგილი, გორაკი”

ზანური მასალა შეპირისპირებულია “ლაზურ-მეგრულ გრამატიკაში” (792). მნიშვნელობათა – “ზურგი [ზურგის ნაწილი]” და “შემადლებული ადგილი” – დაკავშირებისათვის შდრ., მაგ., ქართ. **ქედი**-ი “კისერი, წაგრძელებული მთა, სერი”, გერმ. **Rücken** “ზურგი, ქედი”, რუს. **хребет** “ხერხემალი, ზურგი, ქედი”, მონღ. **ser** “ხერხემალი, ბორცვი, ქედი”<sup>1</sup> და მრავალი სხვ. ამოსავალი აქ “ზურგის” მნიშვნელობაა, გეოგრაფიული სემანტიკა კი მეტაფორული გადატანით არის მიღებული. გეოგრაფიული ტერმინოლოგიის ანატომიური ლექსიკიდან მომდინარეობისათვის იხ., მაგ: Мурзаев 1974, 126-135.

### **\*ზღტ-ან-**

ქართ. სა-**ზღვ**-არ-ი, სა-**მზღვ**-არ-ი, ე-**ზღუ-ან**-ვ-ოდ-ა (საქ. მოც. 18, 7) “ესაზღვრებოდა”

ზან. (ლაზ.) ო-**ნძღ-ონ**-ა “საზღვარი”, ო-**ნძღ-ონ**-უ “გამიჯვნა”

ძველ ქართულში (“საქმენი მოციქულთანი”) დასტურდება **ზღვ-ან**- ზმნური ფუძე, რომლის კანონზომიერ შესატყვისსაც უნდა წარმოადგენდეს ზანურ (ლაზურ) ო-**ნძღ-ონ**-ა ფორმაში დაცული **ნძღ-ონ**- (<**ზღტ-ონ**-).

### **\*თქვლემ-/თქვლიმ-**

ქართ. (ჩვენებურების ქართ.) **თქვლემ**-ა-ი სხალი“მსხლის ჯიში, ძალიან წვნიანი”, (შავშ.) გა-**თქვლემ**-ა “გახეთქვა, ძლიერ ცემა”, **თქვლემ**-ა (ქიზიყ.) “ღორივით ჭლაპაჭლოპით პირზე ქაფგადმოდენით ჭამა რისამე (მაგ. ვაშლისა)”, (იმერ.) გა-**თქვლიმ**-ვ-ა “გასკდომა, გახეთქვა, გატყვრომა”, (ქართლ.) გა-ი-**თქვლიმ**-ებ-ა “გაიპობა, გაიხლიჩება (მაგ. ვაშლის დაცემისას)”...

ზან. (მეგრ.) **თქვაშ**-უ-ა “მაგრამ, გამეტებით ცემა, თხლემა”, გო-**თქვიმ**-ინ-ავ-ა “გასუქება, გათქვირება”, [მეგრ] (სვან. – ჩრლ., ლიპარტ.) **თქვაშ**, **თქვაშ**-ულ-ა-ი “რბილი ვაშლი”

ქართ. **თქვლემ-/თქვლიმ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ზან. (მეგრ.) **თქვაშ**-, ხოლო ქართულ **თქვლიმ**- ძირს – ზან. (მეგრ.)

---

<sup>1</sup> დიდი ალბათობით, მონღოლოურიდან უნდა იყოს შეთვისებული ქართ. სერი “მოგრძოდ წამოზიდული გორა”.

**თქვიმ-** სვანური ენის ჩოლურულ დიალექტში პოვნური **თქვამ**, **თქვამული** ფორმები მეგრულიდან უნდა მომდინარეობდეს.

**\*კუბალ-**

+ ქართ. **კობალ**-ი (საბა) “ჯოხი თავ-მგრგული”

+ სვან. (ზზ. - სვან. პოეზია, 196, 46) ჯიჰრჷ **კუბალ** “მუხის კომბალი”

მ. ჩუხუამ (2018, 88) ერთმანეთს დაუკავშირა ქართ. **კომბალ**-ი და ზან. (მეგრ.) **კობულ**-ი “მრგვალად გათლილი ხის ხელსაწყო, რომლითაც ყურძენს ჭყლეტენ საწნახელში” და აღადგინა **\*კობალ**-არქეტიპი. ვფიქრობთ, აქვეა განსახილველი მულახში ჩაწერილ ერთ-ერთ სვანურ ლექსში გამოვლენილი **კუბალ** ლექსიკური ერთეულიც, რომელიც საშუალებას გვაძლევს, სქ დონეზე **\*კუბალ**-პრაფორმა აღვადგინოთ. ქართ. **კობალ**- < **\*კუბალ**-, ზან. (მეგრ.) **კობულ**-ი < **\*კუბულ**- < **\*კუბალ**-.

**\*კუტერ-**

ზან. (მეგრ.) **კვარ**-ია, **ყვარ**-ია, **ყვარ**-ია, (ლაზ.) **კვარ**-ია, **ყვარ**-ია, **ყვარ**-ოჯ-ი “ყვავი”

სვან. **ჭუტერ** “ყვავი”

სვანურ **ჭუტერ**- (< **\*კუტერ**- კ-ის პალატალიზაციითა და აფრიკატიზაციით) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ზანური (მეგრულ-ლაზური) **კვარ**-.

**\*კილო-**

ქართ. **კილო** “ქუთუთოს შესაყარი”, (თუშ.)**კილ**-აჟ-ობ-ა-ჲ “თვალის ჩაკვრა არშიყოფის ნიშნად”

სვან. (ზზ. - ქრესტ., № 166) აჯალ თჷის იცტმენდახ თჷმი **კილჭარჭა** “ [თვალის ტკივილის დროს] კიდევ თაფლს ისვამდნენ ქუთუთოებზე”, (ჩლრ. - ლიპარტელიანი) კილჭარ “(1994) ქუთუთოების ძირები დალილავებულები - ფერშეცვლილი; (2014) ჩაშავებული ქუთუთოები”, (ლშხ. ტექსტები, № 16) თჷმი **კილჭარ** “ქუთუთოები”

სვანური **კილჭ**-არ- ქართულ კილო-ს შეუპირისპირა ასლ. ლიპარტელიანმა (1994, 164). **კილჭ**-არ ფორმა დასტურდება სვანური ენის ბალსზემოურ (იხ. ლენჯერში ჩაწერილი ტექსტები №№166, 167 “სვანური ენის ქრესტომათიაში”) და ლაშხურ დიალექტებშიც.

როგორც ჩანს, ამოსავალი მნიშვნელობა – “ქუთუთო” – სვანურს უნდა ჰქონდეს დაცული. ეგევე მნიშვნელობა ილანდება ქართული ენის თუშური დიალექტიდან მოხმობილ ფორმაშიც.

სვან. კილჷ- < \*კილო -.

**\*პყაჷ-ილ-**

ქართ. (აჭარ.) **პყავ-ილ-**ი “თხის ხმიანობა, კიკინი”

სვან. (ლშხ., ჩლრ.) **პყე-ლ-**ი, (ლნტ.) **პყე-ლ-**ი “კიკინებს თხასავით”

სვანური (ლშხ., ჩლრ.) **პყე-ლ-** < \***პყე(ჷ)-ილ-** < \***პყაჷ-ილ-** ა-ს უმლაუტის, ჷ-ს კარგვისა და ნაუმლაუტევი ე-სა და ი-ს შერწყმის გზით. **\*პყაჷ-ილ-** არქექტივი ქართული **ზღავ-ილ-** და სვან. **ზღე-ლ-**ი//**ზღე-ლ-**ი, **ზღე-ლ-**ი, **ზღე-ლ-**ი ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე რეკონსტრუირებულ **\*ზღაჷ-ილ-** პრაფორმის ყელხმული ცალია.

**\*სუკ-**

ქართ. **სუკ-**ი (ქეგლ) “საკლავის ზურგიდან ხერხემლის ორივე მხარეს გრძლად აჭრილი რბილი ხორცი”, (ხევს.) “გრძლად ამოხნეკილი”, **სუკ-**იან-ი “სუკიანი ხე, სუკიანი ხანჯარი”, (იმერ.) “ერთ მხარეს ბრტყელი და მეორე მხარეს მრგვალი (ფიცარი)”

ზან. (მეგრ.) **სუკ-**ი “ზორცვი, გორაკი; სერი; ვერდობი; ოდნავ შემადლებული (აბურცული) ადგილი დოლაბზე”

მნიშვნელობათა დაკავშირებისათვის იხ. ზევით: **\*ზურგ-**.

**\*ფაჷ-**

ქართ. (საბა) **ფა-**ენ-ი “სვიპტრა, ჯოხი სამეფო”, **ფა-**ინ-ი “ტაფელა”

სვან. **ფაუ**, **ფაჷუ**, **ფაუ** “ჯოხი”

ქართული **ფა-** < \***ფაჷ-** ბოლოკიდური ვ-ს კარგვით. სვანური **ფაუ**, **ფაუ** < \***ფაჷ-** ჷ-სა და სახ. ბრუნის ი ნიშნის შერწყმის გზით. ანალოგიური განვითარებისათვის შდრ. მ. ქალდანის მიერ ნავარაუდები პროცესი: ლშხ., ბზ. **ჟერუ** < ბზ. **ჟერჷ-ჟ**, ლნტ. **ჟერბ-**ი < \***ჟერ-**ი < \***ორ-**ი (ქალდანი 1969: 144).

**\*ფოცხ-**

ქართ. (ხევს.) **ფოცხ-**ავ-ს “სხეპავს, ტოტებს აცლის ხეს”, (თუშ.) **გა-ფოცხ-**ვ-ა-ჟ “ხის ტოტისთვის ფოთლების გაცლა”

ზან. (ლაზ.) **ფოცხ-ოლ-**ი “ზის ნაფოტები, ტოტები”, **ფოცხ-**ოფუნ-ა “ტოტებისა და ფოთლების გროვა”

ამოსავალ **\*ფოცხ-** ძირს “[ფოთლიანი] ტოტ(ებ)ის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

### **\*ფრუსტ-უნ-**

ქართ. **ფრუსტ-უნ-**ი (საბა)“პირუტყვთ დაცხიკვება ვის არა ენებოს სიცილის გამოჩინება და ერთს საცინელს საქმეზედ წარსცინოს და მალიად დაიდუმოს”, (ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი) “დაცხიკვება და ჩუმი სიცილი”

სვან. (ზზ.) **ფურსდ-უნ**, (ბქ.) **ფურსტ-უნ** “ჩურჩული”

შეპირისპირებულ ქართულ და სვანურ “პირველად მასდართა” სემანტიკური სხვაობა გვაგვარაუდებინებს, რომ აქ, შესაძლოა, არა ნასესხობასთან, არამედ საერთო წარმომავლობის ლექსიკურ ერთეულებთან გვექონდეს საქმე. იმის გათვალისწინებით, რომ ქართულში **ფრუსტუნ-**ი ისეთ “ჩუმ”, ნამალევ, თავშეკავებულ სიცილს აღნიშნავს, რომელიც არ სურთ, დაცინვის ობიექტმა “დაინახოს და გაიგონოს”, ვფიქრობთ, სვანურში განხორციელებული სემანტიკური გადაწევა ადვილად აიხსნება: “თავშეკავებული სიცილი” > “გადალაპარაკება, ჩურჩული”.

### **\*ქერ-ქერ-**

#### **\*ქერ-ქერ-ა-**

ქართ. **ქერქ-**ი “რისამე გამაგრებული გარეთა მხარე, ტყავი, კანი...”, **ქერქელ-**ა “გარე კანი, ჩენჩო (ლობოსი, მუხუდოსი, ცერცვისა და მისთ.)”, (ინგ.) **ქექერ** “ღორის მსუქანი ტყავი, დაკლულ ღორზე აჭრილი ხორცი ტყავიან-ჯაგრიანად”, (ლექს.) **ქენქერ-**ი “ქეჩო; მაგარი”

ზან. (ლაზ.) **ქაქარ-**ა “მაგარი და ხმელი” (ჯარი ქაქარა დიჟუ “პური გახმა და გამაგრდა”)

შეპირისპირებულ ქართულ და ზანურ (ლაზურ) ფორმათა ნათესაობა, ვფიქრობთ, აშკარაა. ქართ. ფორმები < **\*ქერ-ქერ-**. ზან.

(ლაზ.) **ქაქარ-** < **\*ქარ-ქარ-** < **\*ქერ-ქერ-**.

### **\*ყრუნტ-**

ქართ. (ხევს.) **ყრუნტ-**ი “ყლუპი”

სვან. (ლშხ. - ქრესტ., № 252) **ყრუნტ** “ყლუპი” (იხჟლიხ ჭიქხენ-ქა ემუხუ **ყრუნტ** ლეთროლს “სვამენ ჭიქიდან ერთ ყლუპ სასმელს”)

არ გვაქვს არავითარი საფუძველი, სვანური **ყრჷნტ** ქართულიდან შეთვისებულად მივიჩნით.

**\*შზრ-იალ-**

ქართ. **შზრიალ**-ი

ზან. (მეგრ. - ქობალია) **შზიორ**-ი “შზიილი, შზივილი, ჩზრიალი”

ზან. (მეგრ.) **შზიორ**- < **\*რშზიოლ**- < **\*შზრიოლ**- < **\*შზრიალ**-. ამ ტიპის, **-იალ** სუფიქსით ნაწარმოები, ქართული და ზანური პირველადი მასდარების დაკავშირებისათვის იხ., აქვე: **\*ზრ-იალ-/\*ჟრ-იალ**-.

**\*შზუ-ილ-**

ქართ. **შზუილ**-ი

ზან. (მეგრ. - ქობალია) **შზურ**-ინ-ავ-ა “შზუილით გასროლა”

სვან. (ბზ., ლშხ.) **შზჷლ**, (ბქ.) **შზულ**, (ბქ., ლნტ.) **შზგლ** “შზაპუნი, შზუილი”

ზან. (მეგრ.) **შზურ**- < **\*შზუ-რ**- < **\*შზუ-ირ**- < **\*შზუ-ილ**- სქ მასდარისეული \*-ილ სუფიქსისაგან მომდინარე -ირ (> -რ) სუფიქსის ძირთან შეხორცებით. ამ პროცესის შესახებ ზანურში იხ.: ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია, 656.

სვან. (ბზ., ლშხ., ჩლრ.) **შზჷლ**- < **\*შზუ-ილ**- ძირისეული უ და სუფიქსისეული ი ხმოვნების შერწყმისა და გრძელი უ ხმოვნის წარმოქმნის შედეგად. სვანურის გრძელხმოვნიან კილოებში ანალოგიურ პროცესს ადგილი აქვს ასევე უ ბოლოხმოვნიან სახელებზე კნინობითობის -ილდ სუფიქსის დართვისას, მაგ., ბზ. **ჟურჷლდ**, ლშხ. **ჟურჷლ** < **ჟურუ** + **ილდ** “ზვრელი” (გაზდელიანი 2014, 83; გაზდელიანი 1992, 150); ბქ. **შზულ**- < **\*შზუ-ილ**- ძირისეული უ და სუფიქსისეული ი ხმოვნების შერწყმის შედეგად (შდრ., მაგ., ბქ. **ფაულდ** < **ფაუ+ილდ** “ჯოხი” - ბზ. **ფაჷლდ**, ლშხ. **ფაჷლ**) ; ლნტ. **შზგლ**- < **\*შზულ**- < **\*შზუ-ილ**-.

**\*ძამ-**

ქართ. **ძამ**-ა “უხეში ქსოვილი (ლაზლისა); ტომარა (ასეთი ქსოვილისაგან)”

სვან. **ძამ**-რა “ტომარა”

ქართულ **ძამ**- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური **ძამ**-. -რა აფიქსისათვის სვანურში შდრ., მაგ. **გუდ-რა** “გუდა”. არქე-

ტიპის ორივე მნიშვნელობა დაცული ჩანს ძველ ქართულში. სვანურში მნიშვნელობა დავიწროვებულა. სვანური ძამ “ძამა” ქართულიდან უნდა იყოს შეთვისებული.

### **წორ-**

+ სვან. წორ “სისხლის საფასური (მკვლელობისას)”, ი-წურ-ი, ი-წურ-ი “შურს იძიებს, სისხლს აიღებს”

2016 წელს ქართ. სწორ-ს დავუკავშირეთ ზანური (მეგრ.) წორ-ი “სწორი, მართალი, თანაბარი, პირდაპირი” და ლაზ. წორ-ი “სწორი, თანასწორი, პირდაპირი” და, ვინაიდან მივიჩნიეთ, რომ სწორ- ფორმაში ს განვითარებულია, ქზ ერთიანობის ხანისათვის წორ- არქეტიპი აღვადგინეთ (“დამატებანი III”). ვვარაუდობთ, რომ ამავე ძირის ნაყარი უნდა იყოს დამოწმებული სვანური ფორმებიც. სვანურში მნიშვნელობა დავიწროვებულა. ამგვარი სემანტიკური განვითარებისათვის შდრ. ქართ. გა-სწორ-ებ-ა “სწორად ქცევა, სწორი სახის მიცემა > სამაგიეროს გადახდა, შურისძიება”, ლარდილური (ავსტრალია, კუინზლენდი, მორნინგტონის კუნძული) junkari “სწორი, პირდაპირი, სწორად, პირდაპირ > ვალის გადახდა, მიზღვა, სამაგიეროს გადახდა, შურისძიება”.

### **წყურტ-**

ქართ. (საბა) წყურტ-ი “დიაბეტი”

ზან. (მეგრ. - ქობალია) ჰყურტ-ი, მა-ჰყურტ-ია “დიაბეტი”

ქართ. წყურტ- ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ზან. (მეგრ.) ჰყურტ-. ქართ. (ლექს.) მა-ჰყურტ-ია “იგივე ჰყურტი”, (იმერ.) ჰყურტ-ი “ისე ძლიერ წყურვილი, რომ სვამდეს და ვერ კმაყოფილდებოდეს”, (მესხ.) ჰყურტ-ვ-ა “დაწაფებით სმა” ზანურიდან უნდა მომდინარეობდეს. დამოწმებული მასალის ქართულ წყურ-ილ-ი, წყურ-იელ-ი... ფორმებთან შეპირისპირება გვაგვარაუდებინებს, რომ არქეტიპში შეიძლება წყურ- ძირი და -ტ- სუფიქსური ელემენტი გამოიყოს.

### **კოკყ-//კოკკ-**

ქართ. კოკყ-ი “1. მოზვერი; 2. წვრილი ქვა, ღორღი”, (ხევს.) “წვრილი რქოსანი პირუტყვის ჯოგი”, კოკყ-მაკყ-ი “წვრილი მამალი რქოსანი პირუტყვი”

სვან. (ზზ. - ქრესტ. № 23) **ჭუნჳკ-იმ-ჭუნჳკ** “წვრილფეხოზა” (ჯედნიხ ღუაჟარ, ზურალარ, ბოფშარ ი ჰესამა **ჭუნჳკიმჭუნჳკ** ჩტარ ი ეჟ ლაზგაისგა “მოდინ კაცები, ქალები, ბავშვები და თუ რამე წვრილფეხოზა ამ სახლში”)

შესატყვისოზა ქართ. ჳყ : სვან. ჳკ არარეგულარულია, მაგრამ ჩვენ მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია ქართ. **ჭოჳყ-** და სვან. **ჭუნჳკ-** (< **ჭონჳკ-**) ძირების დაკავშირება. ამოსავალ ძირს “რაიმე მცირის, პატარის, წვრილის” მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ხოლო ჳყ//ჳკ მონაცვლეობა ძირის ბგერწერითი ხასიათით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

### **ჭყმე(ნ)ტ-/ჭყმი(ნ)ტ-**

ქართ. (ხევს.) **ჭყმეტ-**ა “ჟლეტა”, (ქიზიყ.) **ჭყმენტ-**ა “კვნეტა, წყვეტა”, (ქეგლ. - ქიზიყ.) **ჭყმეტ-**ა (წა-**ჭყმიტ-**ა) “თითებით წყვეტს (ნედლ ბალახს, ყლორტს და სხვ.)”

ზან. (მეგრ.) **ჭყუმონტ-**უ-ა “ჭყლეტა, სრესა”

ქართ. **ჭყმე(ნ)ტ-/ჭყმი(ნ)ტ-** დრეკადი ძირების შესატყვისად ზანურში (მეგრულში) ვლინდება გაქვევებული სახით (გახმოვანების ო საფეხურზე) შემორჩენილი **ჭყუმონტ-** ძირი (< **ჭყგმონტ-** < **ჭყმანტ-**). მეგრულში ამგვარი სახით შემორჩენილი, “წარმოშობით ალბათ ფუძედრეკადი ზმნების” შესახებ იხ. გუდავა 1974.

### **ზრიალ-**

ქართ. **ზრიალ-**ი

ზან. (მეგრ.) **ზიორ-**ი “ჭაქანი, ჳახანი, ზრიალი...”

ზან. (მეგრ.) **ზიორ-** < **ზრზიოლ-** < **ზრიოლ-** < **ზრიალ-**. ამ ტიპის, **-იალ** სუფიქსით ნაწარმოები, ქართული და ზანური პირველადი მასდარების დაკავშირებისათვის იხ., აქვე: **ზრ-იალ-//ზერ-იალ-, ჴშზრ-იალ-**.

### **ჯებ-**

ქართ. **ჯებ-**ა (დ. გურამ.) “ჯახება”, (გურ.) გა-**ნჯებ-**ებ-ა “მაგრად გაჭედვა; კარის მაგრად, ხმაურით გახურვა”

ზან. (ლაზ.) ო-**ნჯახ-**უ “დაბეჟვა, დაჟეჟვა, ცემა”

ქართ. **(ნ)ჯებ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ზან. (ლაზ.) **ნჯახ-**.

### **\*ჰად-ჰად**

ქართ. **ჰაი-ჰაი** (ხევს., ფშ., თუმ., მოხ., სამცხ.-ჯავახ.) //(შან.)  
**ჰად-ჰად** “დიახ, კი, რა თქმა უნდა”

სვან. **ჰად-ჰად** (ბზ. - პოეზია 168, 153)

მულახში ჩაწერილ ერთ-ერთ ლექსში გამოვლენილი **ჰად-ჰად** (**ჰად-ჰად**, სურნ, ბუა ფუთა “ჰად-ჰად, ნეტამც, მამავ ფუთა”) ქართული **ჰად-ჰად**//**ჰაი-ჰაი**-ს ზუსტი ფონეტიკური და სემანტიკური შესატყვისია.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**აბაშია 1999** – რ. აბაშია, სუფიქსური შესატყვისობისათვის ქართველურ ენებში. II. ქართ. -იალ : ზან. -იორ//ენათმეცნიერების ინსტიტუტის LVIII სამეცნიერო სესია.

**აბაშია 2004** – რ. აბაშია, ბგერათშესატყვისობის ახალგამოვლენილი რიგისათვის ქართველურ ენებში. II//ქართველოლოგიური კრებული III.

**გიგინეიშვილი 2016** – ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ), თბილისი.

**გუდავა 1974** – გუდავა ტ., ფუძედრეკადი ზმნები მეგრულში//მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4.

**კლიმოვი 1964** – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М.

**კლიმოვი 1998** – Klimov G. A., Etymological Dictionary of the Kartvelian Languages, Mouton de Gruyter, Berlin - New York.

**სარჯველაძე 1985** – სარჯველაძე ზ., უმლაუტის კვალი ქართულში// საქართველოს მეცნიერების აკადემიის მოამბე, 120,1.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე გამოცემა, თბილისი.

**ფენრიხი 2007** – Fähnrich H., Kartwelisches Etymologisches Wörterbuch, BRILL, Leiden-Boston.



**ჩუხუა 2000-03** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუხუა 2018** – ახალი მასალები ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის//ეტიმოლოგიური ძიებანი, XV.

**Мурзаев 1974** – Мурзаев Э.М. Очерки топонимики, “Мысль”, Москва.

LEVAN KELAURADZE

**Addenda to the Etymological Dictionary of the  
Kartvelian Languages - VII**

Summary

The paper continues the publication of possible new cognates identified among the Kartvelian languages, and Common Kartvelian archetypes reconstructed on the basis of their comparison, as well as additional material to the comparisons already known from the etymological dictionaries.

**აბრუ**  
(მტიმოლოგია)

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ლექსემა **აბრუ** განმარტებულია შემდეგნაირად:

**აბრუ** (აბრუსი) სახელი, პატივი, ავტორიტეტი. «უფალი სუღია» თავის ღირსებისა და აბრუსგან სადიდებლად, აი, კიდეც რას იტყვის ხოლმე (**ვაჟა**). ხალხში აბრუს გამლიერება მისთვის არაფრის მაქნისია? (**ილია**). ◊ **აბრუს 'არ' 'გა'იტებს** არ იმჩნევს გაჭირვებას, გულს არ იტებს, არ ეკუება. დარეჯანი კიდეც მხნეობს, აბრუს არ იტებს (**გ. ზარნ.**). აღარც თუ თალალა გაიტებსდა აბრუსა, ცხვირს აღარ იზამდა ქვაციხისაკენა (**ო. ჩხ.**). ლამაზად გაჭადარავებული ქალბატონი ლიზიკო აბრუს არ იტებსდა (**კ. ლორთქ.**). ◊ **აბრუსგატება** სახელის შერცხვენა, ავტორიტეტის დაცემა. ფეხის შემოდგმა რუსეთისა საქართველოში და მათი (= სპარსეთისა და ოსმალეთის) აბრუსგატება და თითქმის დაქვეითება დასავლეთსა და მცირე აზიაში ერთი იყო (**ილია**).

**აბრუგაზვიადებულ**-ი (**აბრუგაზვიადებულისა**) განდიდებული, ამპარტავანი. „ჩვენ ეს შეცდომა რად უნდა გვეკვიჩინოს აბრუგაზვიადებულ გაბედვით“ (**ილია**).

**აბრუგატებილ**-ი (**აბრუგატებილისა**) სახელშერცხვენილი. – „რა მოხდა, ბიჭო? – ჰვითხა ქალბატონმა ოლინკამ აბრუგატებილ ბიძაშვილს“ (**კ. ლორთქ.**).

**აბრუგატებილობა** (აბრუგატებილობისა) სახელის შერცხვენა. „არავინ იცის, რით გათავდა ეს აბრუგატებილობა ახლანდელი სამინისტროსი“ (**ილია**).

**აბრუიან**-ი (**აბრუიანისა**) ინდ. აბრუსმქონე, – „სახელიანი, პატივდებული. რაკი ყოველივე ეს ევროპაშია..., ამისთანა აბრუიანი სახელებიცა აქვს“ (**ილია**).

ეს სიტყვა უნდა მომდინარეობდეს ტაპანთური **ჯაზრა** „თმა“ სიტყვისაგან, **ჯა** „თავს“ აღნიშნავს, **აზრა** „თმა“, „ბეწვია“. აფხაზურში

ეს სიტყვა მხოლოდ ცხენის „ფაფარს“ აღნიშნავს. ზოგადად „ბეწვის“, „თმის“ აღმნიშვნელმა სიტყვამ, სავარაუდოდ, გაიფართოვა მოხმარების არეალი და კავკასიური მენტალობით ულვაშის, ნამუსის მნიშვნელობაც იტვირთა.

სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კავკასიურ სამყაროში ფიცის, ნამუსის, პირობის მისაცემად ულვაშს იყენებდნენ და ეს ითვლებოდა უმაღლეს გარანტიად ფიცის, პირობის გაუტეხაობისა.

აქედან მნიშვნელობანი: **აბრუიანი** „აბრუსმქონე, – სახელიანი, პატივდებული“ და **აბრუგატეხილი** „სახელშერცხვენილი“.

### გამოყენებული ლიტერატურა

**ლომთათიძე 2020** – ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, თბილისი.

**როგავა, კერაშევა 1966** – Г. В. Рогова, З.И. Керашева, Грамматика Адыгейского языка, Краснодар, Майкоп.

**ქეგელ 2007** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტომი I, ა–ბ; რედაქტორი–ავთანდილ არაბული, თბ.

NANA MACHAVARIANI

“**Abru**”

(Etymology)

Summary

We think that the lexeme **Abru** is derived from the Tapanta word **gabra** “hair” as **ga** means “head” and **Abra** means “a hair”. In Abkhazian, this word denotes only the horse mane. In general, the word denoting “a hair”, probably expanded the area of use and gained the meaning of mustache, conscience with the Caucasian mentality.

It is known from the scientific and fiction literature that in the Caucasian world, a mustache was used to give an oath, a promise, and this was considered to be the highest guarantee of unbreaking the oath.

Here are the meanings: **Abruiani** “having *abru*, – honest, respected” and **Abrugatekhili** – “ashamed”.

**ქართველური იტიმოლოგიები:  
ამგობარი, გაფშალია**

**❖ მ მ გ ო ბ ა რ ი:**

სამეცნიერო ლიტერატურაში „მეგობარ-“ ფუძის წარმომავლობის შესახებ ორგვარი მოსაზრებაა გამოთქმული:

**(1) ალ. ჭინჭარაული** მეგობარ- ფუძისათვის ამოსავლად თვლის გუობ- (გუობს, შეგუება) ზმნურ ფუძეს: „*ქართულში შე-პრე-ფიქსიანი ფორმა (შე-გუ(ვ)-ება-ა) შეჩვევას, დაახლოებას, გულთან ახლოს მისვლას ნიშნავს. აქედან არის ნაწარმოები სიტყვა მეგობარი (მე-გუობ-არ-ი). ფაქტური ნესტანზე მოუთხრობს ავთანდილს: „გარდევუკოცნე ყოვლი ასი, თავი ამაღ მოვადულე, ზედა დავსვი ტახტსა ჩემსა, შეევეკეთე, გავესულე (1138,4). ერთ ხელნაწერში იკითხება: შე-ვევუთე, გავესულე“, რაც აგრეთვე იმაზე მეტყველებს, რომ შე-გუ(ვ)-ება-ა და გა-სულ-ება-ა სულ-გულით ერთობას ნიშნავს“ (ალ. ჭინჭარაული, 1996, გვ. 99).*

**(2) ზ. ჯორბენაძის, მ. ზერიძისა და მ. კობაიძის** 1988 წელს გამოქვეყნებულ „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ ვკითხულობთ (გვ. 41): „**არ- სახელადი ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი (...)** ივარაუდება **მე- პრეფიქსთან ერთად: გობ-ი > მე-გობ-არ-ი** (გ. ლეონიძე)“. შემთხვევითი არ არის ცნობილი პოეტის მითითებაც: დღესაც ზევს ჰგონია, რომ **მე-გობ-არ-ი** ეფუძნება **გობ-** („გობი“) **სახელურ ფუძეს**.

ბოლო პერიოდში ამ თვალსაზრისის განვრცობა სცადა **მ. დლონტმა**; კერძოდ, მისი აზრით, „*უმძველესი ქართული სუფრის- „პურ-ღვინოს“ საუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიციის, კერძოდ, მისი განმსაზღვრელი უხილავი სულიერი ფაქტორების გათვალისწინებით, მეგობარ-ში შესაძლებელი ხდება, ამოვიცნოთ ამ სიტყვის ამოსავალი – „გობი“.* ეს ხის ჭურჭელი, თავისი ფორმითა და სა-

ღვთისმეტყველო შინაარსით, საოჯახო ტრაპეზთან ერთად შემომსხდარ ჩვენს წინაპართ სიმბოლოურად ახსენებდა და ხილულად განაცდევინებდა ზიარების ჭურჭელს – იმ წმინდა ბარძიმს, საიდანაც მრევლი (ამჯერად – ოჯახის სიმბოლოურად გამოძხატველი) ერთობლივად ეზიარება ქრისტემიერ „პურსა ჩუენსა არსობისა“, რომელიც, საეკლესიო თარგმანებით, მრჩობლად შეიცავს ხორციელსა და სულიერ საზრდოს. იგივე „გობი“ – ვითარცა ზიარების წმინდა საიდუმლოს (ქრისტესმიერი საზრდო-სასმელის) ხილული ქმედების გამოძხატველი – ასევე მრჩობლად, ერთგვარი ურთიერთშემავსებლობითი შინაარსით ეწყვილება „პურ-ღვინოს“ წარმმართველ რიტუალს – სადღეგრძელოს, ოჯახის წევრისა თუ სტუმრის დალოცვას ქრისტესმიერი ტკბილი სიტყვით“ (ვრცლად იხ. მ. ღლონტი, 2014).

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, **მეგობარ-** ფუძეში გობ- („გობი“ ჭურჭელი) სახელური ფუძის დაშვებას ეწინააღმდეგება რამდენიმე ფაქტობრივი მონაცემი:

**ა)** ძველი ტექსტების სიტყვა-ფორმა **გობი** განიმარტება, როგორც: **„მღვიმე“**, **„ორმო“**, **„თხრილი“** და არა, როგორც „ხის ჭურჭელი“. ამ უკანასკნელის მნიშვნელობით გვაქვს **„გუზი“**(ილ. აბულაძე). შეუძლებელია **გუზ-** ფუძიდან მიგვეღო „მეგობარი“, რამდენადაც ჰიპოთეტურ **მეგუზარ-** ფუძეში არანაირი საფუძველი არ არსებობს დავუშვათ **უ > ო** ფონეტიკური პროცესი: \*მეგუზარი > მეგობარი: ცნობილია, რომ ბაგისმიერი თანხმოვნის მეზობლად ვიწრო (მაღალი აწეულობის) **უ** ხმოვანი არასოდეს გადადის უფრო ფართო (საშუალო აწეულობის) **ო** ხმოვანში;

**ბ)** „მეგობარი“ დასტურდება პირველ ქართულ წერილობით ძეგლებშივე; დიდი ალბათობით, ლექსემა „მეგობარი“ შექმნილია ქრისტიანობამდე – წარმართულ პერიოდში.

**გ)** არცერთი წყაროთი და არც ეთნოგრაფიული მასალით არ დასტურდება „გობიდან“ ტრაპეზობა. ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მთავარი საიდუმლოს – **ზიარების** – რიტუალის შესრულებისას გამოყენებულ **ბარძიმში**<sup>1</sup> „ღვთისმსახურების დროს ღვინო

---

<sup>1</sup> პეტროზილო პიეროს „ქრისტიანობის ლექსიკონში“ კი სიტყვა ბარძიმის ასეთი განმარტება გვხვდება: „წმიდა ჭურჭელი, რომელშიც წირვის დროს ღვინოს ასხმენ და აკურთხებენ“.

გარდაიქმნება ქრისტეს სისხლად“; შესაბამისად, **მოსაზრება**, რომ „საოჯახო ტრაპეზთან ერთად შემომსხდარ ჩვენს წინაპართ გობი სიმბოლურად ახსენებდა და ხილულად განაცდევინებდა ზიარების ჭურჭელს“, **ავტორისეული კეთილგონიერი წარმოსახვაა**;

**დ) საქართველოში საჭმელ-სასმელის მიღების მრავალსაუკუნოვანი კულტურის მთავარი მახასიათებელია **სადღეგრძელოს თქმა**; შესაბამისად, ნაკლებადაა მოსალოდნელი, **თანამესუფრეობის** მიხედვით შექმნილ ტერმინში „გობიდან ჭამაზე“ აქცენტირება. ქართული პურობა ქრისტიანული წირვა-ლოცვის ხალხური ტრანსფორმაციაა და მთავარი ყურადღება გადატანილია ოჯახის წევრისა თუ სტუმრის დალოცვაზე (სადღეგრძელოზე) და არა – ჭამაზე;**

**ე) ეთნოგრაფიული კვლევებიდან ცნობილია, რომ ძველ საქართველოში პურობის დროს იყენებდნენ **ფეშუმს** ან **ტაბლას** (ე. ნადირაძე, 2011). ტრაპეზისას მაგიდაზე იდებოდა ჯამი (ჯამები) და არა – გობი. ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, ასევე, სქელი ფიცრებით გაკეთებული **მაგიდა**, რომელშიც ამოჭრილი იყო ჯამის მოყვანილობის სივრცე – აქ ასხამდნენ ოჯახის თითოეული წევრისათვის განკუთვნილ საჭმელს<sup>1</sup>;**

**ვ) გობი** (< გუბი) არ არის ჭამისათვის განკუთვნილი ჭურჭელი. გობს აქვს მხოლოდ სამეურნეო დანიშნულება<sup>2</sup>.

**მეგობარ-** ფუძის ფორმოზღვი და სემანტიკური ანალიზი მხარს უჭერს ალ. ჭინჭარაულის მოსაზრებას, რომ სიტყვა-ფორმა „მეგობარი“ ნაწარმოებია **გუ(ვ)ებ-** (/შეგუ(ვ)ება, შეთვისება) ზმნური ფუძისაგან (იხ. ქვემოთ).

---

<sup>1</sup> შესაბამისი ეთნოგრაფიული მასალა დაცულია ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში; კერძოდ, მასალების მიხედვით, ოკრიბაში, დანარჩენ იმერეთში (სოფლები: ჯიხაში, როხი, ფერსათი, ბზვანი...) ველზე მუშაობის დროს არაერთგზის ჩავიცივრია მასალები, რომელთა მიხედვითაც ხის ოთხფეხა მაგიდეზე ამოჭრილი იყო ჯამის ოდენობის „ღრუბი“, სადაც სუფრასთან დამსხდარ ოჯახის წევრებს ოჯახის დიასახლისი ჩაუდებდა, ჩაუსხამდა საკუთარ „ულუფას“ (დ. შავიანიძე).

<sup>2</sup> **გობი** – „დიდი ზომის ამოთლილი ან ფიცრებით შევრული ხის ჭურჭელი, უმთავრესად იზმარება ცომის მოსაზედად, სანოვავის დასაწყობად, ლობიოს, მხლის დასატუკად//დასაკვად“; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი (ე. ნადირაძე, 2011).

## **მე-გობ-არ-ი – ზმნური ფუძისაგან კონფიქსით ნაწარმოები სახელი:**

სიტყვა-ფორმა **მე-გობ-არ-ი** ნაწარმოები სახელია: გამოიყოფა **მე – არ** კონფიქსი და **გობ-** ფუძე (**გობ-**ის სემანტიკის შესახებ იხ. ქვემოთ). ეს კონფიქსი დღეს ნაკლებპროდუქტიულია. ილია აბულაძისა და ზურაბ სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონებში, სულხან-საბასა და ნიკო ჩუბინაშვილის ქართულ ლექსიკონებში, ასევე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში, „მეგობარის“ გარდა, დადასტურებულია **მე – არ** კონფიქსით ნაწარმოები კიდევ **10 სახელი**. ქვემოთ გავანალიზებთ მხოლოდ ისეთ სიტყვა-ფორმებს, რომლებშიც უკამათოდ გამოიყოფა კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობის მქონე **ძირი/ფუძე** და **მე – არ** კონფიქსი: **მებუდარი, მედგარი, მეციცხარი, მეომარი, მერცხალი, მეტირალი, მელოდარი, მეცარი, მემებარი, მეჩხუბარი**. ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის მნიშვნელოვანია, რომ **ყველა დასახელებული სახელი არის მიმღეობა**— ზმნური ფუძისაგან ნაწარმოები სახელი; შდრ.:

**მე-ბუდ-არ-ი:** ამოსავალია ზმნური ლექსიკური ერთეული „**ბუდობა**“ (ბუდობს). ილ. აბულაძე ასე განმარტავს: **მებუდარი**— „მბუდებელი“, მობუდარი. **მებუდარი** მიმღეობაა და ნიშნავს მას, ვინც/რაც ბუდობს.

**მე-დგ-არ-ი:** ამოსავალია ზმნური ლექსიკური ერთეული „**დგომა**“ (დგას).ძველი ქართული ენის ლექსიკონებში **მედგარი** ნიშნავს: ცუდს, ავს, ბოროტს... ზარმაცს; ასევეა სულხან-საბასთანაც (1685 – 1716) და ნიკო ჩუბინაშვილთანაც (1812-1825 წ.): „მცონარი“, „მზაკუარი“. ვფიქრობ, „მედგარის“ ამოსავალი სემანტიკაა „ზარმაცი“ (ვინც დგას, არ იძრევა, უსაქმურია). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის მიხედვით, „მედგარი“ განიმარტება, როგორც „ძლიერი“, „მაგარი“, „შეუპოვარი“... ამ შემთხვევაშიც ამოსავალია დგომა: **მედგარი – ვინც დგას**, უკან არ იხევს. ჩანს, **სიტყვის სემანტიკა ბოლო ორმა საუკუნემ შეცვალა:** შემოსეული მტრის სიმრავლის გამო **გამღება** (მყარად დგომა) ღირსებად იქცა; ანუ: ძველი ქართველისათვის **დგომა** თუ იყო სიზარმაცე და საშინელება, ბოლო საუკუნეების ენობრივ ცნობიერებაში **დგომა** ასოცირდება ბრძოლაში უკანდაუხველობასთან; მეტიც, ქველის ავტორთა მიერ „მედგარი“

განმარტებულია ისეთ მიმღეობად (ზმნური წარმოშობის სახელად), რომელიც აღნიშნავს შეუპოვარ პირს. აქვეა ასეთი შესიტყვებებიც: მედგარი ბრძოლა, მედგარი იერიში. საინტერესოა სვანური კილოების მონაცემი: **მედგარი** „მომაკვდავი“; აშკარაა, რომ სვანურს შემონახული და განვითარებული აქვს **მედგარ-** ფუძის არქაული (ნეგატიური) მნიშვნელობა.

**მე-კიცხ-არ-ი:** ამოსავალია ზმნური ლექსიკური ერთეული „**კიცხვა**“ (კიცხავს). ილია აბულაძის ლექსიკონში **მეკიცხარი/მეკიცხველი** „დამცინავი“ ფორმებისათვის ამოსავალ ზმნურ ფორმად მიჩნეულია **კიცხევა** – „დაცინვა“, „ლანძღვა“. ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“ (თბ., 2001) „მეკიცხარი“ განიმარტება, როგორც „მკიცხველი“: ადამიანი, ვინც სხვას დასცინის.

**მე-ომ-არ-ი:** ამოსავალია ლექსიკური ერთეული „**ომი**“; შდრ. ზმნა „ომობს“; აქედან: **მე-ომ-არ-ი**. საინტერესოა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის განმარტება: **მეომარი**– „ვინც ან რაც ომობს“. **მეომარი** არის „ომობს“ ზმნის აწმყოს მწკრივის ფორმისგან წარმოქმნილი **მიმღეობა** (ქეგლ); ანუ ქეგლ-ის ავტორები ცალსახად ამბობენ, რომ „მეომარი“ მიმღეობაა და არა – სახელურიმარტივი ფუძისაგან ნაწარმოები სახელი (როგორც, მაგ., მე-კარ-ე < კარ-ი).

**მე-რცხ-ალ-ი:** ტ. გუდავას აზრით, ამოსავალია ხმაბაძვითი ზმნური ლექსიკური ერთეული, „რომელიც მერცხლის ხმიანობას, მის ჭიკჭიკს ასახავს... ეტიმოლოგიურად **მერცხალი** „მოჭიკჭიკეს“ ნიშნავს“ (ტ. გუდავა, 1964, გვ. 143-145). მეც ვფიქრობ, რომ „მერცხალი“ ზმნური მიმღეობაა, თუმცა, განსხვავებულად წარმოვადგენ ფუძის რეკონსტრუქციას; კერძოდ, ტ. გუდავა **მერცხალ-** ფუძის ამოსავალად სახავს მერწიხალ-/მეწირხალ- ვარიანტებს; შესაბამისად, საერთოქართველურში აღადგენს **\*რწიხ-/წირხ-** ძირს. ზურაბ სარჯველაძისა და ჰაინც ფეინრიხის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში მცირეოდენი დაზუსტებით გაზიარებულია ამგვარი რეკონსტრუქცია; შდრ.:

„საერთოქართველური: **\*რწიხ-**;  
ქართ. **რცხ-** მე-რცხ-ალ-ი;



მეგრ. **რჭიხ-ჭირხ-** მა-რჭიხ-ოლ-ი / მა-ჭირხ-ოლ-ი „მერცხალი“: ჭირხოლია „მოჭიკჭიკე“ (ზ. სარჯველაძე, ჰ.ფეინრიხი, 2000, გვ. 391).

ჩემი აზრით, საერთოქართველურ ამოსავალ ფუძედ შეიძლება დავსახოთ ხმიანობის გამომხატავი \*ჭახ- ძირი (შდრ. ჭახ-ან-ი, ჭახ-ჭახ-ი...), რომლის მეორეული ვარიანტია \*ჭარხ- (რ- ფონეტიკურადაა განვითარებული)<sup>1</sup>. \*ჭარხ- ფუძიდან საერთოქართველურში მიღებულია მერცხალ- ფუძის წინა ვარიანტი: \*მე-**ჭარხ-ალ-ი** „მოჭიკჭიკე“. საერთოქართველური \*მე-ჭარხ-ალ-ი ძველი ქართული ტექსტებიდანვე ტრანსფორმირებული სახით დასტურდება: \*მე-ჭარხ-ალ-ი / \*მერჭახალი > \*მერჭხალი > მერცხალი. \***მე-ჭარხ-ალ-ი** / \***მერჭახალ-ოლ-ი** საიდანაც ე > ი პროცესით მიღებულია თანამედროვე მეგრული ფორმები: მაჭირხოლი/მარჭიხოლი.

**მერცხალ-** ფუძის საერთოქართველური არქეტიპის რეკონსტრუქციის რომელი ვარიანტიც არ უნდა გავიზიაროთ, ფაქტია, რომ მე-რცხ-ალ-ი ზმნური მიმდევობაა, რომელიც იწარმოება **მა-არ** კონფიქსით (ფუძისეული რ-ს გავლენით: **მა-არ-მა-ალ**).

**მე-ტირ-ალ-ი:** ამოსავალია საწყისი ფორმა **„ტირილი“** (ტირის). ილია აბულაძის განმარტებით: **მეტირალი-** „მტირალი“, „მგოდებელი“, „შემსხმელი გოდებისაჲ“. მეტირალი მტირალის მსგავსად არის „ტირის“ ზმნის მიმდევობა: მტირალი – „ვინც ტირის“ (ქეგლ).

**მე-ლოდ-არ-ი:** ამოსავალია ზმნური ლექსიკური ფუძე **„ლოდ-**. ილია აბულაძის განმარტებით: **მელოდარი** – „აშული“, „საზანდარი“; ზურაბ სარჯველაძის მიხედვით – „მომღერალი“. ზმნური ფორმების საწყისია **ლად-ებ-ა** „ყვირილი“ (ზ. სარჯველაძე). ლად-/ლოდ- ძირისგანაა ნაწარმოები ასევე: **ლადდება** (< \*ლად-ლად-ებ-ა) „ხმიანობა“; სილოდ-ა „სიმღერა“ და სხვ.

**მე-ც-არ-ი:** ამოსავალია ზმნური ლექსიკური ერთეულია **„ცოდნა“** (იცის). **მეცარი** „მცნობელი“ (სულხან-საბა), მცოდნე. აშკარაა, რომ **მეცარი** მიმდევობაა. „მეცარი“ შემონახულია სვანურ დიალექტებში: **მეცარ-** „მკითხავი“.

<sup>1</sup> ამავე **ჭახ-** ძირის სახესხვაობებია: **ჭახ-ჭახი, ჭიხვინი...**

**მე-ძებ-არ-ი:** ამოსავალია ზმნური ლექსიკური ერთეული **ძებ-ნა** (ეძებს). მეძებარიც მიმღეობაა.

**მე-ჩხუბ-არ-ი:** სახელისათვის ამოსავალია ლექსიკური ერთეული **ჩხუბი**; შდრ., ზმნა:ჩხუბობს. მეჩხუბარი – კაცი/ცხოველი, რომელიც ჩხუბობს – „მოჩხუბარი“. „მეჩხუბარი“ სიტყვა-ფორმაც მიმღეობაა.

ქველ-ში დამოწმებულია ერთი ასეთი მაგალითიც: **მეკობარ-ი** („იგივეა რაც მეკობრე“). საილუსტრაციოდ მითითებულია ერთადერთი წინადადება ივ. მაჩაბლის თარგმანიდან. რთული საკითხია ასეთი ფორმის რეალურად არსებობის მტკიცება, რამდენადაც ძველი ქართულის ლექსიკონებში დადასტურებულია მხოლოდ „მეკობრე“; რაც მთავარია, **მე – არ** სემანტიკებს კონფიქსად თუ ჩავთვლით, ბუნდოვანია **კობრ-** ფუძის მნიშვნელობა.

დამატებით აღვნიშნავთ:

**მე – არ** კონფიქსის ფუნქციით დღეს აქტიურია **მ – არ, მა – არ-და მო – არ** კონფიქსები: შუღლობს: **მო-შუღლ-არ-ი**; აქებს: **მა-ქებ-არ-ი**; ხატავს: **მ-ხატვ-არ-ი**; ჩხუბობს: **მო-ჩხუბ-არ-ი...** (სხვა მასალისათვის იხ. ბ. ჯორბენაძე... 1988, გვ. 41, 288).

შდრ.: **მე – ე** და **მე – ურ/-ულ** კონფიქსები, რომლებიც არსებითი სახელისაგან აწარმოებს **პროფესიის/ხელობის აღმნიშვნელ** ლექსიკას, რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან – რიგობით სახელს:

**მე – ე:** მე-ათას-ე, მე-აბჯრ-ე, მე-ბად-ე, მე-ვენახ-ე, მე-კარ-ე, მე-კვლ-ე, მე-ღვინ-ე, მე-ციხოვნ-ე, მე-დავითნ-ე...

**მე – ურ:** მე-ბად-ურ-ი, მე-გზ-ურ-ი, მე-დღე-ურ-ი, მე-ძნე-ურ-ი, მე-ძუძუ-ურ-ი... შდრ., ასევე, **მე – ე** დაერთვის ზედსართავ სახელსაც: დიდი – მე-დიდ-ურ-ი.

საინტერესოა **მე – ელ** კონფიქსის ფუნქციაც: მე-ეზო(ბ)-ელ-ი.

ამრიგად, **მე – არ** კონფიქსით ნაწარმოებ სახელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს კონფიქსი გამოიყენება მხოლოდ **ზმნური ფუძეებისაგან** სახელის საწარმოებლად; კერძოდ, **მე – არ** არსებით სახელად ქცეული მიმღეობის მაწარმოებელი კონფიქსია (ზმნური ფუძისაგან აწარმოებს ზედსართავ სახელს). ასე წარმოქმნილი სახელი აღნიშნავს თვისებას, უნარს, რაიმე ნიჭის ქონას. ყველა ეს ზედსართავი სა-

ხელი უკვე არსებით სახელადაა ქცეული. შესაბამისად, ლოგიკურია, დავუშვათ: **მე-გობ-არ-** ფორმის **გობ-** ზმნური ფუძეა (ფუძის ფორ-  
მობლივ-სემანტიკური ანალიზი იხ. ქვემოთ).

**გობ-/გუ(ვ)+ებ- ზმნური ფუძის (მე-გობ-არ-ი) ფორმობლივ-სე-  
მანტიკური ანალიზი:**

აღ. ჭინჭარაულის აზრით, „მეგობარი“ სიტყვა-ფორმის ფუძე არის **გობ-/გუობ-**, რაც ნიშნავს „შეგუებას“, „შერგევას“. ქართველური ქვესისტემების ლექსიკური ერთეულების შეპირისპირებითი ანალი-  
ზით აღ. ჭინჭარაული ასკვნის, რომ **გულ-ობ-ს** და **გუვ-ობ-ს**, შესაბა-  
მისად, **გულ-** და **გუვ-** აბსოლუტური სინონიმებია. გამომდინარე აქე-  
დან, „შეგუება“ იგივეა, რაც „გულთან ახლოს მისვლა“ (აღ. ჭინჭა-  
რაული, 1996, გვ. 98-99).

პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ ამ საინტერესო მოსაზრებაში  
აღ. ჭინჭარაულს ახსნილი არა აქვს **გუ-ობ-** ფუძისაგან **გობ-**ის  
წარმოქმნის ფონეტიკური მექანიზმი; კერძოდ, დაუსაბუთებელია  
**უო > ო პროცესი.**

ვფიქრობ, აუცილებელი არ არის ამოსავალ ფორმად დავსახოთ  
**გუ+ობ-**. **გობ-** ფუძის **ო-**ს წარმოქმნის უფრო მარტივი გზაა **უე/ვე > ო**  
პროცესი, რომელიც ხშირად დასტურდება ძველ ტექსტებშიც და თა-  
ნამედროვე ცოცხალ (დიალექტურ) მეტყველებაშიც; მაგალითად:  
დამხვეება > დამხოება, მოგუება > მოგობა, შეტყუება > შეტყობა; მიუ-  
ტევებთ > მიუტეობთ, დაუტევებით > დაუტეობით; წვება > წობა,  
მოყვება > მოყობა... (ი. იმნაიშვილი, 1982, გვ. 139-140); ქვეყანა > ქო-  
ყანა, შეგვეძინა > შოგოძინა... შესაბამისად, უფრო ლოგიკურია **მეგო-  
ბარ-** ფუძის ამოსავალ ვარიანტად დავსახოთ მე-**გუებ-**არ-ი (და არა –  
**მეგუობარი**). **გუ+ებ-** (შე-გუ+ებ+ა < შე-გუვ-ებ-ა /შე-გულ-ებ-ა) ზმნუ-  
რი ფუძის ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს „შეგუება“, „შეგუ-  
ლება“, „გულების შეთანასწორება“, გაერთება, თანასწორი ადამიანე-  
ბის ერთმანეთთან შეთვისება.

შდრ. **(შე)გუვება** სიტყვა-ფორმის დადასტურებული მნიშვნე-  
ლობანი:

**შეგუება/შეგუვება**– შეფერება (შეეფერება – ტ.ფ.), მისადაგება  
(ზ. სარჯველაძე, 2001);

**გუგება** – მსგავსება (ილ. აბულაძე);

**მიგუგება** – მიმსგავსება (ილ. აბულაძე);

**შეგუგება** – შეჩვევა (ილ. აბულაძე). ვფიქრობ, დასაზუსტებელია „შეგუგება“ ფორმის გააზრება **„შეჩვევად“**. ლექსიკონში წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალა საშუალებას იძლევა განსხვავებულად განვმარტოთ „შეგუგება“; კერძოდ, „რომელსა უყვარან გემონი და **შეაგუებს** ხორცთა, მეგობარ ღმრთისა ვერ შემძლებელ არს ყოფად“ (მამათა სწავლანი, 158, 17)<sup>1</sup>. ვფიქრობ, ტექსტი ასე შეიძლება გავიაზროთ: „კაცს, რომელსაც უყვარს გემონი („გემრიელობები“) და მათ აჩვევს (/აყვარებს) ხორცს, ვერ შეძლებს ღვთის მეგობრობას“. „აჩვევს“ აქ იგივეა, რაც „ათვისებს“, „აყვარებს“ (და არა – რაიმე მიუღებელს აჩვევს). **აჩვევს** („ახლოვებს“; „აყვარებს“) მნიშვნელობით **გუ(გ)** აღდგება საერთოქართველურშიც; კერძოდ, არნ. ჩიქობავას, გ. კლიმოვის, ზ. სარჯველაძისა და ჰ.ფენრიხის კვლევების მიხედვით, ქართ. **გუ(გ)** /ე-გუ-ებ-ა/, მეგრ. **გუ-გ-** (გე-გ-აფ-ა „მიჩვევა“) ფუძეების საფუძველზე საერთოქართველურში აღდგენილია \*გუ (ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი, 2000, გვ. 152-153.). საერთოქართველური ფუძის მნიშვნელობაა „შეჩვევა“ („აჩვევს“, „ახლოვებს“; „აყვარებს“). შესაძლებელია **გუ-** და **გურ-** ფუძეთა ერთიანობის დაშვებაც: **გურ-**: „გული“. გული/გური უნდა იყოს **გურ-**აფ-ა „სწავლა“ ზმნის ფუძეც. სავარაუდოდ გარდამავალი მნიშვნელობები: **გულით მიღება>დაჩვევა > შეთვისება > სწავლა**. შდრ.: თურქულის გავლენით „დაჩვევა“ სწავლის სემანტიკით გამოიყენება იმერხევსა და ტაოში (არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის: ანბანი დამაჩვიე = ანბანი მასწავლე). ქართველური სემანტიკური გადაწყვეა: გულით მივიღე > შევითვისე > ვისწავლე და თურქული სემანტიკური გადაწყვეა **მიჩვევა > შეთვისება > სწავლა**

<sup>1</sup> წმ. ბასილი კესარიელის ერთ-ერთი თხზულება — «შურისათჳს და სახმჳს სინანულისად მორწმუნეთათჳს» (მამათა სწავლანი, X და XI სს-თა ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ აკ. შანიძის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ძვ. ქართული ენის მეგლეები 8, თბ., 1955). აღნიშნული თხზულება წმ. ბასილის შრომათა ბერძნულენოვან ორიგინალურ ტექსტებში არ მოიპოვება (იხ. ლინკი: <http://patristica.net/graeca/#t036>). ბერძნული ორიგინალის შესახებ ინფორმაციის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით დოქტორანტ დავით იობიძეს.

(მე მივეჩვიე „ვისწავლე“: Ben alıstım; მიჩვევა - alışmak) **ტიპოლოგიური პარალელია** (ამგვარი ტიპოლოგიური პარალელების შესახებ ვრცლად სხვაგან გვექნება მსჯელობა).

„შეგუ(ვ)ების“ ამოსავალი სემანტიკის კონტექსტში კიდევ ერთხელ დავიმოწმებთ ალ. ჭინჭარაულის საყურადღებო დასკვნას:

„**გუვ** არის იგივე **გულ**... ქართულში შე-პრეფიქსიანი ფორმა (შე-გუ(ვ)-ებ-ა) „შეჩვევას, დაახლოებას, გულთან ახლოს მისვლას“ ნიშნავს... გა- პრეფიქსიანი ფორმა საპირისპირო მნიშვნელობისაა, გაგულისებას, გაწყრომას, გაბუტვას ნიშნავს“ (გვ. 99). საილუსტრაციოდ დასახელებულია ფერეიდნულის მაგალითი: **გაგუვდა – გაგულისდა, გაიბუტა**. ამ სემანტიკით იგივე ზმნა ხვესურულშიც დასტურდება: გა-**გუვ**-დ-ებ-ის (ალ. ჭინჭარაული, 2005). ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ სხვა ქართველურ ქვესისტემებში თითქმის ამავე მნიშვნელობით გამოიყენება გა-**გულ-ის**-და-ა „გაბრაზდა“ (-ის- სეგმენტი ფუძის ამგები მორფემაა თუ კუთვნილებითობის გამომხატავი სუფიქსი, ცალკე სამსჯელოა).

დამატებით აღვნიშნავთ: ფერეიდნულში პარალელურად გამოიყენება **გაგუება (გაგუვება) და გადოსტება**; შდრ., ფერეიდნულშივე „მააგულა“ ნიშნავს „დათანხმებას“: მოგულდა – დასთანხმდა.

**გუვ**- („შეგუ(ვ)ება“) და **გულ**- („გული“) ძირთა სინონიმურობას უჭერს მხარს სხვა ქართველურ ქვესისტემებში შემონახული სიტყვა-ფორმები: მეგრული: **გური** „გული“; შდრ.: **გურ**-აფ-ა „დამსგავსება, დამგვანება“ (საერთოქართველური „გული“ > მეგრ. „გური“). **სვანური**: **გვი/გუ** (მრ.რ. გუვ-არ-) „გული“; შდრ.: **გუდმეცარი**: **გუ** – „გული“, **-დ** – ბრუნვის ნიშანი, **მეცარი**–„მცოდნე“. აქ საყურადღებო ისიცაა, რომ ერთ-ერთ სვანურ კილოში, ლაშხურში, მრავლობით რიცხვში აღდგება **გუვ**- ფუძე: **გუვ-არ**– „გულები“<sup>1</sup>.

**გუვ**- და **გულ**- ფუძეების სინონიმურობას და **გუ-ებ**- ზმნური ფუძის გულთან დაკავშირებას („გულთან ახლოს მისვლა“) მხარს უჭერს **მეგობარ**- ფუძისა და მასთან დაკავშირებული სხვა ლექსემე-

---

<sup>1</sup> **გუვ-არ** მრ. რ. ფორმაზე ყურადღება მიგვაქცევინა პროფ. მ. ჩუხუამ.

ბის ძველი მნიშვნელობებიც, რომლებიც დადასტურებულია ადრეულ ლექსიკონებში; შდრ.:

**მეგობარი**– „მიყვარი“, „მოყვარე“, საყვარელი, მახლობელი, ამხანაგი (ილ. აბულაძე); „ესე არს მიწყვი გაუყარი სათანადო მოყვასი“; „სამუდამოდ გაუყარი საყვარელი“, „მარადის მასთანა მყოფი“ (სულხან-საბა). „შესაკუთრებული ვისიმე უზაკველითა და ვასხებულთა სიყვარულთა, ანუ თანაზიარი ჭირისა და ლხინისა“ (ნ.ჩუბინაშვილი).

**მეგობარ-ქმნა** „მოყვრობა“.

**მეგობრება, მეგობრობა**– სიყვარული (ილ. აბულაძე); შდრ.: **მეგობარი** = მეგობრება „მეგობრობა“ (ზ. სარჯველაძე, 2001).

**ჩვენი მსჯელობა ასე შეიძლება შევაჯამოთ:**

სამეცნიერო ლიტერატურაში **„მეგობარი“** სიტყვა-ფორმის ამოსავალი სემანტიკა ორგვარადაა გააზრებული:

აღ. ჭინჭარაულის აზრით, „მეგობრის“ ამოსავალი ფორმაა **მეგუობარი**, რომლის სემანტიკაა **„სხვა ადამიანის გულთან ახლოს მისვლა“** (1994). გ. ლეონიძის (1988), მ. ღლონტისა (2014; 2014ა) და სხვა ფილოლოგთა აზრით, „მეგობარი“ უკავშირდება **„ერთი გობიდან ტრაპეზის“, „ერთი გობიდან ჭამის“** ტრადიციას.

**მე-არ** კონფიქსით ნაწარმოებ სახელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს კონფიქსი გამოიყენება მხოლოდ **ზმნური ფუძეებისგან** სახელის საწარმოებლად; კერძოდ, **მე** – **არ**არსებით სახელად ქცეული მიმღეობის მაწარმოებელიკონფიქსია (ზმნური ფუძისაგან აწარმოებს ზედსართავ სახელს). ასე წარმოქმნილი სახელი აღნიშნავს თვისებას, უნარს, რაიმე ნიჭის ქონას. ყველა ეს ზედსართავი სახელი უკვე არსებით სახელადაა ქცეული. შესაბამისად, ლოგიკურია, დავუშვათ: **მე-გობ-არ-** ფორმის **გობ-** ზმნური ფუძეა. **გობ-** მომდინარეობს **გუ(ვ)-ებ-** ზმნური ფუძისაგან მისი თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა იყოს **„შეთანაზრება“, „შესაბამისობა“, ურთიერთშეთვისება („თანასწორი ადამიანების ერთმანეთთან შეთვისება“), „შეგულება“, „გულეზის შეთანასწორება“, „ურთიერთშეყვარება“, „გაერთება“...** ამგვარ რეკონსტრუქციას მხარს უჭერს **„მეგობარი“** ლექსემის ის მნიშვნელობები, რომლებიც დადასტურებულია როგორც ძველი ქართული

ენის ლექსიკონებში, ასევე სულხან-საბასთან და ნიკო ჩუბინაშვილ-თან; კერძოდ:

**მეგობარი** –საყვარელი (ილ. აბულაძე); „სამუდამოდ გაუყარი საყვარელი“ (სულხან-საბა); „შესაკუთრებული ვისიმე უზაკველითა და ვასხეულითა სიყვარულითა, ანუ თანაზიარი ჭირისა და ლხინისა“ (ნ.ჩუბინაშვილი).

#### ❖ მ ა ზ შ ა ლ ი ა :

**არნ. ჩიქობავა** წერს: „ძველ ქართულში სინონიმებად გვაქვს "იადონი" და "ბულბული"... "ბულბული" უფრო ხშირად გვხვდება, "იადონი" – შედარებით იშვიათად. რაიმე სხვაობა მნიშვნელობისა არა ჩანს. ორივე სიტყვა ერთსა და იმავე სტროფშიც გვხვდება:

*ფატმან მას ზედა იხარებს, მართ ვითა იადონია,  
თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია  
(1254, 3-4)...*

"იადონი" ძველ ქართულში დასტურდება ("ვითარ მღვდარე არს აიადონი, რაჟამს აგრობნ კვერცხთა და ღამე ყოველ არა დასცხრე-ბიან გალობისაგან" - "ექუსთა დღეთაჲ", XI ს. ტექსტი - მიხ. კახაძის გამოცემული 1947 წ., გვ. 99,25)... "იადონი" ბერძნული სიტყვაა (aedon ამჟამად გურულში დასტურდება "გაიდონა-ს"; ს. ჟღენტე). "ბულბული" სპარსულია. ბერძნულიდან შეთვისებული სიტყვის ადგილი სპარსულიდან შემოსულმა სიტყვამ დაიმკვიდრა (ქართული სახელი უნდა ყოფილიყო **"მეფშალია"**, რომელსაც საბა განმარტავს "მცირე ბულბულით" და სინონიმად "ყარანა"-ს უწერს; მეგრულში "მეფშალია" ახლაც ერთადერთი სახელია ამ მგალობელი ჩიტისა)<sup>1</sup>...

რამდენადაც ვიცი, **არნ. ჩიქობავა** სხვაგან არსად მსჯელობს ამ სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ. რაც მთავარია, „მეფშალია“ საბასთან არ ჩანს, თუმცა დადასტურებული აქვს ი. ყიფშიძეს, რომლის

---

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, შრომები, V ტომი, "ვეფხისტყაოსნის" ენის ადგილისათვის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში, თბ., 2011, გვ. 30-31. სტატია დაბეჭდილია 1966 წლის "მნათობის" მე-9 ნომერში, გვ. 70-81.

აზრით, მეფშალია/მაფშა(ლ)ია – „ბულბულის“ მეგრული სიტყვა-ფორმა ნაწარმოებია ფშალი/ფშალა „სვია“ (/ზვუია) სიტყვისაგან (ყიფშიძე, 1914, გვ. 340-341).

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გაზიარებულია ეს თვალ-საზრისი. ო. ქაჯაია ცდილობს, ახალი არგუმენტიც დაამატოს; კერძოდ, იგი წერს: „მა-ფშალ-ი-ა „ფშალოს ჩიტს“ გულისხმობს. ფშალო/ფშალე – სვია – მცენარე, რომლის ყვავილისაგან ხარშავენ საფუარს, რაც სასიამოვნო გემოს აძლევს პურს. ამ მცენარის ხშირ სტუმარ ჩიტს ეძახიან მაფშალიას. ის ხშირ მეტამორფოზს განიცდის, ამიტომ ვერ ცნობენ. ეს ჩიტი გაზაფხულზე და ზაფხულში მაფშალიაა (ფშალოს ჩიტი), შემოდგომაზე – ნიბლია, ზამთარში – გულწითელა (გურმეჭვია). ზოგი მას იადონს ეძახის... (ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, 2002, გვ. 122).

რეალური მონაცემები ამგვარი მსჯელობის საფუძველს ნაკლებად იძლევა; კომენტარის სახით მხოლოდ რამდენიმე ფაქტს აღვნიშნავ:

**(1) ფშალა/ფშალო/ფშალე** მეგრულის არც ერთ ცოცხალ კილოკავში არ დასტურდება; მით უმეტეს, არ დასტურდება მნიშვნელობით „სვია“. მეგრულ მეტყველებაში სვიის სახელია „ცერცივი“.

**(2) ჩიტს, სახელად მაფშალია** (/იადონი, ბულბული/, საერთოდ არ ეტანება სვიას, ზოგადად, მარცვლეულს. შესაბამისად, მაფშალია არ სტუმრობს სვიას.

ლაზურ ლექსიკონშიც დამოწმებულია „მაფშალე“ (ა. თანდილავა, 2013). ი. ყიფშიძის გავლენით, ეს ფორმაც გააზრებულია, როგორც „მესვიე“ („იადონი“).

არც ლაზურ და არც მეგრულ ლექსიკონში **ფშალო / ფშალეს** განმარტებისას საილუსტრაციოდ დამოწმებული არ არის ცოცხალი მეტყველების ფრაზა.

ვფიქრობ, **ჩიტ მაფშალიას (ბულბულის) მეგრული სახელის ეტიმოლოგიური დაკავშირება მცენარის სახელთან არალოგიკურია**, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ფრინველს საერთოდ არ უყვარს სვია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მაფშალია („ბულბული“) წყლის მოყვარული ჩიტია; ბინადრობს წყლის სიახლოვეს ბუჩქნარ-



ში. წყაროების, მდინარეების ნაპირებზე, ტყისპირებში; შესაბამისად, ვფიქრობთ, „მაფშალია“ უნდა ეფუძნებოდეს **ფშა/ფშალი/ფშანი** (მხ.რ.), წყლის“ აღმნიშვნელ სიტყვას და არა – სვიის აღმნიშვნელ ფუძეს; კერძოდ, **მაფშალიას** ფუძედ შეიძლება ვივარაუდოთ \***ფშა-ლი**\* ან „**ფშა**\*“:

**(1) ფშა-ლი-ი:** „წყალი“, „წყარო“, „ნაკადული“: \*მა-ფშა-ლი-ია > მაფშალია.

თუ რეალურია ი. ყიფშიძესთან და არნ. ჩიქობავას მიერ საბას-თან დამოწმებული ფორმა „მეფშალია“<sup>1</sup>, ეს მოსაზრება უფრო დამა-ჯერებელი გახდება: მე-ფშა-ლი-ია; შდრ.: მე-ლეღ-ია, მეფუტკრია... აქვე აღვნიშნავ, რომ ლოგიკური არ არის „მაფშალია“ სიტყვა-ფორმა-ში ვეძიოთ „ფშა“ სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმა, რადგან „ფშანი“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია, როგორც მხოლოდითი რიცხვის ფორმა და საილუსტრაციო მასალაში მოყვანილია ნათესაობითის ფორმა: „**ფშნისა**“; შდრ.: საილუსტრაციო მასალაში მრ.რ. ფორმაა **ფშნები**: „აჩენენ ფშნებსა“ (ქეგლ).

**(2) ფშა:** „წყალი“, „წყარო“, „ნაკადული“: \*მა-ფშა-ალი-ია > მა-ფშ-ალი-ია > მაფშალია. **მა-ალ** სიტყვამაწარმოებელი კონფიქსი; **ია**– კნი-ნობით-ალესობითი სუფიქსი.

**ორივე შემთხვევაში გვაქვს მნიშვნელობა: „წყლის მოყვარული ჩიტი“.**

დიდი ალბათობით, ზანური **ფშ**- მომდინარეობს საერთოქარ-თველური **ფს**-სგან (**ფსა** „წყალი“, რომელიც შემორჩენილია სიტყვა-ფორმებში: **ფსუმა** (ფსმა)<sup>2</sup>, **სუფსა** (სურების ფსა „სურების წყალი“), თუმცა გამორიცხული არ არის საერთოქართველურშივე **ფს-/ფშ**- მო-ნაცვლეობა; შდრ.:

---

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა უთითებს სულხან-საბა ორბელიანს, მაგრამ საბას დიდ ნაშრომში: „ლექსიკონი ქართული“ ამ სიტყვას ვერ მივაკვლიეთ (იხ.: არნ. ჩიქობავა, შრომები, V ტომი, "ვეფხისტყაოსნის" ენის ადგილისათვის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში, თბ., 2011, გვ. 30-31).

<sup>2</sup> მ. ჩუხუა ამ ზმნურ ფუძესთან აკავშირებს **ფის**- სახელურ ფუძეს (მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2003, გვ. 237. ამ დაკავშირებას მეტი არგუმენტაცია ესაჭიროება; კერძოდ, **ფის**- > **ფს** პროცესს.

ერთი მხრივ, **მო-ფს-ა**; მეგრ.ლაზ.: **ფსუმა/სუმა**; სვანური: **ლი-ს-ენ-ე** მოფსმა. **მე-ფსა-აი** ქვეშაფსია (ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი). იხ. ასევე: **ფშა, ფშანი** (მრ.რ.: **ფშნ-ებ-ი**) „მდინარისაგან წყარო მუნვე ახლო გამოდენილი“ (საბა).

**ფს-/ფშ-** საერთო იბერიულ-კავკასიური ძირია: **-ფსა-** დასველება, წყალი (მ. ჩუხუა, 2017, 181, 190). შდრ., ასევე: **ფშანა** ტოპონიმი სოფ. აზლაღაში (esenkırı, hopa ilçesi) მდინარის სათავეა (მ. ლაბაძე); იმერული: **ფშანი**; ზანური: **ფსქია**<sup>1</sup>– „პატარა მდინარე“, ლეღე...

მეგრულში გვაქვს მსგავსი წარმოების სხვა სიტყვებიც:

**მა-ხჟა-ალ-ია** (მცენარეა; სიტყვასიტყვით: მერძია); კონფიქსი: **მა – ალ – ია**.

**მა-ფატ-ია** = **მე-ფეტგ-ია** (აქ მხოლოდ პრეფისი **მა-** გვაქვს); **კონ-ფიქსი: მა – ია**.

**მა-სქუა-ალ-ი**, „მაკვერცალი“ – მეკვერცხე დედალი; შდრ.: მარქვალი – კვერცხი: **მა-რქუა-ალ-ი**;

**მა-გორ-ალ-ი**, გორუა – „მებნა“, გორუნს – მებნის;

**მა-ლად-ურ-ი**– მოლადური (ლუდი - ლედვი);

**მაჭკიდი**ა მცენარეა; სიტყვასიტყვით: მჭადა;

**მა-სკა-ალ-ია/მასქალია**– ფუტკრის დედა; კრაზანაზეც იტყვიან (ქობალია 2010: 393; მაგალითი მოგვაწოდა მანანა ბუკიამ). ამ შემთხვევაში ამოსავალი ჩანს „სკა“.

ო. ქაჯაიასთან **მასკალია** დასტურდება **მასკაიას** პარალელურ ვარიანტად და განმარტებულია, როგორც „მარწუხი“; გადატანით – „ბზიკი“, კრაზანა. იქვე დასახელებულია **მასქალია** ვარიანტი. ვფიქრობთ, ლოგიკურია, ყველა ამ მაგალითში ფუძედ დავსახოთ **სკა**; შესაბამისად, **მასკალია/მასქალია** სიტყვა-ფორმას აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: სკის დედა, ფუტკარი, ბზიკი, კრაზანა.

**მაფშალია/მეფშალია** სიტყვა-ფორმაში წარმოდგენილი **ფს-/ფშ-** ძირი შეიძლება იყოს **სგ-** ძირის ვარიანტიც: **ფს-/ფშ-/სგ** (სველი,

---

<sup>1</sup> **ფსქია** < **ფს-ია**: აქ სავარაუდოა ს > სქ; შესაბამისად, ეს მაგალითი მზარს უქერს ვარაუდს, რომ საერთოქართველურშივე პარალელური ვარიანტები იყო **ფსა/ფშა** და **ფს** ვარიანტმა მეგრულში მოგვცა **ფსქ-**.

სუამს)... შდრ., **ფ**-ს განვითარების შემთხვევები: **ფსუა**–„ფრთა“ /**ფსუ-ალეფი**–„ფრთები“ / **-სუა** „ფრთა“; **ფსუ** / **სუ**– „კაკალი“; **ფსკა** –„სკა“... ეს საკითხი შემდგომ კვლევას ითხოვს.

ამრიგად, **მაფშალია** არის ჩიტი, რომელიც ხშირადაა წყალში, ამიტომაც დაერქვა **მაფშალია** –წყლის ჩიტი; „მაფშალია“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება წყალს - **ფშა**-ს (ან ფშალ-ს) და არა – **ფშალოს** (სვიას), ან –**ფშაფორმის** მრავლობითი რიცხვის ფორმას – „ფშანი“.

მეგრული **მაფშალია** ბოლო პერიოდში ქართულ სამწიგნობრო ენაშიც გარკვეულ წინააღმდეგობას უწევს სპარსულ **ბულბულ** და ბერძნულ **იადონ** ფორმებს (იხ., მაგ., ნ. წულუისკირის, თ. მღვდლი-აშვილისა და სხვათა შემოქმედება). სამწუხაროდ, **მაფშალია** დღემდე არ არის შესული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. ვფიქრობთ, ქველ-ში მას კუთვნილი ადგილი უნდა მიეჩინოს.

### გამოყენებული ლიტერატურა

**ილ. აბულაძე, 1973** – ილ. აბულაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, თბილისი.

<https://archive.org/details/shengelia/page/n23/mode/2up>

**ტ. გუდავა, 1964** – ტ. გუდავა, მერცხალი /ეტიმოლოგიური მიენბა/, იკე, ტ. XVI.

**ო. თანდილავა, 2013** – ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.

**ო. იმნაიშვილი, 1982**– ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, თბილისი.

**ე. ნადირაძე, 2011** – ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი (ხელმძღვანელი ე. ნადირაძე; რედაქტორი რ. მეტრეველი), თბილისი.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=4475>

**ზ. სარჯველაძე, ჰ.ფეინრიხი, 2000** – ზ. სარჯველაძე, ჰ.ფეინრიხი, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ზ. სარჯველაძე, 2001** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა,თბილისი.

**ქაჯაია, 2000-2009** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**ქობალია, 2010** – ალიო ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

**მ. ღლონტი, 2014** – მედეა ღლონტი, ქართული სიტყვის საღვთისმეტყველო ასპექტები (ქართ. **ზოგი** და **საზოგადოება**; მოყვასი, მეგობარი და ამხანაგი; **თანანადები** და **თანამდები**), „ეტიმოლოგიური ძიებანი XI“, თბილისი, 2014, გვ.100-118.

**მ. ღლონტი, 2014ა** – დ. (მ.) ღლონტი, ქართული სიტყვის ქადაგება (წერილი მეოთხე: „გიყვარდეს ყველა, ზოროტის-მყოფელთაგან მეგობრობას კი ერიდე“). - „რელიგია“. - სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ჟურნალი, #3, 2014, გვ. 5-14. იხ. ასევე:

<http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/qristianuli-khelovneba/5621-qarthulshi-gvaqvs-sami-didebuli-sityva-qmoyvasiq-qmegobariq-da-gamkhanagiq.html?fbclid=IwAR0tiZayvWW9caHmF9MY98m1eOTU4xfXp0N08w53NcflJt5H6-MT4luEd-E>

**ყიფშიძე, 1914** – ი. ყიფშიძე, მეგრული ენის გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით“ (რუსულ ენაზე).

**ალ. ჭინჭარაული 1996** – ალ. ჭინჭარაული, სიტყვა გულ-თან დაკავშირებული გლოვის ტერმინებისათვის ქართველურ ენებში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი, N2.

**ალ. ჭინჭარაული 2005** – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი.

**ბ. ჯორბენაძე 1988** – ბ. ჯორბენაძე, მ. ბერიძე, მ. კობაიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი.

**ჩიქოზავა 2011** – არნ. ჩიქოზავა, შრომები, V ტომი, "ვეფხისტყაოსნის" ენის ადგილისათვის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში, თბ., 2011, გვ. 30-31 . სტატია პირველად დაბეჭდილია 1966 წლის "მნათობის" მე-9 ნომერში, გვ. 70-81.

**ჩუხუა 2017** – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**The Kartvelian Etymologies: *Megobari*, *Mapshalia***

## Summary

**M e g o b a r i** “friend”:

In the scientific literature, the initial semantics of the word-form ***Megobari*** “friend” is understood in two ways:

According to Al. Chincharauli, the starting form is *მეგობარი* the semantics of which is “coming close to another person’s heart” (1994). In the opinion of G. Leonidze, M. Glonti and other philologists, the word is connected with the tradition of “eating from one bowl” (1988; 2014).

The analysis of nouns derived with the confix **me – ar** reveals that this confix is used only to derive a noun from verb stems; in particular, **me – ar** is a formative confix for a participle turned into a noun (it forms an adjective from the verb stem). The noun formed this way denotes a trait, an ability, possessing any talent. All these adjectives have already turned into nouns. Therefore, it is logical to assume: **gob-** is a verb stem of the form ***Me-gob-ar- gob-*** comes from the verb stem ***gu(v)-eb-***. Its original meaning can be “agreement”, “conformity”, “assimilation of equal people”, “alignment of hearts”, “mutual love”, “unification”, etc. Such a reconstruction is supported by the meanings of the lexeme ***Megobari*** attested in dictionaries of the Old Georgian language, as well as with Sulkhan-Saba and Niko Chubinashvili; in particular:

***Megobari*** - someone beloved (Il. Abuladze); “internally loyal beloved person” (Sulkhan-Saba); “someone who you love very much, who is with you in happiness and disaster” (N. Chubinashvili).

**M a p s h a l i a** “a kind of bird”:

***Mapshalia*** is a bird that is often seen in the water, hence it is called *mapshalia* – a water bird; *mapshalia* is etymologically related to water – **psha-** (or **pshal-**) and not to – **pshalo** “hop” or the plural form – **pshani** of the word **psha**.

Megrelian ***Mapshalia*** has recently opposed to the Persian ***bulbuli*** “nightingale” and the Greek ***Iadoni*** “nightingale” in the Georgian literary language (see, for example, the works by N. Tsuleiskiri, T. Mghvdiashvili and others). Unfortunately, *mapshalia* is still not included in the explanatory dictionary of the Georgian language. We think it should be given a place in the GED.

რამდენიმე ქართული სიტყვის  
ისტორიისათვის

1. კორძი

სიტყვა **კორძი** დადასტურებულია ძველ ქართულში და განიმარტება როგორც „მუხლი“ (აბულაძე 1973: 201). საბა კი ასე განმარტავს: „**კორძი** ღლია და საზარდულთ ჯირკვალი“ (საბა 1991: 385); ნ. ჩუბინაშვილი: „**კორძი** ჯირკველი, ხორცმეტი, нарост (ნ. ჩუბინაშვილი 1962: 252); ანალოგიურია დ. ჩუბინაშვილის განმარტება: „**კორძი** ჯირკველი, ხორცმეტი, нарост, мозоль“ (დ. ჩუბინაშვილი 1984: 625). „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, საბასეულ განმარტებასთან ერთად, წარმოგვიდგენს ახალ განმარტებას: „**კორძი** 1. კვანძად გამაგრებული ამონაზარდი ადამიანის ან ცხოველის სხეულზე... 2. კვანძივით მაგარი, გამაგრებული“ (ქეგელი 1955: 1346).

ქართული **კორძი** სიტყვის დაკავშირებას სვანურ **კოჯ** „კლდე“ სიტყვასთან სემანტიკური სიმნელე არ ახლავს; არც ფონეტიკური დაბრკოლება გვაქვს, თუ გავითვალისწინებთ, რომ **კორძი**-ში **რ** განვითარებულად მიიჩნევა: კორძი <\*კოდ. ამის შესახებ მსჯელობა წარმოდგენილი იყო „არნოლდ ჩიქობავას საკითხავებზე“ 2000 წელს წაკითხულ მოხსენებაში „ქართული \*კოდ და სვანური **კოჯ**“, რომლის თეზისებიც დაიბეჭდა (შენგელია 2000: 159). ეს მოხსენება შემდეგ შევიდა 2006 წელს დაბეჭდილ წიგნში (შენგელია 2006: 159). აღნიშნულ პუბლიკაციებში შემოთავაზებული თვალსაზრისის თანახმად, არ არის დამაჯერებელი სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება ქართული **კლდე** სიტყვის სვანურ **კოჯ**-თან კავშირის შესახებ (ქალდანი 1955: 182; მაჭავარიანი 1965: 62, 64; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: 85-96)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ეს თვალსაზრისი საკამათოდ მიიჩნია ჯერ გ. კლიმოვა (კლიმოვი 1998: 97), შემდეგ – ზ. ფენრიხმა და ზ. სარჯველაძემ: ქართული **კლდე** სიტყვის უდავო სვანური ეკვივალენტი არ არის გამოვლენილი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 287).

არ არის გამორიცხული ქართულ **კორბი** უკავშირდებოდეს ქართულსავე **კვანძ**-სა და **კუნძ**-ს. ამ ქართული სიტყვების შესატყვისი უნდა იყოს მეგრული **კინჯო** „დაბალი, ჩასხმული, ჩასკვნილი (კაცი)“. ამ დაკავშირებას შეიძლება დავუმატოთ ა. ქობალიას ლექსიკონში წარმოდგენილი **კონჯა** „მაგარმერქნიანი ხე“ და **კიჯი** || **კიჯი** „ჩიხრიხის დეტალი, მასში გაყრილი მრგვალი ჯოხი“ (ქობალია 2010: 371-372).

საკამათოა ბ. გიგინეიშვილის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ქართული **კორბი** მეგრულ კურზუ-ს („ამაღლებული ადგილი“) უნდა უკავშირდებოდეს და აქ ქართ. **ძ** – მეგრ. **ზ** ფარდობასთან უნდა გვეკონდეს საქმე, კერძოდ, ლაპარაკია **ძ** → **ზ** დეზაფრიკატიზაციის პროცესზე, რაც არ არის დამაჯერებელი, რადგან, ქართული ენის დიალექტებისაგან განსხვავებით, მეგრულისათვის აღნიშნული პროცესი არ არის დამახასიათებელი (**ზ** → **ძ** პროცესისაგან განსხვავებით).

მ. ჩუხუა სვანური **კოჯ**-ის შესატყვისად საერთოქართველურ დონეზე ჰიპოთეტურად აღადგენს **\*კომ**-ს და მას უკავშირებს საერთო აფხაზურ-ჩერქეზული დონისათვის აბაზური ენის ტაპანთური დიალექტის ჩვენების საფუძველზე აღდგენილ სიტყვას (ჩუხუა 2017: 243).

## 2. ჩურჩხელა<sup>1</sup>

**ჩურჩხელა** ქართული სამზარეულოს მნიშვნელოვანი პროდუქტია, რომელსაც მთელ საქართველოში აკეთებენ.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, **ჩურჩხელა** არის „ნიგვზის, ჩამიჩის და სხვათა ასხმულა თათარაში ამოვლებული“ (ქეგელი 1964: 546). საბა გვთავაზობს ასეთ განმარტებას: „**ჩურჩხელა** ასხმული კაკალი“ (საბა 1993: 325); ნ. ჩუბინაშვილი: „**ჩურჩხელა** ჯაგანი, ასხმული კაკალი, თხილი, ჩირი და მისთანანი მოდულებულს ტკბილში გავლებული“ (ნ. ჩუბინაშვილი 1961: 432);

---

<sup>1</sup> მოსაზრება ქართული სიტყვების – **ჩურჩხელა** და **სულგუნი** || **სულგუნი** – წარმომავლობის შესახებ წლების წინ ჩამოვყალიბე ეთნოგრაფ ხ. იოსელიანის მომართვის პასუხად.

დ. ჩუბინაშვილის განმარტება მცირედ განსხვავებულია: „**ჩურჩხელა** ჯაგანი, ასხმული კაკალი ან სხვა ხილი ყურძნის მოდუღებულს წვენში გავლებული“ (დ. ჩუბინაშვილი 1984: 555). ინგილოურში გვაქვს **ჩურჩხელა** (როსტიაშვილი 1978: 226; დამბაშიძე 1988: 555), რომელშიც ვ რომელიღაც სიტყვის ანალოგიით ჩანს გაჩენილი.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შესაძლებელია ჩურჩხელას სხვადასხვანაირად ამზადებდნენ, მაგრამ საერთოა ის, რომ ცხელ თათარაში (თუ ფელამუშში) ამოავლებენ კაკლის, თხილის, ნუშის, გოგრის თესლის, ჩამიჩის, ჩირის... ასხმულას, რომელსაც შემდეგ აშრობენ. ეს **ასხმულა** ასოციაციურად შეიძლება **ჩონჩხს** დაუკავშირდეს. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ქართლური დიალექტის **ჩონჩხები** „ფეხის კოჭის ძვლები“ (მესხიშვილი 2006: 159).

„**ჩონჩხი** (ჩონჩხისა) 1. ძვლების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ხერხემლიანთა სხეულის მყარ საფუძველს... 2. ფეხის ზურგი (საბა). 3. იგივეა, რაც კარკასი (ქეგლი 1964: 529-530). საყურადღებოა კახურ დიალექტში დადასტურებული **„ჩონჩხი** თავთავის ნაწილი, რომელშიც მარცვლებია“ (მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956: 662). საბა: „**ჩონჩხი** ფე(რ)ვის ზურგი (საბა 1993: 322); ნ. ჩუბინაშვილი: „**ჩონჩხი** ფეხის ზურგი კოჭიდან თითებამდე“; დ. ჩუბინაშვილი იმეორებს ნ. ჩუბინაშვილის განმარტებას (დ. ჩუბინაშვილი 1984: 1581). თუ გავითვალისწინებთ ფეხის ზურგისა და ტერფის აგებულებას, არ არის რთული **ჩონჩხ**-ის „ძველ“ და „ახალ“ მნიშვნელობებს შორის კავშირის ვარაუდი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული **ჩურჩხელა** დაკავშირებული ჩანს **ჩონჩხ** სიტყვასთან, კერძოდ, მის სავარაუდო ფონეტიკურ ვარიანტებთან **ჩუნჩხ** || **ჩურჩხ**; -ელა სუფიქსური ელემენტია, რომელიც ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების არაერთ სიტყვაში წარმოდგენილი (მაგ., **ვარიკელა**, **ჭუკელა**, **დგომელა**, **ზღველა**, **მარტოკელა** და სხვ.). ამოსავალი სემანტიკაა „ჩონჩხივით აგებული, ჩონჩხისებური, ჩონჩხის მსგავსი“. ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ **ჩურჩხელა** სიტყვის განმარტებებში, რომლებიც სხვადასხვა ავტორებთან გვაქვს, ყველგან ფიგურირებს **ასხმული** || **ასხმულა**, რაც არის, ასე ვთქვათ, „**ჩურჩხელის ხერხემალი**“.

ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ **ჩონჩხ**-ს შესატყვისი ეძებნე-



ბა მეგრულში: **ჩხირჩხ**-ალი „მახვილბოლოებიანი, მრავალწახნაგოვანი“, **ჩხირჩხაფი** (უჩხირჩხანს) „გაფარჩხვა“ (ქაჯაია 2002: 333), **ჩორჩხოია** „აჩონჩხილი, გაფარჩხული“ (ქობალია 2010: 676), **ჩხირჩხა** „ჩურჩხა, აჩონჩხილი“ (ქობალია 2010: 67). ა. ქობალიასთან ყურადღებას იქცევს ქართულში სამიებელი ფუძე **ჩურჩხ**. მეგრულში ქართული **ჩ**-ს შესატყვისად მოსალოდნელი **ჩქ** კი არა გვაქვს, არამედ – **ჩ**, რაც აიხსნება ჰარმონიული **ჩხ** კომპლექსის არსებობით (მაჭავარიანი 1965: 39), ხოლო თავკიდური **ჩხ** კომპლექსი მიღებულია **ჩ**-ს ფუძის ბოლოკიდურ **ჩხ** კომპლექსთან ასიმილაციით (ციფშიძე 1914: 07).

### 3. ცოცხი

**ცოცხი** არის „1. ზოგი მცენარის წვრილ „ღეროთა ან ტოტების კონა რისამე მოსაგველად, ასახვეტად...“ 2. იგივეა, რაც სო რ გო (ქეგლი 1964: 654). ეს ქართული სიტყვა დასტურდება საბას ლექსიკონში: „**ცოცხი** მოსაგველი“ (საბა 1993: 341). ნ. ჩუბინაშვილის განმარტება უფრო ვრცელია: „**ცოცხი** ბალახი, რომლისაგან შეიქმონენ საგველსა. || ეწოდება თვით მას საგველსაცა, **веник, метла**“ (ნ. ჩუბინაშვილი 1961: 437). თითქმის იგივეა დ. ჩუბინაშვილის განმარტება: „**ცოცხი** მცენარე, რომლისაგან შეიქმონენ საგველსა; ან თვით საგველი...“ (დ. ჩუბინაშვილი 1984: 1601).

ქართული **ცოცხ** სიტყვის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე, ერთმანეთთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული თვალსაზრისი არსებობს. ს. ჟღენტი ქართულ **ცოცხ**-ს იმავე მნიშვნელობის სვანურ **ჩეჩხ** || **ჩანჩხ** სიტყვას უკავშირებს (ჟღენტი 1949: 131). გ. კლიმოვი ეტიმოლოგიური ლექსიკონის პირველ გამოცემაში იზიარებს ამ თვალსაზრისს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აღნიშნული ქართული სიტყვა შესაძლებელია მეგრულ **ჩხონჩხ**-ს („ღვიძლი“) უკავშირდებოდეს, თუმცა „ფორმალურად ახლომდგომი მეგრ. **ჩხონჩხი** „ღვიძლი“ მნიშვნელოვნად განსხვავებულია სემანტიკურად“ (კლიმოვი 1964: 230); ლექსიკონის მეორე გამოცემაში ავტორი ქართულ **ცოცხ**-ს მეგრულისათვის დასავლურქართული დიალექტების მონაცემების საფუძველზე ნავარაუდევ **ჩორჩხ** „აჩონჩხილ“ სიტყვასთან აკავშირებს და საერთოქართველური დონისათვის ადადგენს **\*ც'ოც'ხ** არქეტიპს (კლიმოვი 1998:

273). ამ უკანასკნელ თვალსაზრისს ეთანხმებიან ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 500; ფენრიხი 2007: 579-580). მ. ჩუხუა მოსაზრებას ქართული **ცოცხ**-ის სვანურ მასალასთან კავშირის შესახებ იზიარებს, ამასთან, ქართულ-სვანურ მასალას აკავშირებს მეგრულ სიტყვასთან **ჩხვიჩხვი** „ფესვი“, ხოლო საერთო-ქართველურ დონეზე აღადგენს **ცოცხ**- ფორმას მნიშვნელოვით „ცოცხი; ფესვი“ (ჩუხუა 2000-2003: 227).

საერთოქართველურ დონეზე **ც'ოცხ**-ის თუ **ცოცხ**-ის აღდგენა მისაღებია, ოღონდ ამოსავალი სიტყვის სემანტიკაში შეიძლება ვივარაუდოთ, აგრეთვე, „ფოჩი, ყვაილედი“, რის საფუძველსაც გვამლევს ო. ქაჯაიასა და ა. ქობალიას ლექსიკონებში დაფიქსირებული მეგრული **ჩხვიჩხვი**-ის სემანტიკა: „**ჩხვიჩხვი** 1. ზრდასრული სიმინდის ღეროს თავზე ამოსული ქოჩორი, – სიმინდის კატარი. 2. ფესვი, ძირი“ (ქაჯაია 2002ა: 331); „ფესვი..., სიმინდის, ბოსტნეულის კატარი“ (ქობალია 2010: 679).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ო. ქაჯაიას ლექსიკონში დადასტურებულია ქართული \***ცოცხ**-ის ზუსტი ფონეტიკური შესატყვისი მეგრული **ჩორჩხი** „ჯაგი“ (ქაჯაია 2009: 552). მათ კავშირს ფონეტიკური ან სემანტიკური დაბრკოლება არ ახლავს: შესატყვისობა ქართ. **ც** : მეგრ.-ლაზ. **ჩ**, ქართ. **ცხ** : მეგრ.-ლაზ. **ჩხ** ცნობილია, მეგრულში **რ** ფონეტიკური ჩანართია; ამასთან, ქართული და მეგრული სიტყვების სემანტიკური სიახლოვე აშკარაა.

მასალობრივად ქართულ **ცოცხ**-თან და მეგრულ **ჩორჩხ**-თან კავშირში უნდა იყოს მეგრული **ჩხორჩხი** „მრავალშვერილიანი, წვერწაწვერილებული რაიმე საგანი“ (ქაჯაია 2002ა: 336).

#### 4. ბელვა

ბ. გიგინეიშვილი „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ მიუთითებს, რომ სიტყვა **ხარი** („წვერბასრი, მიწის სათხრელი იარაღი“) ძველ ქართულში არ დასტურდება და მისი წარმომავლობა უცნობია; შესაძლოა აღნიშნული სიტყვა ზანურიდან იყოს ნასესხები, ხოლო მისი მოსალოდნელი ქართული შესატყვისი – \***ხერ** ან \***ხელ** – დაკარგული იყოსო (გიგინეიშვილი 2016: 42).

ვფიქრობთ, რომ ავტორის მიერ ნავარაუდები **ხელ** ფუძე შემო-

ნახული უნდა იყოს ზმნაში **ბელავს** და მასდარში **ბელვა**. ეს თვალსაზრისი მისაღები გახდება, თუ გავითვალისწინებთ მათ სემანტიკას: **ბელავს** „ტოტებს აჭრის ხეს, კაფავს“ და **ბელვა** „სახელი ბელავს ზმნის მოქმედებისა“ (ქეგლი 1950: 1029); საბა: **ბელვა** ხეთ კაფვა (საბა 1991: 184). საგულისხმოა **ბარ-** ფუძის სემანტიკა: **ბარი** „მიწის ჩასაჭრელ-გადასაბრუნებლად გამოყენებული იარაღი“, **ბარავს** „ბარით მიწას ამუშავებს“ (ქეგლი 1950: 973-974). – **ბელ-** და **ბარ-** – ორივე ფუძისათვის მთავარია **ჭრა** მიწისა თუ ხის ტოტებისა.

მეგრულში დადასტურებული **ბელ-** ფუძე ქართულიდან უნდა იყოს ნასესხები: მეგრ. **ბელუა** „კაფვა, ბელვა“ (ქობალია 2010: 60); საყურადღებოა ლაზურის ჩვენება: ლაზ. **ბელაფა** „დაბარვა“, **ბელერი** „დაბარული“ (თანდილავა 2013: 57).

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე საერთო-ქართველურ დონეზე აღდგება **\*ბელ-** „კაფვა; ბარვა“<sup>1</sup>.

## 5. **ხლეჩა**

**ხლეჩა** „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით არის „სახელი ხლეჩს ზმნის მოქმედებისა“, ხოლო **ხლეჩს** ზმნის ძირითადი მნიშვნელობაა „ძალის გამოყენებით ორად ყოფს, – აპობს, ხეთქს“ (ქეგლი 1964: 1464). **ხლეჩ-** ფუძის ამოსავალი ფონეტიკური სახეობა **ქლეჩ-** დასტურდება ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში (საბა 1993: 441).

ქართული **ხლეჩ-** (<\*ქლეჩ) ფუძე მეგრულ **ხერცქ-** || **ხირცქ-** „გაპობა, გაგლეჯა“ და ლაზურ **ხროცქ-** || **ხროსქ-** „კვდომა“ ფუძეებთან დაუკავშირებია გ. მაჭავარიანს, ხოლო ქართული **ჩ-**ს შესატყვისად მეგრულ-ლაზურში **ცქ-**ს არსებობა **რ-**სთან მეზობლობით ახსნა თ. გამყრელიძემ (გამყრელიძე 1959: 76).

ჩვენი აზრით, ქართული **ხლეჩ-** ფუძის შესატყვისად უნდა მივიჩნიოთ, აგრეთვე, მეგრ. **ხაჩქუა** და ლაზ. **ხაჩქვა** „თოხნა“; ამ შემთხვევაში მეგრულ-ლაზურისათვის არაბუნებრივი **ხლ** კომპლექსის სუპერაცია მომხდარა **ლ-**ს დაკარგვით: **\*ხლეჩ-** > **ხაჩქ**.

---

<sup>1</sup> გასარკვევია სვანური სიტყვების – **ბარ** „ბარი“ და **ლიბარატი** „ბარვა“ – მიმართება სათანადო ქართულ და მეგრულ-ლაზურ მასალასთან.

## გამოყენებული ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**ბედოშვილი 2002** – გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**გამყრელიძე 1959** – თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი.

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

**გიგინეიშვილი 2015** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ), თბილისი.

**გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961** – ბ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბილისი.

**თანდილავა 2013** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.

**თოფურია, ქალდანი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

**კლიმოვი 1964** – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

**კლიმოვი 1998** – G. A. Klimov, Etymological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin-New York.

**მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956** – არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი.

**მაცაშვილი 1961** – ა. მაცაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

**მაჭავარიანი 1965** – გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი.

**მესხიშვილი 2006** – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

**ჟღენტი 1949** – ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი.

**როსტიაშვილი 1978** – ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბილისი.

**საბა 1991** – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი.

**საბა 1993** – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ფენრიხი 2007** – H. Fähnrich, Kartvelisches etymologisches Wörterbuch, Leiden-Boston.

**ქალდანი 1969** – მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა. I. უმაღლესის სისტემა სვანურში, თბილისი.

**ქალდანი 1955** – მ. ქალდანი, სვანური ენის დახამულური კილოკავის თავისებურებანი. – იკე, VII, თბილისი.

**ქართული კილო-თქმები 1984** – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ლლონტი, თბილისი.

**ქაჯაია 2001** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

**ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი.

**ქაჯაია 2002ა** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბილისი.

**ქაჯაია 2009** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. IV, თბილისი.

**ქეგლი 1955** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

**ქეგლი 1964** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

**ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

**ღამბაშიძე 1988** – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბილისი.

**ყიფშიძე 1914** – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург.

**შენგელია 2000** – ვ. შენგელია, ქართული \*კომ და სვანური კოჟ. – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XI, თბილისი.

**შენგელია 2006** – ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბილისი.

**ჩიქობავა 1938** – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ ქართული შე-

დარებითი ლექსიკონი, ტფილისი.

**ნ. ჩუბინაშვილი 1961** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**დ. ჩუბინაშვილი 1984** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუხუა 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუხუა 2017** – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-ავხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

V A Z H A S H E N G E L I A

### On the History of Some Georgian Words

#### Summary

The paper presents an attempt of etymological analysis of some Georgian words.

1. Megrelian **Konja** “a tree with hardwood” and Svan **Koj** “rock” are regular phonetic equivalents of Georgian **Kordz - • Kodz** (Old Geo. “knee”, New Geo. “a thickened and hardened part of the skin or soft tissue of a peron or an animal”).

2. Geo. Churchkhela “a kind of Georgian traditional sweets” seems to be related to the word **С** “skeleton”, in particular, to its probable phonetic variant **Chuncvkh // Churchkh**.

3. Geo. **cockhi** “broom” can be related to the Megrelian word **Chkhorcvkhi** “bunched; multi-peaked subject”.

4. There is an opinion in the scientific literature that the word **bari** “a tool used for digging or cutting earth” is borrowed from Megrelian, and Georgian has lost its lexical unit **ber** or **bel** (B. Giginishvili). We think that the suggested word **bel** is presented as the masdar **belva** “to chop down” and the verb **belavs** “He/She is chopping down”.

5. The phonetic equivalents of the Georgian stem **khlecha** are Megr. **khachqua** and Laz **khachqva** “to hoe”.

ქართულ-ალბანური (დაღმსტნური)  
იზობლოსების ლექსიკონი  
(საცდელი განაკვეთი: ა-ბ)

ა

ს.-ქართვ. \*აბ- „წყალი“

ქართ.აბ-, აბ-ი [ბედომვილი 2013 :5], აბ-ის-ი (ტოპ.)

არქაული აბ-ძირი „წყლის“ მნიშვნელობით ქართულ ტოპონი-  
მებშია შემონახული [ჭუმბურიძე1975 : 55-56]. ოლონდ აღმოსავლუ-  
რი ენებიდან მისი სესხების თვალსაზრისს ჩვენ არ ვემხრობით.

ს.-დაღ. \*აბ- „სისხლი“

რუთულ. აბ-ირ, წახ. ებ „სისხლი“

გამოყოფილი აბ-/ებ ძირთა კავშირს სისხლის აღმნიშვნელ  
პან/პინ/პი ალომორფებთან ჩვენ, ცხადია, ვერ მივემხრობით [მდრ.  
სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 497].

სემანტიკური კორელაცია ს.-ქართვ. წყალი ს.-დაღ. სისხლი ვა-  
რაუდობს ქართველურისთვის წითელი წყლის შინაარსს, მნიშვნე-  
ლოვანია, რომ სითხის გაგება ორივე სემანტემისათვის არის დამახა-  
სიათებელი.

ს.-ქართვ. \*აგ-რ- „კარგი“

ქართ. (თუმ.) ჰაგრ „კარგი“

ანლაუტური ჰ საკუთრივ თუშური ინოვაცია ჩანს, სადაც  
ფშვინვიერი შემართვა ხმოვნისწინა პოზიციაში დამახასიათებელი  
მოვლენაა.

ზანურ-სვანურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-დაღ. \*აგ- კეთილშობილი“

დიდ.იგ-უ „კეთილშობილი“

სიტყვა განმარტოებით დგას დიდოურში, მაგრამ შესაძლოა, ასახავდეს ძირეულ ფონდს ფუძე-ენიდან.

ნახურ-სინდური შესატყვისებიარჩანს.

ს.-ქართვ. \*ადრ- „ადრე; დილა“

ქართ. ადრ-ე „ადრე, ხვალ“

ზან.(მეგრ.) ორდ-ო „დილა“, ლაზ. ოდრ-ო //ორდო „ადრე, ჩქარა“, ორდ-ო-შენ „ადრიანად“. ორდ-ო-ნ-ალ-ი „ნაადრევი“

სვანური შესატყვისი დღემდე არ ჩანს [ჩიქობავა1938 :199].

ს.-დალ. \*ადარ- „ადრე, წინათ“

ბეჟ. არად-დნ,დიდ.ადერ, ხვარშ. ადოჟ-ალ ← \*ადაჟ-ალ ← \*ადარ-ალ, ჰუნზ. არტო-დო ← \*არდო-დო „წინათ“

სხვა დაღესტნურ ქვეჯგუფებში შესატყვისები არ იმეზნება, მაგრამ დიდოურ-ქართველურ იზოგლოსებს პარალელები აქვს ნახურშიც, შდრ. წ.-თუმ. ჟურდ-ნა „დილა“, ჟურდ-ენ „დილით, დილას“ [ჩუხუა2080 :262].

ნახურ ჟურდ-ძირთან ხუნძური როჰ- „დილით“ ფორმის მოხმობა არ ჩანს მიზანშეწონილი, შდრ. ასევე ჰურიტ. xurra „დილა, აღმოსავლეთი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 :497].

ს.-ქართვ. \*აჟ- „არა“

სვან. აჟ „არა“

საერთოქართველური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ სვანურში შემოგვრჩა.

ს.-დალ. \*აჟ- „არა“

ლაკ. აჟ-, აჟ-ათ „არა“

სავარაუდოდ, ძირად ლაკურში აჟ- გამოიყოფა, ხოლო -ათ კი-სუფიქსია.

ლაკურ-სვანურ იზოგლოსთა შესატყვისები ნახურ-სინდური ენებიდანამ ეტაპზე ვერ გამოვლინდა.

ს.-ქართვ. \*აზან- „აღმატებულება“

ქართ. აზან-ი „გვარდილობა“ (საბა), აზნ-აურ-ი, უ-აზნ-ო



მიუხედავად არაერთგზისი მცდელობისა, ვერ მტკიცდება ქართული **აზან**- ძირის სომხურ-ირანულობა [საკითხის ისტორიისათვის იხ. ანდრონიკაშვილი 1966: 218-220].

ს.-დად. **\*ზზნ**- „უფროსი (ასაკით)“

დიდ. **ჟჟენ**-ი „მოხუცი; პაპა/ზაბუა“

ადვილი შესაძლებელია დიდოურ ფორმას უკავშირდებოდეს დარგ. **აზი** „ბიძა“ სიტყვაც. ამ შემთხვევაში ფორმალურ ერთიანობასთან ერთად გასათვალისწინებელი იქნებოდა *ასაკით უფროსი* ნათესავის შინაარსი.

ქართულ-დადესტნურ იზოგლოსთა პარალელებს სხვა იბ.-კავკ. ენებში ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. **\*ათ-ჟ** „ცხელი“

სვან. **პთუ/ათუი** (ლმხ.), **პთუი** (ლნტ.) „ცხელი“

ბოლოკიდური **ჟ** ბალზემოურში მარცვლოვანი გახდა, სხვაგან-**ი** ზედსართაული (სადერივაციო) აფიქსის წყალობითაა შენარჩუნებული.

ზანურ-ქართული შესატყვისები ვერ გამოვლინდა.

ს.-დად. **\*ათან**- „თბილი“

ტინდ. **ანთა**-ლ‘ა „გათბობა, შეთბობა“

დიდ. **თათან**-უ „თბილი“

მიუხედავად სტრუქტურული სხვაობისა, საერთო **ანთა-/ათან**-ფორმები მეორდება. და თუ დიდოური **თათან**- განუყოფელი ძირია, მაშინ დგება საკითხი სხვა ქართველურ ძირთან მისი გენეტიკური კავშირის თაობაზე. ასეთად მივიჩნევთ *გახურების* აღმნიშვნელ მეგრულ გო-**თართ**-ალ-აფ-ა ზმნას.

საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

ს.-ქართვ. **\*აკ**- „ფქვილი; მარცვლეული“

ქართ. (მოხ., ფშ., ხევს.)**აკ**-ო „ფქვილის, მარცვლეულის შესანახი კიდობანი“

ძირად **აკ**- გამოვყავით, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ სწორედ *ფქვილ-მარცვლეულს* აღნიშნავდა იგი (**აკ**- ძირი), საიდანაც-**ო** სადერივაციო სუფიქსის დართვით ახალი სიტყვა იქნა ნაწარმოები.

ზანურ-სვანურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-დად. \*აკ- „მარცვლეული“

დიდ.აკ „თესლი; წკა“, იხ. აკ „ცომი“, ჰინ. აკ „თესლი; წკა“

დარგ. აკ-, ანკ-ი, ჩირ. აჟ-ე ← \*აკ-ე „ხორბალი“,

ლეზგ. აკ-ა „წვრილითხილის სახეობა“, რუთ.აკ-ა-ხ „წვრილი-თხილის სახეობა“, აღ. კე „ხორბალი“ (?)

სემანტიკურად უმთავრესია *მარცვლეულის* შინაარსი, საიდანაც განვითარდა *წვრილი თხილის* გაგება ლეზგიურსა და რუთულურში. სპეციალისტები აქვე მოიხმობენ ს.-ნახურ \*კატ- „ხორბალი“ ფორმასაც [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 508], რაც არ ჩანს მართებული, ვინაიდან მას ს.-ქართვ. \*კილ- „საგაზაფხულო ხორბალი“ შეესატყვისება [ჩუხუა 2008: 379].

სინდური შესატყვისები ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. \*აკრ-ა „ზღვისპირი; ნაკადული“

ქართ. აკრა „ზღვისპირი; ნაკადული“

იმავე სახელს ხედავენ ლაზურ აკრა „ნაპირი“ სიტყვაში [თანდილავა 2013]; ეს უკანასკნელი სალიტერატურო ქართულიდან დამკვიდრებული ფორმა ჩანს.

ს.-დად. \*კარ-ა „ტბა“

ბეჟ. კპ, ჰუნზ. კარა „ტბა“

დარგ. კატ „ტბა“

ცხადია, ყველაზე არქაული ჰუნზიბური ვარიანტია, საიდანაც რ→ტ ფონეტიკური საფეხურის გავლით მივიღეთ დარგული და ბეჟიტური ალომორფები.

სინდურ-ნახურ ენებში შესატყვისებს ვერ ვპოულობთ.

ს.-ქართვ. \*ალალ- „ქორი; ბუ“

ქართ.ალალ-ი „ქორი“ [Palco tennunculus]

ზან. (ლაზ.) ოლოლ-ი „ბუ“, მეგრ. ოლოლ-ია „ფრინველია;მონადირეები ნადირობენ“

ახ. ქართული ოლოლ-ი „ზარნაშო“ ზანიზმი ჩანს, ხოლო სომხური ჰალალ „ალალი“ ქართულიდანაა შესული [იხ. ჭოხონელიძე 2018: 29].

ს.-დად. \***ლალ**-უ „ქორი“

ხინალ. **ლალუ** ქორი“

დალესნურში ფინალური -უსუფიქსი ჩანს, ისევე, როგორც ქართველურში თავკიდურა **ა-**, რომელიც პრეფიქსად გამოიყოფა.

ნახურ ენათა **უდოდ/უადუად** „ოფოფი“ შეიძლება სხვა ძირი იყოს [შდრ. ჩუხუა 2008: 264].

ს.-ქართვ. \***ალახ**- „წნელი“

ქართ. (ქართლ.) **ალახ**-ი „მარხილის ფეხზე ან ურმის ბორბალზე ამოდებული წნელი“

ზანურ-სვანურ შესატყვისებს ვერ მივაგანიეთ.

ს.-დად. \***ალახ**- „სარეველა ბალახი“

კრიწ. **ალად**, წახ. **ალა** ← \***ალაჰ**, ხინ. **ალად** „სარეველა ბალახი“

სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად მიუთითებენ აზერბაიჯანული **alay** „id“ სიტყვის დადესტნური წარმომავლობის თაობაზე [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 :242].

ნახურ-სინდურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. \***ალუდ**- „ლუდი“

ქართ. **ალუდ**-ი „ლუდი“, **ალუდ**-ა (ანთროპ.)

ზანურ-სვანური შესატყვისები ვერმოვიძიეთ. ასეთის უქონლობამ წარმოშვა აზრი ქართულ ფორმათა ოსურიდან მომდინარეობის შესახებ[აბაევი I, 1958 : 130-131].

ს.-დად. \***ოროდ**-უ „ლუდი“

დიდ. **ოროდუ** „ლუდი“

სიტყვა ეულად დგას დადესტნურში; მისი კავშირი ხუნძურ **რიდი** „შრატი“ ფორმასთან ჩვენთვის მიუღებელია [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 :224].

ოსური **აღუთ**-ონ „ლუდი“ კავკასიური წარმომავლობის სუბსტრატული ფორმაა, რომელიც კანონზომიერ ნახურ შესატყვისს ინახავს.

სინდურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. \***ამახუ**- „მტერი; მტრობა“

სვან. **ამახუ** „მტერი“, ლი-**ამაზუ** (ლნტ.) „მტრობა“ ხ-ე-**ამაზუ** „ემტერება“

სხვა შემთხვევაში სიტყვის ამა-ხუ სახით სეგმენტაცია, როგორც ეტყობა, არ იყო გამართლებული [ჩუხუა 2008: 399].

ს.-დად. \***ანახ**- „ბრძოლა“

არჩიბ. **ანხ** „ბრძოლა“

სიტყვა მხოლოდ ერთ ენობრივ ერთეულში არის შემორჩენილი, ამიტომაც საერთოდადესტნური არქეტიპის რეკონსტრუქცია რთულდება. თუმცა **ამახუ**/\***ანახ**- არქეტიპთა ერთიანობა ეჭვს არ იწვევს.

მისაღებია კორელაცია სემანტიკურ დონეზე *მტერი/მტრობა/ბრძოლა*, ანუ *ებრძვის/მტრობს*.

ს.-ქართვ. \***ანგალ**- „ორგანო მუხლიდან ბეჭამდე“

ქართ. (კახ.) **ანგალ**-ა „საკლავის ნაწილი მუხლიდან ბეჭის სახსრამდე“

ფუძეენური წარმომავლობის სიტყვა მხოლოდ კახურ დიალექტს შემორჩა, მაგრამ ამავედროულად, სწორედ იგი ასახავს ქართველურ შესატყვისს.

ს.-დად. \***ანგა** „მუხლი“

ბეჟ. **ანგა**, ჰუნზ. **ანგა** „მუხლი“

ლაკ. **ჩან** (←\***გან**) „ტერფი; ფეხი“

ხინ. **ანქა**(←\***ანგ**) „ფეხი; ტერფი“

აქვე დარგულ **ნიქა**„ფეხი; ძვალი“ ალომორფსაც მოიხმობენ[სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 :594], რასაც ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან დიდია სტრუქტურული სხვაობა; ამასთან, შდრ. თაბ. **ლიქ**, აღულ. **ლექ** „ფეხი“.

ნახურ-სინდურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. \***ანდაუ** „ბოთე; მწყემსი“

სვან. **ანდაუ** „მწყემსი; ბოთე“

კავკასიაში *მწყემსის* პროფესია არ მიიჩნეოდა პრესტიჟულად, ამიტომაც სრულყოფილი ადამიანები არ კადრულობდნენ მწყემსო-

ბას. ე. ი. უნდა ვივარაუდოთ *ბოთე* → *მწყემსი* სემანტიკური ტრანსფორმაცია.

ს.-დალ. \***ანთაჷ**- „გიჟი“

ბეჟ. **ანთაჷ** „გიჟი“

პალეოკავკასიური ძირის ამოსავალი შინაარსი ბეჟიტურმა შემოინახა. სხვა მხრივ სვანურ-ბეჟიტური შესატყვისების მიმართება ეჭვებს არ აღძრავს.

ნახურსა და სინდურში შესაბამის მასალას ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. \***ანკ**-არ- „წმენდა, გასუფთავება“

ქართ. **ანკარ**-, **ანკარ**-ა „სუფთა, წმინდა“

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში. დასაშვებია ეტიმოლოგიური კავშირი ქართ. **კრ**-, გა-**კრ**-იალ-ებ-ა ზმნასთან; მაშინ **ნ** (**ანკარ**-) ფონეტიკური ჩანართი იქნება.

ს.-დალ. \***ანკ**- „გაწმენდა; გალესვა“

ხუნძ. **ეკ**-, რ-**ეკ**-იზე „გაწმენდა, გასწორება (ქვისა)“

ბუდ. **ეყ**-ი „ბასრი“, კრიწ. **ჰაყ**- „ლესვა, გაპარსვა“ წახ. **ეკ**-აყას „გაპარსვა“, შდრ. წახ. **ეკ**-ინ „მჭრელი“, ხინ. **ინკ** „მჭრელი“, **ინკ**ჲ-ქვი „გაპარსვა, ლესვა“

სწორი ჩანს ადრე გამოთქმული დებულება იმის შესახებ, რომ **კ** → **ყ** მეორეული პროცესია კრიწულ ენაში, ვინაიდან ინგუშური **ეგ** „სალესი ქვა“ მხოლოდ \***ეკ** სახეობის არქეტიპიდან შეგვეძლო მიგველო [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 413-414].

სინდური შესატყვისები დაკარგული ჩანს.

ს.-ქართვ. \***ანძალ**- „ამართულიძელი, ანძა“

ქართ. (მოხ.) **ანძალ**-ი „ამართული ძელი“

ზან. (ლაზ.) **ონჯოლ**-ი „ანძა“

სვანურ შესატყვისს ვერ მივაკვლიეთ; ლაზური **ონჯოლ**-ი კი-კანონზომიერად შეესატყვისება მოხეურ **ანძალ**-ი სახელს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სალიტერატურო **ანძა** განსხვავებული ეტიმოლოგიის სიტყვაა და აქ ვერ განიხილება.

ს.-დალ. \***ანძარ**- „დირე; ჯოხი“

ხუნძ. **ჰანსა** „ჯოხი, კეტი“

ჰუნზ. ანზარ „დირე, მორი“

ად. რეს, ბუდ. რეზ, კრიწ. რზს „ჯოხი, კვერთხი“

სპეციალურ ლიტერატურაში ახვ. ზანსა, ტინდ. ანსა „id“ სამარ-თლიანად მიიჩნევა ხუნძურ ნასესხობად, შდრ. ასევე დიდ. ანსა „id“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 528].

ფუძის ცვეთა განსაკუთრებით საგრძნობია ლეზგიური ქვეჯგუფის ენებში. ამასთან, ადვილი დასანახია ძ→ზ/ს დეზაფრიკატიზაცია-სპირანტიზაციის ფონეტიკური პროცესები რიგ დადესტნურ ენაში.

დადესტნურ-ქართველურ იზოგლოსთა სტრუქტურული იგივეობა მყარდება კანონზომიერი სემანტიკური შესატყვისობით – ძე-ლი ~ ჯოხი/მორი.

ნახურ-სინდურ მასალას ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. \*არაგუ- „მთის მდინარე“

ქართ. არაგუ-ი / არაგვ-ი

მთის დიალექტებში არაგვ-ი მდინარის სინონიმია, რაც შეიძლება ასახავდეს არქაულ ვითარებას. ოსური ხოხ-დონ = არაგვ-ი „მთის მდინარე“ კი იმას ნიშნავს, რომ რეგიონში გვიან დამკვიდრებულია ოსებმა ასახეს სიტყვის [არაგვ-ი] ნამდვილი/ზედმიწევნითი მნიშვნელობა.

ს.-დად. \*უარაგ- „მდინარე; ღვარი“

წახ. ურაგ „მდინარე; ღვარი“

თავკიდურა ხმოვნის ფარინგალიზაცია წახურში ასახავს არქაულ უ სონანტს, რომელიც ხშირად ხდება ფარინგალიზაციის წყარო დადესტნურ ენებში.

ს.-დად. \*უარაგ-: ს.-ქართვ. \*არაგუ- არქეტიპების შესატყვისის შეიძლება, ინახავდეს ჩეჩნ. არგუ<sup>5</sup>, ინგუშ. თარგა, წ.-თუშ. არკონ<sup>6</sup> „მდ. არგუნი“, შდრ. ს.-ნახ. \*არგუ-ენ „მდ. არგუნი“.

ს.-ქართვ. \*არ-ე „სივრცე, არე; ფართობი“

ძვ. ქართ. არ-ე „ველი“, არ-ე-ობ-ა „ღია ცის ქვეშ ყოფნა“, ახ.

ქართ. არ-ე „განსაზღვრული სივრცე“

ქართულ დიალექტებში არ-ე-ს ასევე უდასტურდება მნიშვნელობები: მხარე; ეზო-ყურე [ჭოხონელიძე 2018 : 59].

ს.-დად. \***არ-** „ფართო“

ჭამალ. **არ-**, **არ-**-უ-ბ „ფართო“

სხვა დადესტნურ ენებში გენეტიკურად საერთო ძირებს ვერ მივაკვლიეთ, სამაგიეროდ, ნახურ ენათა **არ-** ძირი მსგავს წარმომავლობას გულისხმობს, შდრ. ნახ., ინგუშ. **არ-ა** „გარეთ“, **არ-ა**-დალა „გარეთ გასვლა“...

სინდურ ენებში ეს ძირი არ შეგვხვდებოდა.

ს.-ქართვ. \***არტ-ე** „თხა; ცხვარი“

ძვ. ქართ. **არტე** /**არტე** /**არტე** „ჯოგი თხათა და ცხვართა“

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, მაგრამ მეტად სარწმუნო შესატყვისები უდასტურდება დადესტნურ (და არამხოლოდ) ენებში.

ს.დად. \* **ანლ-ი** „ვერძი; ყოჩი“

ანდ. **ანლ'ი**, ახვ. **ანლ'ი**, ბაგვ. **ანლ'**, ტინდ. **ანლ'ი** „ვერძი; ყოჩი“

დიდ. **ანლი**, ხვარშ. **ანლი** „ვერძი; ყოჩი“

ამოსავლი **ლუ** ლატერალი, როგორც *ღორის* შემთხვევაში, ანდიურ ენებში სპირანტიზაციას დაექვემდებარა; სამაგიეროდ მისი აფრიკატული ხასიათი დიდოურ-ხვარშიულმა შეინარჩუნა. სამწუხაროდ, არჩიბულ შესატყვისს ვერ ვპოულობთ, სადაც *ღორის* რეკონსტრუქციისას გადამწყვეტი მნიშვნელობის **ლუ** ლატერალი დაცული იყო უცვლელად.

სხვათა შორის, ბერათშესატყვისობათა ჩვენების დაცვის კუთხით სანიმუშოა ნახური შესატყვისები, შდრ. წ.-თუშ. **აღრლ'**, ინგუშ. **არჰჰ**, ჩეჩნ. **აღრჰა** / **აღრა** „ყოჩი“.

ს.-ქართვ. \***არტაჟ-** „სამი კოდი; საწყაო“

ქართ. **არტაგ-ი** „სამი კოდი; კაბიწი“ (საბა)

სიტყვა მხოლოდ ქართულშია დამოწმებული, მაგრამ შესაძლოა, იგი ასახავდეს საერთოქართველური წარმომავლობის სახელს.

ს.-დად. \***ურტ-** „ფინჯანი, თასი“

არჩიბ. **ურტ-ი** „თასი, ფინჯანი“

ამ ეტაპზე უცნობია **ა**-ს ფარინგალიზაციის მექანიზმი არჩი-ბულ ალომორფში, რაც, უწინარეს ყოვლისა, მასალის სიმცირით არის განპირობებული.

ქართულ-არჩიბულ იზოგლოსთა პარალელებს ნახურ-სინდურ იოგოფის ენებში ამ ეტაპზე ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. \***არშ**- „არშია; ქობა“

ქართ. **არშ**-, **არშ**-ია / **აშ**-ია (ჩუბინაშვილი)

გვიძნელდება **რ**-ს განვითარების დაშვება ქართულში; უფრო მისი დაკარგვაა მოსალოდნელი.

ზანურ-სვანური შესატყვისები ვერ მოვიძიეთ.

ს.-დად. \***ანლ**‘- „ქობა; არშია“

დიდ. **ანლ**‘-უ, ინხ. **ანნ**-ა ← \***ანლ**‘-ა „ტანსაცმლის ქობა“

ლაკ. **ლან**-თუ „თავშალის არშია“ (ქალთა მოსახვევი)

ლეზგ. **გინ** „ტანსაცმლის წინა არშია“

დადესტნურ ძირ-ფუძეთა გენეტიკური კავშირი ცნობილია [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 592]. მათვე უკავშირდება ქართ. **არშ**- ძირი, შდრ. ბგერათმესატყვისობა ს.-დად. **ლ**‘: ს.-ქართვ. **შ**, რაც რეგულარულ და კანონზომიერ ხასიათს ატარებს.

ნახურ-სინდურ პარალელებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. \***არყ**- „მცენარე (სოკო)“

ქართ. **არყ**-ი [Betula], **არყ**-ა „სოკო“ [Boletus scaber]

ვფიქრობთ, ქართულში **არყ**- მეორდება როგორც ხის, ისე სოკოს აღმნიშვნელ სახელებში (საბა: **არყ**-ი „ხე“), შდრ. ფშ. **არყ**-ის-ტილა „წვრილი, მწვანე ქინქლა, რომელიც არყის ფოთოლს ახვევია“.

სათანადო ძირებს ზანურ-სვანურში ვერ მივაკვლიეთ.

ს.-დად. \***ა-არაყ**- „თხილი“

უდ. **აერყყ**, წახ. **არაყ** „თხილი; მისი ხე“

თავიდადური **ა**- უდიურში შეიძლება, წარმოშობით II გრ. კლასის ნიშანი იყოს; **ა** → **ე** სწორედ მისი ზეგავლენით განხორციელდა უდიურ ფუძეში.

ს.-დად. \***ა-არაყ**- „თხილი“ : ს.-ქართვ. \***არყ**- „მცენარე (სოკო)“ არქექტიპთა ერთიანობას მხარს უჭერს სტრუქტურული თანხვედნა,



მაგრამ აქვე დაზუსტებას მოითხოვს შესამჩნევი სხვაობები ძირთა სემანტიკაში. **ა**- დადესტნურში გრ. კლასის მარკურია.

ნახურ-სინდური ჯგუფის ენებში შესატყვისებს ვერ მივაკვლი-  
ეთ.

ს.-ქართვ. \***არც-ე** „მრუდე; დახრილი“  
ზან. (მეგრ.) **ორცა** „მრუდე; დახრილი“

სიტყვა განმარტოებით დგას მეგრულში, მაგრამ მას ფუძეენუ-  
რი წარმომავლობა ახასიათებს. ამას გვაფიქრებინებს სანდო შესა-  
ტყვისები მონათესავე იბ.-კავკ. ენებიდან.

ს.-დად. \***არც-წ** „ტყუილი“

რუთ. **არცა** „ტყუილი“

სხვა დადესტნური ქვესისტემები ამგვარ სიტყვას არ იცნობენ.

ს.-ქართვ. \***არც-ე** „მრუდე; დახრილი“ ~ ს.-დად. \***არც-წ** „ტყუი-  
ლი“ არქეტიპების კანონზომიერი შესატყვისი შეიძლება ჩანდეს ნა-  
ხურ ენებშიც, შდრ. ინგუშ. **ოარც**, ჩეჩნ. **არც** „დახრილი ნაწილი მთი-  
სა“...

ს.-ქართვ. \***არწიჷ**- „არწივი“

ქართ. **არწივ**-ი

ზან. **როჰო**← \***ორჰო**, შდრ. ქართ. (← ზან.) **როჰო**

სვან. **რჰჰჷ** / **რეჰჷ** „კურდღელი“

სემანტიკური კორელაცია *არწივი* ~ *კურდღელი* ახსნას ით-  
ხოვს. აქ დაშვება ემყარება შესაძლებლობას სინონიმურ *არწივი/რუ-  
ხი*, რაც აპრობირებულია ინდოევროპულ ენებში, შდრ. ლათინური  
aquila „არწივი“ ~aquilus „რუხი“, ერთის მხრივ, და რუსული серый  
„რუხი“ ~ серый „კურდღელი“.

ს.-დად. \***არწიმ**- „არწივი“

დიდ. **ერციმ**, შდრ. ჭამ. **ერციმ** „ძერა“

დარგ. (ჩირ.) **ზარჰიმ**-ე „არწივი“

აქვე შეიძლება, დაისვას საკითხი ლაკურ **ზარზუ** „არწივი“ სა-  
ხელთან მიმართების შესახებაც, თუ, რასაკვირველია, არის თეორიუ-  
ლი შესაძლებლობა **ზ**-ს მეტათეზისისა ლაკურში ისევე, როგორც  
**წ**→**ზ** გამჟღერებისა, რაც ნაკლებსავარაუდოა.

სამაგიეროდ, უეჭველია ნახურ (წ.-თუმ. **არწიბ**, ჩეჩნ. **პრზუ**, ინგუშ. **ერზი**) ალომორფებთან გენეტიკური კავშირი, რასაც ზურგს უმაგრებს ურარტული **arçib** „არწივი“ შესატყვისი [დიაკონოვი, სტაროსტინი 1986 : 45; სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 371].

სინდური პარალელები ვერ მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. \***ას**- „ზოგჯერ; ხანდახან“

სვან. **ეს/აეს** „ხან, ზოგჯერ“, **ეს-ი-ეს**-ინ (ლნტ.) „ხანდახან, ზოგჯერ“, შდრ. **აჰს-აჰს**-გნ (ბქ.) „id“

თავკიდურა **ა** სვანურ დიალექტებში ფონეტიკური დანართი ჩანს. ძირის არქაულ გახმოვანებას [ჰ] ბალსქვემოური დიალექტი აჩვენებს.

ს.-დალ. \***ანს**- „ხანდახან, ზოგჯერ“

ბაგვ. **აჰს**-ალ'ი, ტინდ. **აჰშ**-აბი, ჭამალ. **აჰს**-ლამა „ზოგჯერ, ხანდახან“

არ ჩანს **ს** → **შ** ფონეტიკური გაშიშინების საფუძველი ტინდურში.

სხვა მხრივ, ს.-დალ. \***ანს**- : ს.-ქართვ. \***ას**- შეპირისპირებას პრობლემები არ ახლავს; სახეზეა სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა.

იზოგლოსებს ნახურ-სინდური ენებიდან ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. \***ა-ს**- „ახლა“

ქართ. **ას**-ერ „აწვესავით“ (საბა)

ზან. (მეგრ.) **ას**-ე „ახლა“

საერთოქართველურისთვის გამოყოფილი თავკიდური **ა-** დეიქსურ ხმოვნად გვესახება (**ა**-ხლა, **ა**-ქ, **ა**-წი, **ა**-გერ...).

ს.-დალ. \***ჰას**- „ახლა“

უდ. **ისა/ისჰ**, წახ. **ჰჰშ**-დე „ახლა“

ამოსავალ სახეობასთან წახური ფორმა უფრო ახლოს დგას; ხოლო უდიური ალომორფი შებრუნებული წყობისაა: **ისა** ← \***ასი**.

ფონეტიკურად ძირეული ხმოვნის ფარინგალიზაცია წახურში წინამავალ თანხმოვანს მიეწერება – \***ჰაშ**-დე → **ჰჰშ**-დ-ე.

ქართველურ-დაღესტნური სიტყვების პალეოკავკასიური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს.

საძიებო ძირები ვერ მოვიძიეთ სინდურ-ნახურ ენებში.

ს.-ქართვ. \***ას-ე** „შუა ადგილი“

ზან. (მეგრ.) **ოშე** „შუა ადგილი“

სიტყვა მხოლოდ ზანურში შემოგვრჩა, ამიტომაც ფუძეენური არქეტიპის რეკონსტრუქციაც ამ მონაცემს ეფუძნება; რაც ვერ იქნება უნაკლო.

ს.-დაღ. \***ჰს(ჟ)-ა** „ადგილი (ახლო)“

აღ. **ისჟ/ისჟ/ისჟა /უსა**, თაბ. **იშ** „ადგილი“, უდ. **ჟშა** „ახლო“

ანლაუტური **ი ~ გ** ფონემური ოპოზიცია, ალბათ, ფუძეენურ ჯ-ზე მიგვანიშნებს საერთოდაღესტნურში [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 683].

მართალია, ნახურ ენებში სათანადო მასალა დღეს არ ჩანს, მაგრამ პროტონახურში მის არსებობაზე ურარტული **eA** „ადგილი“ სიტყვა მიუთითებს [დიაკონოვი, სტაროსტინი 1986 : 39].

ს.-ქართვ. \***ას-ო** „სხეულის ნაწილი“

ქართ. **ასო**

სვან. **იშჟ/ისჟ** (ლშხ.) „რბილესი, რბილი ხორცი“

ბოლოკიდური **-ჟ** სვანურში და **-ო** ქართულში, შესაძლოა, ფუძე-ენიდან მომდინარე სადერივაციო აფიქსი იყოს.

ს.-დაღ. \***ჰნლ'-ო** „უბე; იღლია“

ანდ. **ინლ'**-ირა, ახვ. **ილ'**-არი, ბაგვ. **ეჰ-ენალ-ლ'**ი, ბოთლ. **ინ-თან-ლ'**ი ← \***ინლ'**-არ-ლ'ი, კარ. **ელ'**-ემი, ტინდ. **ინლ'**-არ, ლოდ. **ჰინლ'**-არი „უბე; იღლია“

ბეჟ. **ანლ'ო**, ხვარშ. **ალ'ე**, ჰინ. **ალ'უ** „ერთი იღლია“

ფონეტიკურად აუხსნელია დარგ. **დუქლა/დუქალა** „იღლია; ფრთა“ ალომორფებთან მიმართების მექანიზმი [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 605]. ჩვენ თავს ვიკავებთ ამგვარი დაკავშირებისაგან, სხვადასხვა წარმომავლობის სიტყვები გვგონია.

ნახურ-სინდურ ენებში მონათესავე სიტყვები არ იძებნება.

ს.-ქართვ. \*აფრ-ა „აფრა; ბოყვი“

ქართ. აფრა „ბოყვი“; „ფიცრული სახლის კედელში ვერტიკალურად დაყენებული ფიცარი, ორივე მხრიდან გრძლად ამოღარული“.

ჩვენთვის საინტერესო სიტყვის მნიშვნელობით ქართველურენა-კილოებში მოსალოდნელი შესატყვისები ვერ დადასტურდა.

ს.-დალ. \*წფწრ- „ჭერის შესაფიცრი ხალა“

ხუნძ. (ანდალ.) ეფელ „შესაფიცრი, საფარი“

ინხ. აფარ „ჭერის შესაფიცრი ხალა“

დალესტნურ ალომორფთა გენეტიკური კავშირი გამოკვლეულია [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 202]. ვფიქრობთ, სიტყვათა ამავე რიგში უნდა განვიხილოთ ქართული მონაცემიც; უფრო მეტიც, ქართულ-დალესტნურ იზოგლოსებს მარჯვედ უდგება ნახური ნიმუშებიც; ჩეჩნ. აფარ-ი, ინგუშ. აფარ „ღარი“. აქ, გარდა სტრუქტურული ერთობისა, თავჩენილია ღარის სემანტიკა, რომელიც ქართული სიტყვის განმარტებისას მნიშვნელოვანი ნიუანსი ჩანს ასევე.

აფხაზური ა-ფრა „იალქანი“ სხვა სიტყვაა, თანაც ქართულიდან შეთვისებული.

ს.-ქართვ. \*ა-ფხა- „ზურგი, ბეჭი“

ზან. (მეგრ.) აფხა „ზურგი, ბეჭი“; „საფეიქრო სავარცხელი“, ლაზ. აფხა „საქსოვი დაზგის სავარცხელი“

ქართულ-სვანური შესატყვისები დაკარგული ჩანს. ლაზურშიც ფორმა უცვლელადაა შენარჩუნებული, მაგრამ გადატანითი, მეორეული მნიშვნელობით, შდრ. ასევე აფხა „მეტად გამხდარი ქალი ლაზურად“.

ს.-დალ. \*ბარბ- „მხრის ძვალი; მხარი“

ანდ. ბეხ-უნ, ახვ.(რატლ.) ბეხ-უნ /ზუხ-უნ, ბოთლ. ბეხ-უნ /ბეხ-უმა, ტინდ. ბეხ-უმა, ლუდ. ბეხ-უნ, ჭამ. ბეხ-უნ „მხრის ძვალი“

ლაკ. ბარბ, ხოსრ. ბარბ „ზურგი; ხერხემალი“

თაბ. მარხ-, სიტყვაში მარხ-ლ-ინ კურაბ „მხრის ძვალი“

რატომღაც, დალესტნური მასალის ანალიზისას, ავტორები [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 302] არ მოიხმობენ ნახურ მასალას: ჩეჩნ. ფხანარ, ინგუშ. ფხანდარ, წ.-თუშ. ფხანერ „ბეჭი“, რომელთა

ჩვენება მეტად მნიშვნელოვანია ლაკურ-თაბასარანულ ენათა რ ვიბრანტის ასახსნელად. გარდა ამისა, ნახურ-ქართველური ერთგვაროვანია ფხ კომპლექსის მიმართებაშიც, მაშინ, როდესაც, დაღესტნურის მიხედვით, მისი მეორეულობა (რედუქციის მომდევნო საფეხური) აშკარად ფიქსირებული ენობრივი ფაქტია [ჩუხუა 2008 : 272].

სინდური შესატყვისები ვერ დაიძებნა.

ს.-ქართვ. \*ა-ფხა „თხუნელა; ბაყაყი“

ზან. (ლაზ.) ემხუ / ეფხუ „თხუნელა“

სვან. აფხუ „ბაყაყი“

მოსალოდნელი აფხა ქართულში არ ჩანს, ხოლო ლაზური ეფხუ მომდინარეობს \*ოფხუ არქაული სახეობიდან, შდრ. ლეჟ-ი / ლორ-ი, ეჩ-ი/ოც-ი...

ს.-დად. \*ჭურ- „კურდღელი“

ბეჟ. ჯიამ-ა ← \*ჯირ-ა, დიდ. ჯამ ← \*ჯარ, ინხ. ფენ, ჰუნზ. ჯი „კურდღელი“

დარგ. (კაიტ.) ღურ-ი, კუბ. ღურ, წუდ. შურ-ი „კურდღელი“

აღ. შურ, ბუდ. ჯურ, თაბ. ღურ, კრიწ. ჯურ, ლეზგ. ჯურ, რუთ.

ღურ, უდ. ღუ, წახ. ღგამ-ე „კურდღელი“

დარგის სპეციალისტები აქვე განიხილავენ ნახურ ფჰა-გალ / ფხა-კალ (წ.-თუშ.) „კურდღელი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 472], რასაც ჩვენც ვეთანხმებით [ჩუხუა 2008: 271].

ს.-ქართვ. \*აქაქ- „ქობი“

ზან. ოქოქ-ი „ქობი, ქობმახი“

ქართული ოქოქ-ი „ქობი“ ზანურიდან ჩანს დამკვიდრებული. სავარაუდოდ, ფუძეენური არქეტიპი ა განზომოვანებისა იყო, რომელსაც ო რეგულარულად შეესატყვისება მეგრულ-ლაზურში.

ს.-დად. \*აქალ- „ეზო-კარი“

დიდ. აქილ-უ „ეზო“

სიტყვა განმარტოებით დგას დიდოურში; სავარაუდოდ, მას ფუძეენური წარმომავლობა ახასიათებს.

ბგერათშესატყვისობა ს.-დად. ლ: ს.-ქართვ. ქ წინააღმდეგობას ვერ შექმნის, ვინაიდან სხვაგანაც გამოჩნდება, შდრ. ს.-დად. \*ლარ

„რქა“ (ხუნძ. ლზარ„id“): ს.-ნახ. \*ქურ „რქა“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 772].

ნახურ-სინდური შესატყვისები ვერც ამ ჯერზე მოვიძიეთ.

ს.-ქართვ. \*აღ- „ღერო“

სვან. აღ (ლხმ.) „ღერო ნათესი პურეულისა“, ზს., ლნტ. „სახურავის ლარტყა“

სიტყვა განმარტობით დგას სვანურში, მაგრამ ასახავს ფუძეენურ ლექსიკას. მას სარწმუნო შესატყვისები ეძებნება დადესტნურში.

ს.-დად. \*აღ-ა(ლ) „ქუსლი“

ხუნძ. ეღ, ჭად. ეღელ „ქუსლი“

ლაკურ ნიჯა „ქუსლი“ სიტყვასთან ეტიმოლოგიური კავშირი, ისევე, როგორც ჩეჩნ. ჰაჯ-ოლგ, ინგუშ. ჰაჯ-ინგ „კოჭი, კოჭის ძვალი“ [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 248] ალომორფებთან, მეტ საბუთიანობას მოითხოვს. იგივე ავტორები სამართლიანად მოიხმობენ ხუნძ. ოღრ-ქურ/ოღრ-ჯათ „ნები“, ჭად. ოღრ-ბ „ციდა, მტკაველი“ დერივატებს.

სემანტიკური კორელაცია ფეხი/ქუსლი ~ ღერო ბუნებრივია იბ.-კავკ. ენებში, შდრ. ს.-ქართვ. \*ზუიტ- „ღერო (კომბოსტოსი)“ ~ ს.-დად. \*ჰუტ- „ფეხი; ტერფი; ქუსლი“ (იხ. აქვე).

სინდურ შესატყვისებს ვერ ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. \*აყარ- სხვენი“

ქართ. (ინგილ.) აყარ-ი „სხვენი“

სიტყვა იზოლირებულად დგას ინგილოურში, მაგრამ ამავე დროულად კანონზომიერად ასახავს ფუძე-ენიდან მომდინარე მკვიდრ ფორმას.

ს.-დად. \*ჰაყან „ქოხი; სახლი“

ანდ. ჰაყ-უ, ბოთლ. ჰანყ-უ, ლოდ. ჰანყ-უ, ჭამ. ჰანყ-უ „სახლი“, შდრ. ჭამ. ჰანყ-ა-ზა „სართული“

ინხ. ანჯ, ხვარშ. ანჯ-ა „კერა; ოჯახი“

ხინ. რყან „სადგომი, თავშესაფარი მთაში“

მიუთითებენ ასევე ტინდიურ ჰაყ-უა „ქოხი“ ფორმაზე, რომელიც უფრო სრულად ინხოყვარულ ჰანყა „ქოხი; მიწური“ ალომორფს შემოუნახავს [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 522].

ხინალულური ვარიანტის ანლაუტური ხმოვნის სიგრძე **ჰ**-ს დაკარგვის კვალი ჩანს; იგივე ფორმა სრულ წარმოდგენას იძლევა ფუძე-დადესტნური არქეტიპის სტრუქტურაზე.

ნახურ-სინდურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. \***აწ**- „ზურგი“

ზან. (მეგრ.) **ოჰ**-, **ოჰ**-იშ-ი „ზურგი“

ვერ გავიზიარებთ სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მეგრ. ო-ჰი-შ-ი = სა-წელ-ის-ი [ჩიქობავა 1938: 86], ვინაიდან სომატურ სახელებში მეგრული ხშირად მიმართავს **-იშ** სუფიქსიან დერივაციას, შდრ. ჩხე „ცხელი“ ~ ჩხე-**შ**-ი „თემო, გავა“, ჩხვა „კუწუბო“ ~ ჩხვა-**შ**-ი „id“... საერთოდ, ზანური **ოჰ**- დამოუკიდებელი სახელი ჩანს, რომლის შესატყვისებიც ქართულ-სვანურში ჯერაც არ არის გამოვლენილი.

ს.-დად. \***აჰ**- „ქედი; ყელი“

ჰინ. **აჰ**-უ/აჰ-ურე „ქედი“

არჩიბ. **ოჰ-ი** „საყელო“

ძირეული **ოჰ**- არჩიბულში (მეგრულივით) **-ი** სუფიქსითაა გართულებული – **-ი** = **-იშ**. როგორც ვხედავთ, სუფიქსურ ნაწილში მხოლოდ ფუნქციური დამთხვევა გვაქვს, მაშინ, როდესაც ორივეგან ძირი საერთოა.

ს.-ქართვ. *ზურგი* ს.-დად. *ყელი* სემანტიკური კორელაცია კანონზომიერებას ექვემდებარება.

შემთხვევითია ქართველური **ოჰ**- ძირის დამთხვევა ე. წ. ნოსტრატულ ენებთან [იხ. დოლოგოპოლსკი 2007: 95 (№9)].

ს.-ქართვ. \***ახო** „ახო“

ქართ. **ახო** „საყანედ გაკაფული ტყე“, „საყანური განაკაფი“ (საბა)

ზანურ-სვანური შესატყვისები არ ჩანს; ისე კი, მოსალოდნელი იყო **ოხე** /**ახჷ** ალომორფები. ადრე გამოთქმული თვალსაზრისი **ახო**-ს ნასესხობის შესახებ დადესტნურიდან არ მართლდება [შდრ. ჩიქობავა 1987].

ს.-დად. \***ოხა** „მიწის ნაკვეთი; მდელო“

ბეჟ. **რღწ** „მიწის მცირე ნაკვეთი“

თაბ. **უხჷ**-უ, რუთ. **უხჷ**-ლ „ყამირი, მდელო“

სავსებით გაზიარებული ჩანს ბეჟიტურ-თაბასარანულ-რუთულურ ძირ-ფუძეთა ერთიანი წარმომავლობის მტკიცება, როცა **-ლ** სუფიქსად გამოიყოფა, მაგრამ ხინალულური **გწჷა** „მინდორი, ველი“ [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 561] მაინც განსხვავებული ეტიმოლოგიის სიტყვა გვგონია და აქ არ შემოგვაქვს.

ნახურ-სინდურ შესატყვისებს ვერც ამ ჯერზე მივაკვლიეთ.

## ბ

ს.-ქართვ. \***ბაბ**- „ბებია“

ქართ. (ქართლ.) **ბაბ**-ო „ბებია“, მთ. **ბაბ**-უა „ბებია“

ზან. (მეგრ.) **ბებ**-ი „ბებია“

სვანურში შესატყვისები არ ჩანს. ქართული **ბებ**-ია სხვაგვარი წარმომავლობის ფუძეა, ამიტომაც აქ ვერ შემოვა. მეგრული **ბებ**-ი კი კანონზომიერად შეესატყვისება ქართლურ **ბაბ**-ო ფორმას, ვინაიდან ფინალური **-ო/-ი** იმეორებს ქართ. ღვინო : ზან. ღვინო ტიპის მიმართებას, ხოლო ქართ. **ა** : ზან. **ე** (ბაბო / ბები) მიჰყვება ცნობილ ქართ. ჯაჭვი : ზან. ძეწკვი ოპოზიციას, შდრ. ასევე ძარღვი / ჯერღვი „ძარღვი“...

ს.-დად. \***ბაბ**- „დედა; ბებია“

ხუნძ.**ბაბ**-ა „დედა; დედიკო“

ანდ. **ბაბ**-ა, ახვ. **ბაბ**-ა, ჭამ. **ბაბ** „დედი, დედიკო“

ლაკ. **ბაბ**-ა „დედიკო“

დარგ. (ჩირ.) **ბაბ**-ად „დედა“

ბუდ. **ბებ** „დედამთილი“, თაბ. **ბაბ** „ბებია“, ლეზგ. **ფაბ**← \***ბაბ** „ქალი“, რუთ. **ბაბ**-ად „ბებია“

*დედის* აღმნიშვნელი არჩიბ. **ბუტ**-ა აქ ვერ შემოვა [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 287], ვინაიდან განსხვავებული ეტიმოლოგიისა ჩანს.

ნახური ენებიდან საინტერესო ჩანს ჩეჩნ. **ბაბ**-ა „ბებია“ ფორმა, შდრ. ჩეჩნ. ჟორა-**ბაბა**, ინგუშ. ჟერ-**ბაბა**/რ [= старая баба] „ჯაღოქარი“.



აღწერილი სიტყვა-ფორმები ბავშვის ენის უნივერსალური ლექსიკიდანაა, მაგრამ ამავდროულად უთუოდ პალეოკავკასიურ ლექსიკურ ფონდს ასახავს.

ბოლოკიდური **-გრ** სვანურში ზმნური (მაზმნავებელი) აფიქსია, ამიტომაც დამაბრკოლებელ პრობლემად ვერ იქცევა.  
ს.-დად. \***ბოგ**-ი „სალამო; შებინდება“; „დაისი“  
ხუნძ. **ბოგ** „სალამო; ვახშამი“  
კარ. **ბოგ**-, **ბოგ-ო**-ლჷ „სალამოს“, ჭამ. **ბუგ** „სალამო; ვახშამობის დრო“

აღ. **ბაგ**-ა, ბუდ. **ფაგ**-ა „ხვალ“, კრიწ. **ბაგ**-ამქარ „ცისკარი, განთიადი“, ლეზგ. **ფაქ**-ა „ხვალ“, რუთ. **ბგგ**-ა „ხვალ“, უდ. **ბეგ**-ა „სალამო, ბინდი, დაისი“

დადესტურ ძირ-ფუძეთა ერთიანობა ცნობილი ფაქტია [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 292]. საერთოქართველური მასალაც ლოგიკურად ჯდება ამ კონტექსტში, ვინაიდან *სიბნელის* შინაარსი ორივე ჯგუფის ენებში ხელშესახებია, რასაც მხარს უჭერს სტრუქტურული ერთგვაროვნება.

ნახურ-სინდურ ენებში მსგავსი სიტყვები არ ჩანს.

ს.-ქართვ. \***ბურ**- „რუხი“  
ზან. (ლაზ.) **ბურ**-ა „რუხი“  
შეიძლება იმავე **ბურ**- ძირს შეიცავდეს ქართ. **ბურ**- (და-**ბურ**-ულ-ი) ზმნაც.

საკითხი დაზუსტებას საჭიროებს.

ს.-დად. \***ბურ**- „ყავისფერი, ნაცრისფერი“  
ხუნძ. **ბურ**-რ-მ-ა-ბ „მუქი ყავისფერი“  
აღულ. (ბურშ.) **ბურ**-ერ „ნაცრისფერი, ყომრალი“  
ძნელია დაეთანხმო დარგ. (ახუმ.) **ბერჰე** „წითელთმიანი“ სიტყვის ლექსემათა ამავე რიგში განხილვას, თუმცა სავსებით გასაზიარებელია.

რებელი ჩანს ჩეჩნ. **ბჷორან/ბჷორა**, ინგუშ. **ბჷორჷ** „ყავისფერი“ ალო-  
მორფთა ეტიმოლოგიური კავშირი ზემოთ აღწერილ მირ-ფუძეებ-  
თან [სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994: 313].

ავხაზურ-ადიღურ შესატყვისებს ვერ ვხედავთ.

ს.-ქართვ. **\*ბურტილ-** „ბინა“

ქართ. (იმერ.) **ბურულ**-ი „ბინა“

სვან. **ბურულ** „სახლი, თავშესაფარი“

არ გამოვრიცხავთ ამ სახელის ეტიმოლოგიურ კავშირს **ბურ-**  
ზმნასთან, რომლისგანაც ჩანს ნაწარმოები **ბურულ**-ი ქართული ენის  
დასავლურ დიალექტებში: იმერ. „ისლის სახურავი“, გურ. „ისლით  
დახურული ნაგებობა“, ლეჩხ. „სადგომი, ნაგებობა“.

ზანურ-სვანურ შესიტყვებას ვერ ვხედავთ.

ს.-დად. **\*ბულჷ-** „სახლი“

ბეჟ. **ბილჷ**-ო, ჰინ. **ბულჷ**-ე „სახლი“, ჰუნზ. **ბულჷ**-ი „სახლში“

არჩიბ. **ნოლჷ** (← **\*მოლჷ**) „სახლი, ოთახი“

ლაკურში დამოწმებული **ბურკალუ** „ზღურბლი“ [სტაროსტი-  
ნი, ნიკოლაევი 1994: 313] განსხვავებული ეტიმოლოგიის სიტყვა  
ჩანს და აქ ვერ იქნება განხილული. სამაგიეროდ, იმავე ავტორების  
მიერ იქვე მოხმობილი ჰურ. purli, ურარტ. puruli/purli „სახლი“ მე-  
ტად მნიშვნელოვან ინფორმაციას ინახავს, ვინაიდან ნახური შესა-  
ტყვისები ჩვენთვის უცნობია.

ს.-ქართვ. **\*ბურკ-** „კოპი“

ქართ. (მობ.) **ბურკ**-ი „კოპი“

სიტყვა განმარტოებით დგას ქართულში, თუმცა, გარე ენობ-  
რივი პარალელებიდან გამომდინარე, შესაძლოა ფუძე-ენიდან მო-  
მდინარეობდეს.

ს.-დად. **\*ბკერ-** „მუწუკი; ჩირქგროვა“

დარგ. **ბაკერ**-ი „მუწუკი; ჩირქგროვა“

არჩიბ. **ბაკ**-ი „გროვა“

სხვა დედესტნურ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ. ამავდროულ-  
ლად, საყურადღებო იზოგლოსები ვლინდება ნახური ჯგუფის ენებ-  
ში: წ.-თუშ. **ბოკ**, ინუგშ. **ბოგ**, ჩეჩნ. **ბჷოგ** „კოპი“ [ჩუხუა 2008: 384].

სინდური ჯგუფის ენებში სათანადო მასალა არ იძებნება.

ს.-ქართვ. **\*ბუქ-ურ-** „ბუსუსებიანი გარეკანი“  
ქართ. (ლექს.) **ბუქურ**-ი „წაბლის ბუსუსებიანი ნაჭუჭი“  
სიტყვა მხოლოდ ქართულშია შემორჩენილი, მაგრამ, სავარაუ-  
დოდ, ასახავს ფუძეენურ რეფლექსს.

ს.-დალ. **\*ბუქ-** „კანი; ტყავი“  
ლოდ. **ბუქ**-ი „კანი, ტყავი“  
ძირად **ბუქ**- გამოიყოფა, ხოლო **-ი** სადერივაციო აფიქსია ლო-  
დობერიულში.

ქართულ-ლოდობერული იზოგლოსები კანონზომიერად ასა-  
ხავენ პალეოკავკასიურ **\*ბუქ**- „გარეკანი, ქერქი“ არქექტივს.  
სინდურ-ნახურ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. **\*ბღარ-** „გამოქვაბული; ხვრელი“  
სვან. **ბღერ** „დიდი ხვრელი“  
სვანურ ალომორფთან ახლოს დგას ჩერქეზული იზოგლოსე-  
ბი, შდრ. ადიღ. **ბღუჭ**, ყაბ. **ბღუჭ** „ბუნაგი“.

ს.-დალ. **\*ზზარ-** „გუბურა; ტბა“  
ლაკ. **ზარ** „ტბა; გუბურა“  
არჩიბ. **ზგ**, გუბურა; ტბა“  
წარმოდგენელია ლაკური **ზარ** სიტყვის ემტიმოლოგიური  
კავშირი დარგულ **ჰერკ** „მდინარე“ სახელთან. აქ მხოლოდ **რ** ვიბ-  
რანტი მეორდება, რაც შემთხვევითი დამთხვევაა და სხვა არაფერი.  
ნახურ შესატყვისებს ვერ მივაკვლიეთ.

ს.-ქართვ. **\*ბღუჭ-** „ბუ“  
ქართ. **ბუ /ბუვ-**  
ზან. (ლაზ.) **ბღუ /მღუ**, მეგრ. **ღუ** „ბუ“  
სვან. **ღუჰ** „ბუ“  
თავკიდურა **ბღ** ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსის გამარ-  
ტივების საფუძვლები და ტენდენციები ქართველურ ენა-კილოებში  
გარკვეულია [როგავა 1965]. რაც შეეხება სვანურ **ჰ**-ს სიტყვის ბოლო-

ში, იგი **ა**-ს რეგულარული რეფლექსია და მისი რეფლაქსაცია სათავეს უჭირავს სონანტიდან იღებს –**ა**→**ა**→**ჰ**.

ს.-დალ. \***ბიფუ** „ბუ“

ანდ. **ბილუ** „ბუ“, ლოდ. **ბოჰუ**, ჭამ. **ბუჰუ** „ბუ“

ხვარშ. **ბუჰუ** „ბუ“

ადულ. **ბუჰუ** „ბუ“

ამოსავალი მჟღერი ფარინგალური სპირანტი **ფ** დალექტურ ენებში ორი მიმართულებით იცვალა: 1. **ფ** → **ღ**, 2. **ფ** → **ჰ/ჰ**.

ნახური შესატყვისებიდან საინტერესო ჩანს ინგუშ. **ბფოჰ** „ბუ“, რომელიც ყველაზე ახლოს დგას პალეოკავკასიურ არქექტიპთან.

სინდურ ენებში (გარდა აფხაზურ-აბაზურისა) პოვნიერია ქართველური ტიპის **ბ** სისტემის ჰარმონიულ-დეცესიური კომპლექსები: ადიღ. **ბღ** „ძერა; ქორი“, **ბღ**-ზ „არწივი“, ყაბ. **ბღ** „არწივი“, უბიხ. **ბღ**-ჯჴ „არწივი“. უბიხურში **ბღ**-ს ფარინგალიზაცია [**ბღ**] ნამდვილად პალეოკავკასიური **ბფ**-ს გამოძახილია.

### გამოყენებული ლიტერატურა

**აბაევი I, 1958** – Абаев В. И., Историко-этимологический словарь осетинского языка. т. I, М., Изд-во Ан СССР

**აბდოკოვი 1983** – Абдоков А. И., О звуковых и словарных соответствиях северо-кавказских языков (сравн.-исторический анализ фонетики и лексики), Нальчик, "Эльбрус"

**აბულაძე 1973** – აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), „მეცნიერება“ (ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტ.), თბილისი

**ანდრონიკაშვილი 1966** – ანდრონიკაშვილი მზ. „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I; თსუ გამომცემლობა, თბილისი

**ბედოშვილი 2013** – ბედოშვილი გ., ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. II, (არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი), თბილისი

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** – გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი



**გონიაშვილი 1940** – გონიაშვილი თ., ლექსიკური შეხვედრები ჩაჩხურისა ქართველურ ენებთან. - ენიმკის მოამბე, V-VI, თბილისი

**დოლგოპოლსკი 2007** – Dolgopolsky, A. Nostratic Dictionary – Third Edition. <http://www.dspace.cam.ac.uk/handle/1810/244080> (2012)

**თანდილავა 2013** – ლაზური ლექსიკონი, (არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი), თბ.

**კლიმოვი 1964** – Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, Москва

**სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994** – Starostin S. A., Nikolaev S. I., A North Caucasian Etymological Dictionary, Moscow

**ტრუბეტკოვი 1930** – Troubetzkoy N., Nordkaukasische Wortgleichungen; (WZKM=) Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes. Bd. XXXVII, Heft 1-2, Wien

**ფასმერი I, 1986** – Фасмер М., Этимологический словарь русского языка (Комментарии О. Н. Трубачёва к переводу), Москва

**ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი (II შევს. და გადამ. გამოცემა), თბილისი

**ქალდანი 1969** – ქალდანიმ., სვანური ენის ფონეტიკა. I. უმლაუტის სისტემა სვანურში; ენათმეცნიერების ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბილისი

**ჩიქობავა 1938** – ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი

**ჩუხუა 2000-2003** – ჩუხუა მ., ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი

**ჩუხუა 2008** – ჩუხუა მ., იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თსუ გამომცემლობა, თბილისი

**ჩუხუა 2017** – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ.

**ჭუმბურიძე 1975** – ჭუმბურიძე ზ., დედაენა ქართული, თბილისი

**ზოგი ნაწარმოები ომონივის ისტორიისათვის**

ქართულ ენაში დასტურდება ისტორიულად სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზებით წარმოქმნილი ნაწარმოები ომონიმური წყვილები, რომელთაც ფუძეები სემანტიკურად განსხვავებული, მაგრამ ფონეტიკურად მსგავსი, ხოლო აფიქსები კი როგორც სემანტიკურად, ისე ფონეტიკურად ერთნაირი აქვთ. ასეთი ნაწარმოები ომონიმებია, მაგ.:

ყოლა-ქონების გამომხატველი **-იან** სუფიქსიანი: **არყიანი, ბრაზიანი, ზურაზიანი, ზუშიანი, ზარიანი, კილოიანი, ძარიანი.**

**არყიან-ი:**

ახ. ქართ. **I. არყიანი** რაშიც არაყი დგას, ასხია (ან იდგა, ესხა). შამფურის წვერი *არყიან* ჭიქაში ჩაყო, ცხელმა რკინამ შიშხინი დაიწყო (ლ. მრელ.). შდრ. **არაყი** მაგარიალკოპოლიანი სასმელი (გამოხდილი პურეულისა, ჭაჭისა თუ ხილისაგან- ქეგლი. [არაბ. სპ. > 'araq] არაყი არამარტო ოფლს, არამედ „არაყსაც“, მის მაგარ სახეობას ნიშნავდა (წერეთელი 1951: 92).

ახ. ქართ. **II. არყიანი** იგივეა, რაც არყნარი. მოგვის-ხდნენ...პირდაპირ*არყიანში*და მოგვაყარეს თოფები (ვაჟა). [კამეჩები] *არყიანებში*თეგევივნენ, შამბნარში... დაალაჯებდნენ (ვ. ჩეკურ.) || ტყე, რომელშიც არყიც ურევია. [ყორანმა] ხშირ, დაბურულს *არყიან* ტყეს შეაფარა თავი (ვაჟა). შდრ. არყი არყი ხე- საბა. **არყი** [თათრ.] (დ. ჩუბ.). **არყი** [Betula] თეთრქერქიანი ხე საშუალო ტანისა (საქართველოში გავრცელებულია მაღალმთიან ადგილებში), – არყის ხე(ქეგლი).

**ბრაზიან-ი:**

ახ. ქართ. **I. ბრაზიანი** 1. ბრაზით აღსავსე; ძალიან გაჯავრებული, ძალზე გულმოსული. ბაგრატამ ფული აიღო და *ბრაზიანი* თვა-

ლებით დაუწყო ცქერა ისმაილს (ა. ბელ.). ამ სიტყვებით გესლიანად ჩაიცინა და შემდეგ *ბრაზიანი* თვალები გადაჰკრა გიოს [გაიოზმა] (ლ. ქიაჩ.). 2. კუთხ. (იმერ.) ცოფიანი. *ბრაზიანმა* ძაღლმა არ დაგგლიჯოს, ან გველმა არ დაგგბინოსო (აკაკი). შდრ. **ბრაზი** „სიცოფე ძლიერი“ – საბა. ძლიერი გაჯავრება, ძალზე გულის მოსვლა, გახელება – ქეგლი.მ. ჩუხუამ ზან. (მეგრ.) ფიჟვ-, მო-ფიჟვ-ინ-აფ-ა „მოწყენა, ნაღვლიანობა“, ფიჟვ-ალ-ი „ნაღვლიანი“; სვან. ფაჟ „გაოგნებული, ელდნაცემი“ აღადგინა<sup>1</sup>.ს.-ქართვ. \*ფაზ- „გაოგნება; მოწყენა“. აგრეთვე 2. ს.-სინდ. \*ზოზ - „გაბრაზება“ ფორმები და აღნიშნა, რომ თუ სიტყვათა ამ რიგში შემოვიტანთ ქართულ ბრაზი-ი, გა-ბრაზ-ებ-ა ფორმებს, გასაგებობდება ანლაუტური მიმართება, მაგრამ გაუგებარია რის წარმომავლობა და თუ რ ფონეტიკური ანკონტამინაციური (მრეზ-/მრიზ-) ჩანართია, მაშინ ყველაფერი თავის ადგილას დგება.ერთ-ერთი რთული შეპირისპირებაა. საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს(ჩუხუა 2017: 370).

დიალექტ. **II. ბრაზიანი**<sup>1</sup>. მეტად მჭრელი, ბასრი (დანა). უი, *ბრაზიანიდანაა*, ხელს გაგიჭრის! (მეგ.); 2. ძალზე მსუსხავი (ჭინჭარი). ზოგი ისეთი *ბრაზიანი*ჭინჭარია, რო ხელს ვერ მიაკარებ (მეგ.,ქართლ. ლექსიკ.). შდრ. ბასრი აღმასი (ქვ.– იმერ. კუბლ.) – აღ. ღლ. შდრ. მაზედან ქართლის არაკი, მტერთაგან *გაბასრულისა*(დ. გურ. 88,184, 3). ვფიქრობთ, რომ ბრაზიანი < ბრასიანი; ბრაზ<ბრას; თავის მხრივ ბრას-<ბასრ-(ერთელიშვილი 1970: 152).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ 1. **ბასრი რკინა** (მომდინარეობს ერაცის ქ. ბასრადან, განთქმული იყო იარაღით) (კობიძე 1983 : 323). 2. შემოსული ჩანს არაბულიდან (შდრ. არაბ. ბასრ→ „ბასრული „ბასრელი – (წერეთელი 1951: 27; იმედაძე 2014: 117). 3. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სიტყვაბასრიქართულიწარმოშობისაა: «იგი მოდის უძველესი, ნამდვილი ქართული ზმნისგან – «სრევა»-საგან და წარმოადგენს მის უსქესო მიმღეობას, ე. ი. ეს ცნება უძველეს დროს ეკუთვნის» ... «სრეველა უძველესი ქართული სიტყვაა და სალესს ნიშნავს» (ჯავახიშვილი 1962: 251-252). 4. მ. ჩუხუა გამორიცხავს ქართული ბასრი ფორმის რაიმენაირ კავშირს არაბულ ბასრა-სთან (ქალაქია) (ჩუხუა 2017). იგი აღადგენს ს.-ქართვ. \*ბასრ-ფოლადი (ს.-ქართვ. \*ბასრ- „ბასრი, მჭრელი; მამრი“ > ქართ. ბასრი:

ზან. ბომ-ი: სვან. ბ,სრ< \*ბ,შრ-; ს.-ქართვ. \*ზასრ- ფუძეს შესატყვისები ეძებნება სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც (ჩუხუა 2000-2003).

### **ბურახიან-ი:**

ახ. ქართ. **I. ბურახიანი** ბურახით, ლიხით დაფარული ადგილი. ბევრი ვეძებეთ და ბოლოს წავადექით ერთ *ბურახიანს* (ი. მჭედლ.). შდრ. **ბურახი** მსხვილლეროიანი მაღალი ბალახი, – ლიხი – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. ბურახიანი** ბურახით სავსე ჭურჭელი. გამოხედვა... მსწრაფლ *ბურახიანი* კათხით მომავალ ქალიშვილზე... გადაიტანა (ა. გამყრ. თარგმ.). შდრ. **ბურახი** «ქერ-ფეტვთა და სხვათაგან სასმელი რამე» (საბა). ბურახი (თათრ.) ბოზა ფეტვისა – დ. ჩუბ.

### **ბუშიან-ი:**

ძვ. ქართ. **I. ბუშიანი** დასივებული. ვითარ არა *ბუშიანე*ქმნა ყოველი გუამი (A= 129 225r, 20-22b). აქვე: **დაბუშებული, დაბუშუზა** - ზ. სარჯ. ოდეს ვისიმე უნებნ ცემაჲ, ჰელი მის *დაბუშუდის* (მ. ცხ. 307, 27). ვის არა ეშინოდის და შეძრწუნდეს და *შებუშნეს* ყოველი გუამი (მ. სწ. 180, 8). მე მივედ და ვიხილე წმინდაჲ შუშანიკ დამშრალი და *დაბუშებული* ტირილითა (შუშ. 36, 12). **ბუშად** დაბუჟებულად. თუსნეული *ბუშად* იყოს და გრძლად იწვეს, ცოტას არასმე შეიტყუებდეს და ცოტა უბნობდეს ... (ფანასკ. 47, 32).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით **დაბუშება // შებუშება** ფორმების ძირია **ბუშ-**, რომელიც სახელური უნდა იყოს. **დაუბუშა**, ამდენად, ნასახელარი ზმნა იქნებოდა. ბ. გიგინეიშვილის აზრით ქართულ ბუშ-თან მიმართებით გარკვეული ინტერესი ახლავს ფალაურ ხმას ფორმას, რომლის მნიშვნელობაა „ძილქუშობა“, „მძინარობა“, „თვლემა“ Mackenzie, 20). ამ ფორმაში -აჰ სუფიქსია, ხოლო ხმას ძირი. გამორიცხული არაა, ფალაური ხმას („ძილი, „თვლემა“) ნასესხები იყოს ძველ ქართულში და მისგან ეწარმოებინათ ზმნა **დაბუშება** „ძილის, ჰიპნოზის მდგომარეობაში ყოფნა“, „მგრძნობელობის დაკარგვა“, „გახევება“ (გიგინეიშვილი 2016). შდრ. ბუჟი, ბრუჟი, დაბუჟება, დაბუშება – დ. ჩუბ.

ახ. ქართ. **II. ბუშიანი** ვისაც ბუშიჰყავს, ბუშის დედა. თქვენ თუ სინდისი გქონდეს, *ბუშიანი* ქალი არ გეყოლებოდათ ოჯახში! (ე. ნინოშ.). შდრ. ბუშიძე. ქორწინების გარეშე ნაყოლი შვილი, – ნაბიჭვარი (ქეგლი). აღდგენილია ს.-ქართვ \*ბუშ- „ნაბიჭვარი“ (ჩუხუა 2017).

#### **ზარიან-ი:**

ახ. ქართ. **I. ზარიანი** ზარის რეკის მსგავსი, – ძლიერად და ლამაზად მქლერი (ხმა). «იმისი *ზარიანი* ხმა რომ ყურს მომხვდებოდა, გული გადამიტრიალდებოდა სიხარულით» (ილია). და მღეროდა ბერშოულა, მოფანტავდა ოქროს ზოდებს, ხმა ისეთი *ზარიანი* არ მსმენია არასოდეს... (გ. ლეონ.). «თვით ტოროლას *ზარიანი* ხმაც იმ სიმაღლიდან აქ ჩვენამდის ვერ ჩამოაწევს» (ი. მაჩაბ თარგმ.). შდრ. **ზარი** (სპარს.) რვალის დიდი სარეკელი – საბა; ს.-ქართვ. \*ზარ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ქურდიანი 2010; ჩუხუა 2017). დიალექტ. **II. ზარიანი** ზარის მომგვრელი, – თავზარდამცემი. არც არჩილმა, არც კესომ, არავინ, არავინ არ გაბედა ამისთანა *ზარიან* დროს ხმა ამოეღო (ილია). **ზარიანი**: ...ისენ ღმეტებიან სრუყველას, თავიან ხალხს ყოფილან, *ზარიანნი* (ხევეს. თავისებ. 391, 2). შდრ. **ზარიანი** შიშის მომგვრელი (ეტლ. 1, 37). სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით: 1. მ. ანდრონიკაშვილს შესაძლებლად მიაჩნია ზარი დაუკავშიროს სპარსულ ფორმას ზაჰრ „შამი“ (ანდრონიკაშვილი 1966: 323). 2. ბ. გიგინეიშვილი კი მიიჩნევს, რომ მნიშვნელობათა დაშორება, სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ამ ვარაუდს (გიგინეიშვილი 2016). 3. იუსტ. აბულაძის აზრით, ზარი „ხმაურის“ მნიშვნელობით უკავშირდება ახალ სპარსულ *zari* ფორმას, რაც ნიშნავს „დიდ ხმაურს, ყიჟინას, „ოხვრა-კვენესას“ (იუსტ. აბულაძე 1916: 895; გიგინეიშვილი 2016). 4. აღდგენილია ს.-ქართვ. \*ზარ „მოთქმა, ძახილი“ (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **III. ზარიანი** ოქროსი, ოქროთი შემკული. ვითა ჳელ-მწიფეთა წესია, ეგრე *ზარიანად*, მაჰრანით კუბო ოქროითა, თუალითა და მარგალიტითა შეკაზმული... ეგზომნი საქონელი და ოქრო გაუგზავნა (ვისრ. 39, 33). შდრ. **ზარ** ბრჭყვიალა ამობურცული წერტილები ანუ ბზინები ქსოვილზე. ისტიფასშიგ ზარაქ (ინგ. ღამბ.). საშ. სპ. Zarrēn – „ოქროსი“, ზარრ – „ოქრო . ძვ. ირან. \*ზარნუ (ანდრონიკაშვილი 1996).

### **კილოიან-ი:**

ახ. ქართ. **II. კილოიანი** იგივეა, რაც კილოგრამიანი. კილოიანიქილა. შდრ. **კილო** [ფრან. kilo ბერძ. chilioi-დან ათასი] კილოგრამი (შემოკლებით) – ქეგლი.

ახ. ქართ., დიალექტ. **III. კილოიანი** გადატ. მრავალფეროვანი, ნიუანსებიანი. ჩვენი ენა *კილოიანი* გახდა, იგავიანი... ასე რომ ერთ და იმავე სიტყვას მრავალგვარი აზრი მიეცა (ილია). || მოსასმენად სასიამოვნო. ზოგიერთის ლაპარაკი, გაუწყვეტელი და *კილოიანი*, გაიმება (ილია). **კილოიან** კაცი გონიერი, თავგზიანი, მოხერხებული კაცი (ხევს. ჭინჭ.). **კილოიანი** 1. გუნებიანი, ხასიათიანი, „*კილოიანი* ქალია გაგას დედა“; 2. ცხოვრების ალღოს მქონე, აზრიანი. „*კილოიანი* კაცია და იმიტომ კარგა მიუდის საქმე“ აქვე: კილო გუნება, ხასიათი, ფანდი, მოხერხება; ალღო, აზრი. „არა ხარ ომის კილოსა, ყმაწვილი ცოტას ხნისაოვ“ (მოხ. ქავთ.). შდრ. **კილო** ლინგვ. 1. საერთო-სახალხო ენის განშტოება, რომელზედაც ლაპარაკობენ ამა თუ იმ კუთხეში, – კუთხური მეტყველება, დიალექტი || ინდივიდისათვის დამახასიათებელი გამოთქმა, ლაპარაკის მანერა || საუბრის ესა თუ ის ემოციური ელფერი, იერი; ინტონაცია – ქეგლი. შესამლოა, ქართული კილო („ხმის მიმოხრა“, „ინტონაცია“) მოდიოდეს ბერძნულიდან (შდრ. kyllós „მრუდი, „დასახიჩრებული“) ე. ი. ეტიმოლოგიურად როგორც „მიღებული ნორმის გამრუდება, დამახინჯება“ იქნეს გაგებული (გიგინეიშვილი 2016).

ახ. ქართ. **IV. კილოიანი: ღკილოიანი თვალეზი** კუთხეებში გაზიდული თვალეზი. მოგრძო მოყვანილობის თვალეზი. ქალის *კილოიანი* თვალეზი თითქო დამრგვალებულიყო (ვ. ბარნ.). შდრ. **კილო** ქუთუთოს კიდე – ქეგლი.საინტერესოა ქართული კილოს მიმართება ბერძნულ kylon („ქვემო ქუთუთო“) ფორმასთან (გიგინეიშვილი 2016).

ვფიქრობთ, გადატ. მნიშვნელობითამავე სიტყვას უკავშირდება **კილოიანი**, კილოებიანი რასაც კილო (კილოები) აქვს ამოჭრილი – კოჭის, ძელის ან ფიცრის სიგრძივ ამოდრეუებული ჭრილი, ჭდე, რომელშიც შედის (ერთიმეორესთან დასაკავშირებლად) მეორე კოჭის, ძელის ან ფიცრის საგანგებოდ მორგებული ვიწრო შვერილი (შდრ. კოხი). კილოებით ჭდობა კილოიანი (კილოებიანი) კოჭი – ქეგლი.

## **პარიან-ი:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. პარიანი** რასაც მარი აქვს. ერთი *პარიანი* ურემი მეორეს მოჰყვებოდა (ნ. ლორთქ.). შდრ.**პარი** 1. ურემზე (ან მარხილზე) დასადგმელი დიდი (ურმისოდენა) მოწნული სათავსი (სიმინდის, ყურძნის და სხვ. გადასაზიდად), – ჯინი. შდრ.**II. საზარე**.

ახ. ქართ. **II. პარიანი** რასაც მარა აქვს. ერთი მოტოციკლეტი რო მოგვცა ახლა, *პარიანი* რომაა, სამბორბლიანი... (ა. ბელ.). შდრ. **პარა** 1. ურმის ძირითადი ზედა ნაწილი – ღერძისა და თვლების გამოკლებით (სინონ. ზესადგარი). 2. ავტომანქანის სამგზავრო ან სატვირთო ნაწილი. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ავტომარა – ქეგლი.

ხელობის აღმნიშვნელი **მე-ეაფიქსებიანი** : **მევალე, მეზარე, მეზვერე, მეჯორე**

## **მევალე:**

ახ. ქართ. **I. მევალე** ვალის გამცემი, გამსესხებელი. გაისმა ზანზალაკის წკრიალი, შევკრთი: *მევალე* მეგონა (ვ. ბარნ.). «ჩვენი გასაჭირი ენით გამოუთქმელია. *მევალეებმა* სული ამოგვართვეს» (ნ. ნაკაშ.). **მევალე** (მევადე) მევალე ზან. (მეგრ. ელ.).

დიალექტ. **II. მევალეი** მოვალე, ვალდებული. მე *მევალეი* ვარ იმიზე შიქმევენველა (ინგ. ღამბ.). შდრ. **ვალი** სესხად აღებული ფული, ნისიად წაღებული საქონლის საფასური და სხვა მსგავსი თანხა, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი –ქეგლი.

დიალექტ. **III. მევალე, მეველე** მინდვრის ან ხრამის ყარაული. მაშინმე მინდვრის *მევალეით* ვიყავი, კაი ცხენი მყანდა(ჯავახ. ბერ.). შდრ. **ველი** დიდ ფართობზე გადაშლილი უტყეო ვაკე, ჩვეულებრივ ბალახიანი, – დიდი მინდორი – ქეგლი.

## **მეზარე:**

საშ., ახ. ქართ. **I. მეზარე** ძვ. 1. ძვ. ზარების ჩამომსხმელი (საბა). 2. ზარის მრეკავი. ზარილითონისაგან (ჩვეულებრივ, სპილენძის შენადნობისაგან) ჩამოსხმული ღრუ სარეკელი (დაახლოებით კონუსის მოყვანილობისა) – ქეგლი. შდრ. **ზარი** (სპარს.) რვალის დიდი სა-

რეკელი – საბა, დ. ჩუბ., ქეგლი. აღდგენილია ს.-ქართვ. \*ზარ- არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ქურდიანი 2010; ჩუხუა 2017).

ახ. ქართ. **II. მეზარე** ძვ. ზარის მთქმელი. ზარი. ძვ. სამგლოვი-არო უსიტყვო გალობა მიცვალებულის გასვენებისას. *მეზარეები* ჭიშკართან ზარით ეგებებოდნენ ჭირსუფლებს (დ. შენგ.). შდრ. II.ზარიანი.

### **მეზვერე:**

ძვ., საშ. ქართ. **I. მეზვერე** ძვ. «მეზაჟე, ზვერის ამღები» (დ. ჩუბინ.). „მათე *მეზუერე* იყო“ (მ. სწ. 86,28). „ვითარცა ხარკის მომძღვ-ელი და *მეზუერც*“ (მთ.18, 17). შდრ. **ზვერი** ძვ. «ბაჟი» (საბა)... რომელ-თა გამოიღიან ხარკი ანუ თუ *ზუერი*“ (მთ. 17, 25). „მისცემდით უკუე ყოველთა თანა-ნადებსა... საზღვრესა *ზუერი*“ (ჰრომ. 13, 7). აღდგენილია ს.-ქართველური არქეტიპი\* ზ-ერ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ძვ., საშ. ქართ. **II. მეზუარე** ყურძნის დამკრეფი; ვენაჯის მცვე-ლი (საბა). „რომელნიმე დაადგინნეს... მწველად და მომკალად, ვენაჯის-მოქმედად და *მეზუარედ*“ (ო, I მფ.8, 12). **მეზვერე** ვენახის, ბა-ლის მცველი. გინდა ბარს უყარაულოს, გინდა ვენახეფსა, ზვრეფსა, სუ ერთია, *მეზვერეა* მაინცა (ბროწლ.). ჩემი ქმარი მაშინ *მეზვერეთ* იყო(ზრ. ქართლ. ლექსიკ.). შდრ. **ზვარი** დიდი ვენახი. მსხმოიარე ზვარი მეტად სასიამოვნო სანახავია (ი. გოგებ.). ს.-ქართვ. \*ზ--არ- „მრავალი ვაზი (ყურძენი) ერთად; ვენახი (დიდი)“→ ქართ. ზვარ-ი : ზან. ჟვერ-ი ← \*ჟვორ-ი (ჩუხუა 2000-2003).

### **მეჯორე:**

საშ., ახ. ქართ. **I. მეჯორე** ჯორების პატრონი – დ. ჩუბ., ქეგლი. პატრონი. || ჯორების მწყემსი. «ნაყარ-ნუყარი ხალხი არის შენს ხო-მალღებზე, ძალით საზღვაო საქმისათვის მოგროვებული, ხელად ნაშოვნი გუთნის-დედა, ზოგი *მეჯორე*» (ი. მაჩაბ. თარგმ.). **მეჯორეთ-ხუცესი** ისტ. მეჯორეთა უფროსი (დ. ჩუბინ.). შდრ. **ჯორი** კერძოვი-რი. ამის გამო სახელ-ედების, რამეთუ უცხენოდ (უვიროდ Ab) ზრო-ხისაგანც იშობების – საბა. **ჯორი** ფაშატი ცხენისა და ულაცი ვირის ჰიბრიდი; იყენებენ ტვირთის საზიდავად, საჯდომად – ქეგლი. ჯორ



-ფუძე საერთოა ქართულსა და მეგრულში, მნიშვნელობაც ყველგან ერთი და იგივე აქვს (ჩიქობავა 1938).

დიალექტ. **II. მეჯორე** მეჯვარე (მთ.კაიშ.). შდრ. **მეჯვარე** ქორწილში ვინც დედ-მამის მაგიერად იქმნებიან და შემოჰყავთ ახალ ნაქორწილენი სახლში და უჩვენებენ საჯდომს ადგილს (დ. ჩუბ.).

შდრ. **მეჯვარე** – ძვ. ეთნ. ქორწინებაში მეფის ან დედოფლის მხლებელი პირი, რომელიც მათ გვირგვინს ადგამდა ჯვრისწერის ცერემონიის შესრულების დროს, – ეჯიბი. **ჯვრისწერა** ძვ. ეკლ. საეკლესიო წესით დაქორწინება. მოვიდა ჯვრისწერის დღევ (ეკ. გაბ.) იხ. **ჯვარი** ქრისტიანული კულტის სიმბოლო – გრძელი ვერტიკალური ღერო, რომელზედაც პერპენდიკულარულად არის გადაჭდობილი მეორე, უფრო მოკლე ღერო (ქეგლი).

წინა ვითარების **ნ-არ** აფიქსებიანი: **ნაგაზარი**

**ნაგაზარ-ი:**

ახ. ქართ., დიალექტ. **I. ნაგაზარი** (<ნა-ზაგ-არ-ი, ი. ი. ჩალის ან თივის ნარჩენები ზაგაში) 1. პირუტყვის საკვების, მატყლის და მისთ ნარჩენები. ჯორსა; ვირს საქონივი[თ] ხკვებენ: *ნაგაზარს* აჭმევენ, ბხეს, ჩალას) (შინამრეწვ. 71). **ნაგაზ** პირუტყვის საქმლის ნარჩენი ზაგაში. „**ნაგაზ** გაგვქონდისა-დ სასკორიაჟზე ვწვიდით“ – ნაგაზს გავიტანდით და სასკორეზე ვწვავედით (თუშ. ცოც.). შდრ. ზაგა დაბმული საქონლისათვის საკვების ჩასაყრელი (წნული ან ფიცრული). ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ზაგა პოლისემიური სიტყვაა. მათი საერთო სახელი განპირობებულია საერთო ამოსავალი მნიშვნელობიდან. არსებობდა და არის ეხლაც ზაგე, რომელიც პირსა და ნაპირსა ჰნიშნავს, მოზაგული ისევე, როგორც ზაკი და მოზაკული, რომელიც მოზლუდულს, შემოღობილს ჰნიშნავდა, ცხადი შეიქმნება, რომ ზაგა თავდაპირველადაც შემოზლუდული, შემოღობილი ადგილის აღმნიშვნელი ყოფილიყო (ჯავახიშვილი 1986: 327). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რეალია მეტად ძველია და შესაბამისი ძირი კანონზომიერი ფონემური შესატყვისებით არის ასახული ყველა ქართველურ ენაში, შესაძლოა, რომ \*ზაგ- საერთოქართველური ფუძე ენის დონეზე აღვადგინოთ და მას <<გომის>> მნიშვნელობა მივაწეროთ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000).

დიალექტ. **II. ნაგაზარი** ა). [მატყლი] რაიც კაია, ცალკე გადერჩევის საქსლოდ, რაც *ნაგაზარ* დარჩევის მოკლე, ნეხვიან, იმას ბაყონქ ხქვიან (შინამრეწვ. 1-ა). 2. ჩამოგლეჯილ-ჩამოწეწილი ტანსაცმელი, ასეთ ტანსაცმლიანი კაცი. სიზმარშიავ მავავ დიაც რაიმავ *ნაგაზარნივ* ჩოჯვი ძველნ-ხქონავ (ეთნ. კალენდ. 18, 364). ეხა სხვებ აურჩევავის, ტყეში დაზდილებ დათვები, ყელ-ყურზე მასახვევდა *ნაგაზარის* ქალბნის ტყლაპები (ეთნ. სწორფრ. 209). *ნაგაზარ-ას* კაცი, დაგლეჯილ-მაგლეჯილი, კა ჩასაცმელ რო არ აქვ. 3. რისამე ნამსხვრევი, ნამუსრევი. ცა გასქდა, მეხი გაისრივაო, აქუხდა მეხი როშკის-თავსაო, ჭიუხთ კალთები ჩამოშალაო, რომკას უწვდინა ნაგაზარმაო (ეთნ. III, 84, 4). ცუდ ალლო-აქვ, არწივო, ფრინველთ რო გამასთელაო, ზოგებ გიჯგავ ორბები, თბის *ნაგაზარსა* ვკელაო (სწორფრ. 162, 7) – ალ. ჭინჭ. ნაგაზარი ნაგლეჯი, ნაფლეთი / ზალახისა, ტანისამოსისა და სხვ./ გაანაგაზრებეს ნაფლეთებად აქცევს/ა. შანიძე/ფშ. ხორნ.). შდრ. **გაზა** (კუპერთადილანა B.; გაზა ZCab, ქაზა BCqD.) ბოჭკოიანი ქსოილი. საგებელი ZA. ბოჭკოიანი ქსოვილი B. მატყლისაგ(ან) ბოჭკოიანად ქსოვილი Cab. ბოჭკოიანი მატყლისაგან ქსოვილი -საზა.

დანიშნულების აღმნიშვნელი სა-ე,სა-ო აფიქსებით ნაწარმოები ომონიმური ცალები: **საზარე, საღორე, სადარო.**

### **საზარე:**

დიალექტ. **I. საზარე** ადგილი (კოშკი), სადაც ხატის ზარია დაკიდებული.ააშენებინა დროშის საბმანისი, დარბასი, საქვაბე, *საზარე* (თ.ოჩ.სარწმ.102 – ალ. ჭინჭ.).აგრეთვე თუმ. ხუბ.). შდრ.ზარი (სპარს.) რვალის დიდი სარეკელი – საზა, დ. ჩუბ. აღდგენილია ს.-ქართვ. \*ზარ- არქეტაიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000; ქურდიანი 2010; ჩუხუა 2017).

დიალექტ. **II. საზარე** სასიმინდე, ძარი. [ქარი] ჩალხაიშვილს სახლს დაუშლის, ნიათ ლეკოს- საზარესა. – საკიტრაიჩი ბოსელთა სამოცდასამი ბომ ედგა, *საზარესავეთ* ბუზარი, სასუდოსავით კარ ეზა(ხევს. ჭინჭ.). **საზარე** ოთხ ბომზე შედგმული მოწნული სათავსო სახლის სიახლოვეს, სადაც სიმინდის ტაროს ან სხვა რამეა გამოსაშრობს ინახავენ (ფშ. გოგატ.). შდრ.ზარი, ძარი გოდორი, შესანახავი სიმინდისა, ან ქორთა საჯდომი გალია (დ. ჩუბ.). შდრ. **ძარი** ქორის

საჯდომი გოდორი – საბა. დაწული სასიმინდე, ოთხ ბოძზე მდგარი –ქეგლი. ს.-ქართვ. \*მარ-/მან- „ვარცლი, გოდორი“ → ქართ. მარ-ი | მარ-ო,ძობან-ი ←\*მან-ობ-ი : ზან. ჯორ-ოფ-ა, ჯინ-ი←\*ჯენ-ი←\*ჯონ-ი : სვან. ჯერ | ჯარ (ჩუხუა 2000–2003).

### **საღორე:**

ახ. ქართ. დიალექტ. **I. საღორე** საღვარე. ქვითკირის თუ ხესა თუ კლდეს თუ *საღორეს* რაც გაკეთება უნდოდეს, იმრიგათ უნდა აა-უშენოს თავისის ხარჯით პაპუნამ და მიაბაროს გრიქორას, რომ გრიქორას ზარალი არ იყოს, ისე უნდა გაუკეთოს და წყლის *საღორი*დამ წაიყვანოს პაუნამ (სამ. IV, 420 ). **საღორე** მთ., მოკ., თ. (ხევსურები დარანსაც ეტყვიან) – ა. შან. საცა რომ წყალი მიდის, იმას ქართულათ *საღორეს* ვეძახით (შ. კახ. ,მრეწ. IV, III,176). **საღორე** საღვარე, წისქვილის ქვედა სართული. ზოგი საღორეში ძვრებოდა და ბორბალს სინჯავდა (ვაჟა) – ალ. ჭინჭ. **საღორე** (<საღვარე) [წისქვილში] გონთ ნამყოფ რო შიგ შავიდას, გაკვირვებულ დარჩებისა. გამასავალ ვერ გაიგებს, *საღორისას* გამძვრებისა (ხევს. პოეზ. 680, 3) – ალ. ჭინჭ. **საღორე** 1. მსხვილი წნელით მრგვლად მოწული ღობე (ლასტი) მდინარის პირას, შიგ ქვებს ყრიან მდინარის ნაპირის გასამაგრებლად, წყალმან რომ არ დააქციოს ნაპირი. 2. სათამაშო „ღორის“ ჩასაგდები პატარა ორმო (იმერ.გაჩ.). აგრეთვე: (მოხ. ქავთ., .ფშ. გოგატ., ქვ.-იმერ. მრეწ. I, 323., მთ. კაიშ. , მრეწ. IV, III,189, ზ. ქართ IV, III 194, ჯავახ. IV, III 204, თუშ. ხუბ., ცოც.). შდრ. ღვარიდიდი წვიმის დროს ან თოვლის დნობისას მოვარდნილი წყალი– ქეგლი. აღდგენილია ს.-ქართვ \*ღ-არ- „ღვარი; მდინარე“ (ჩუხუა 2017).

ახ. ქართ., დიალექტ. **II. საღორე** 1. იშეღი, ფარეხი ღორთა - დ. ჩუბ. საღორე ღორების სადგომი. ღორი საღორეში არ შევა, სანამ ზურგზე თოვლი არ დაედინებაო (ანდაზა). მეღორეს ღორი *საღორეში* უმწყვდევია (ი. გოგებ.).სათონე გინდა, **საღორე** გინდა უბრალოთ აშენებ (ზ. ქართ. მრეწ. I, 232). ღორები ცალკე გვყავდა საღორეს ვეძახდით (ქართ. მტკ. სამხ. მრეწ. I, 239). აგრეთვე: (ინგ. ღამბ., ჯავახ. ზედგ. , გ. -კახ. მრეწ. I, 117).2. საღორე კვახი გოგრის ერთ-ერთი სახეობა (რაჭ. კობახ.). აღდგენილია ს.-ქართვ. \*ღორ არქექტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

## **სადარო:**

ახ. ქართ. **I. სადარო** დარის მომასწავებელი ნიშანი (მაგ., ცის შეწითლება მზის ჩასვლისას) – ქეგლი. შდრ. ძვ., სამ., ახ. ქართ. **დარიცა**, ამინდი. **დარი**: [არაბ. დარ -სამოთხე]; აქედან **დარი** ნეტარი დღე, სამოთხისდღე, ნეტარიდრო. შემდეგ: კარგი ამინდი, საამოდღე (ჭუმბურიძე 1987: 60). ს.-ქართველურისათვის აღდგენილია \*დარ-არქეტიპი. (ფენრიხი, სარჯველაძე 1990; ჩუხუა 2000-2003).

სამ.,ახ. ქართ. **II. სადარო** ძვ. სადარი . – მსგავსი, შესადარი. ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა..., ჯერ უწვერული, *სადარო* ბროლ-მინა საცნობარისა (რუსთაველი). შდრ.სადარი სადარი, შესადარი ზან. (მეგრ.ელ.).ჰრ. აჭარაიანის აზრით, **დარი** შემოსულია ქართულში სომხურიდან (შდრ. სომხ. დარ „ტოლი“, „მსგავსი“, „თანაბარი“, „წყვილი“), ხოლო სომხური ფორმა უკავშირდება სპარსულ (tarōh-ს („კენტი“). ბ. გიგინეიშვილის აზრით, სომხურისათვის ამოსავალია არა (tarōh-ს არამედ ფალაური -tar „-ვით“, სუფიქსი შედარებითობისას (გიგინეიშვილი 2016).

უქონლობის აღმნიშვნელი **უ**, **უ-ო** აფიქსებით ნაწარმოები მოწინამები: **უვადო**, **უტარო**, **უცალო**, **უჩინო**, **უკარო**.

სამ.,ახ. ქართ., დიალექტ **I.1. უბარი** უზრახი – საბა. ამჟამად მას მეცნიერნი არსად არა ჰყავს *უბარი* (არჩ. 183,33, 2). უბარ-: უბრება: არ ბაგენი *აუბარბ* (ვეფხ. 163, 3).

**უბარი** ვინც არ ელაპარაკება ვისმე; მომდურავი, უმძრახი. **უბრად** ზმნს. დალაპარაკების გარეშე; უმძრახად. **ღ უბრად არიან** ერთმანეთზე ნაწყენი არიან, ერთმანეთს ემდურებიან, არ ელაპარაკებიან. **ღ უბარი წყალი** ძვ. ეთნ. რაიმე რელიგიურ წეს-ჩვეულებასთან დაკავშირებით დილას სიტყვის უთქმელად აღებული წყალი – ქეგლი. **უბარი** მომდურავი (მთელ ზემო იმერეთში იხმარება). ჩვენე სამძღვარზე ლაპარაკი ქვეონდა, თითქმის *უბარი* ვიყავით (ხიდარი); ხუთი თვე არი, მათიკო და თინაი უბრებია (წაქვა, ზ.-იმერ. ძოწ.). აგრეთვე (გურ.შარამ.). **უუბარი** უთქმელია (ფშ. გოგატ.). **2.უბარი** 1. ცუდი, უვარგისი. 2. გამოუყენებელი, დაუმუშავებელი. „უბარი *სიტყუები* ბევრი ვიცით, მარა არ გებნევით“ (ინ., ჩვენ.ფუტკ.). **უბარი** ცუდი; არასასიამოვნო, მიუღებელი, დაუმშავებელი. „*უბარი* საქმე დემემართა შენ გიგიმქდავ-

ნებ, და, თევზე უნდა ვქნა“ (აჭარ. ნიჟ.). ს.-ქართვ. \*ბან- | \*ბარ- „ვიცი, თქმა“ → ქართ. უ-ბან- → | უ-ბნ-, უ-ბარ- | უ-ბრ- : სვან. ნა-ბ,,ნ | ნა-ბან, მ-ბან- | ← ნ-ბან- | ნა-ბნ- (ჩუხუა 2000-2003).

დიალექტ. **II. უბარი** 1. მიწა ჭურის თავზე დაგლესილი აყა-ლოს შემდეგ დაყრილი ფხვიერი მიწა. ჭურს დააყარე *უბარი* მიწა (ხვაშითი, ზ.- იმერ. ძოწ.). „*უბარი* ადგილები ბითევი გავტეხეთ და ყავალი დავარგეთ“ (თ. ქ., ჩვენ. ფუტკ.). 2. უვარგისი (ადგილი). „სათიბების ფართობი სოფლის ახლო-მახლო შესამჩნევად იზღუდებოდა და ფაქტიურად უვარგისი... *უბარი* ადგილები ეთმობოდა“ (ვ. შამ., აჭარ. ნიჟ.). უ-ბარ-ი: უ-პრეფიქსი. ბარ-ძირი; მეგრულადთოხს „ბერგი“ ეწოდება. ეს ტერმინი ჭანურშიც არსებობს და „ბერგი“-სავე (არქაბ., ვიწ. ხოფ.) და „ბერჯი“-ს სახითაა დაცული. იქ ეს სიტყვა ვიწრო, წვეტიან რკინის თოხსაც ჰნიშნავს, რომელიც მიწას ღრმად არ სთოხნის, დაცულსაც... შესაძლებელია, „ბარგი“-საგან იყოს წარმომდგარი მიწის სათხრელი იარაღის სათხრელი „ბარიც“ („გ“-ს გაქრობით, როგორც „მორგვისაგან წარმოსდგა „მორი“, კარგისაგან – „კაი“ და სხვ. იხ. სქ. 2 (ჯავახიშვილი 1930 : 212, 213). წარმომავლობა უცნობია. შესაძლოა ბარი ნასესხები იყოს ზანურიდან (შდრ. ბარუა „ბარვა“), ხოლო ქართული შესატყვისი – \*ბერი“ ან \*ბელი – დაკარგული იყოს. იგი შემონახული ჩანს ფალაური ან. ახ. სპარსული be1 („ბარი“) სიტყვის სახით, რომელსაც ინდოევროპული ეტიმოლოგია არ ეძებნება და ქართულიდან ჩანს ნასესხები (გიგინეიშვილი 2016).

აღდგენილია ს.-ქართვ. \*ბარ – „ბარი, ბარვა“. მ. ჩუხუას აზრით, საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს (ჩუხუა 2017).

საშ. ქართ. **III. უბარი** უტოლო, უცალო, უმაგალითო, უბარობა უტოლობა – დ. ჩუბ.

შდრ. **უებარი** რის თანაბარიც არ იპოვება, განსაკუთრებით კარგი, საუკეთესო რამ: 1. ძალიან კარგად მოქმედი, განმკურნავი წამალი (ლოცვა...). || ფიგურ. შრომა ყველაზე *უებარი* წამალი აღმოჩნდა ბააკას დარდის გასაქარვებლად (რ. გვეტ.). 2. იგივეა, რაც უებრო, რომელსაც მსგავსი არა ჰყავს, ვისაც ტოლი არა ჰყავს – ქეგლი.

### **უვადო:**

საშ., ახ. ქართ. **I. უვადო** უპაემნო – დ. ჩუბ. ვადის არმქონე, – დროის მხრივ განუსაზღვრელი. || სამუდამო. **უვადო** პასპორტი. –

ზოგ მათგანს ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ უვადო კატორღით შეეცვალათ (ი. გედევ.). შდრ. ვადა[არაბ. ვა'და-დაპირება; დრო] დროის განსაზღვრული მონაკვეთი – ქეგლი. ვადა [არაბ.-თურქ. vaat] ვადა ზან. (ლაზ. თანდ.).

საშ. ქართ. **II. უვადო:** უვადო ხმალი ჩერქეზული ხმალი – დ. ჩუბ. შდრ. ვადა ხმლის ჯვარედი – საბა.

### **უსახელო:**

ძვ., ახ. ქართ. დიალექტ. **I. უსახელო:** -შენ ხარ... უსახელოდ საღებავი [Ath.=79 54v,13-14]; უსახელოდ აქებს ოდენ [ler.= 9, 76,28a] – ზ. სარჯ. **უსახელო**1. ვისაც ან რასაც სახელი არა აქვს. ცრემლდაუფრელს მე ცრემლს გაყრი, *უსახელო* ქართლის დედა! (გ. ლეონ.). 2. გადატ. სახელგატეხილი, სახელშერცხვენილი. აჰა, უმსგავსო თქვენი საქმენი და *უსახელო* ნამოდვანარი (ა. აბაშ.). 2. რაზედაც დამწერის სახელი არ არის აღნიშნული, – ანონიმური. აღარ ვაპირებდი აღარსად წასვლას, რომ *უსახელო* ბარათი მომივიდა (აკაკი). 3. ანატ. მეჩხის ძვალი. *უსახელო* ანუ მეჩხის ძვალი წარმოადგენს რთულ ძვალს («პლასტიკ. ანატ.»). 4. (იმერ.). იხმარება გველის აღსანიშნავად. ♦ **უსახელო თითი** იხ. არათითი. მარჯვენა ხელის *უსახელო თითზე* აქვს... ვერცხლის ბეჭედი (ნ. ლორთქ.). **უსახელოდ** ზმნს. სახელმოუხვეჭლად; ცუდუბრალოდ; სამარცხვინოდ. მშვიდობით... გამარჯვებულ გაბრიელ!.. ვნანობ, რომ ესე *უსახელოდ* მოგვეკვლივინე!.. (ილია). შდრ. სახელი სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ვისმე ან რასმე; რაც ჰქვია, რასაც უწოდებენ ვისმე ან რასმე, – სახელწოდება – ქეგლი. 1. სახელისათვის გ. კლიმოვმა აღადგინა საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა \*ძ,ახ- და \*ძ,ახე-არქეტიპები (ფენრიხი, სარჯველაძე 2000). 2. სიტყვა სახელი- ნაწარმოები უნდა იყოს არა ძახ- ძირზე -ელ სუფიქსის დართვით, არამედ სა-და-ელ აფიქსებით, მისი ამოსავალი ძირი კი უნდა იყოს არა ძახ, არამედ ხმიანობის გამომხატველი ხ- ძირი, რომელიც დასტურდება ხ-ევ-ა მახი-ობელ- მე-ხ-ურ და მე-ხ-ელ ფორმებში (კობაიძე 2014: 46).

ახ. ქართ. **II. უსახელო** რასაც სახელოები არა აქვს. უსახელო კაბა. – წიწმატა უსიამოვნოდ იჩმუჩნება მხრებში და ხმელ *უსახელო* ტყავის კალთებს აფხაკუნებს (ვაჟა). [მაკარს] *უსახელო* ბადე-პერანგი

აცვია, გული მოღვლილი აქვს (ს. კლდ.). შდრ. **სახელო** ტანსაცმლის ნაწილი, რომელიც ხელს, მკლავს ფარავს მთლიანად (მაჯამდე) ან ნაწილობრივ – ქეგლი.ძვ., საშ.,ახ. ქართულში აღნიშნული მნიშვნელობით დასტურდება საჯელი. აღდგენილია არქეტიპი \*კელ- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

### **უტარო:**

ახ. ქართ. **I. უტარო** რასაც ტარი არა აქვს. უსწავლელი კაცი *უტარო* ცულია და *უტარო* ცულით არა გაკეთდება-რა (დ. მაჩხ.). [მარგალიტას] ხელში... *უტარო* ბარი ეჭირა (ი. მაჭავ. თარგმ.). უტარე უტარო ზან.(მეგრ. ქობ.). შდრ. **ტარი** (საფ DE.; კოთ DE.) ქალთ თითისტარი (+ 13, 19 იგავი ZAA); ტარად უწოდენ დანისა (ტანისა ZAA), ხანჯლისა და ხიშტის კოტასა; (+ მსოფლიონი A) ტარად უწოდენ (+ მსოფლიონი Z) შუბთა, ცელთა და მისთანათა – საზა. **ტარი** 1 ხელში სახმარი რაიმე იარაღის (თოხის, ხმლისა და მისთ., აგრეთვე დროშის...) სახელური, – ბუნი – ქეგლი.

ახ. ქართ. **II. უტარო** ტარას მოკლებული, – შეუფუთავი (საქონელი). უტაროდ ზმნს. ტარის გარეშე, – შეუფუთავად. შდრ. **ტარა** [იტალ. tara, არაბ. ტარჰა-დან «რაც გადაადებულია»] საქონლის მოათავსებელი ჭურჭელი ან შესაფუთავი მასალა – ქეგლი.

### **უჩინო:**

ახ. ქართ. **I. უჩინო** ვისაც ჩინი არა აქვს. ჩვენ *უჩინონი*, ჩვენ უჩინონი თქვენ ჩინიანთა ბუზად გგონივართ (ილია). შდრ. ჩინი [რუს. чин] რევოლუციამდ. სამხედრო პირთა და სამოქალაქო მოხელეთა სამსახურებრივი ხარისხი – ქეგლი.

საშ., ახ. ქართ. **II. უჩინო** 1. ვისაც თვალის ჩინი არა აქვს, – უსინათლო, ბრმა. ერთხელ ერთსა მდიდარსა კარს მიადგა მშიერი, ორივ თვალით *უჩინო*, ჯანმიხდილი, ხნიერი (ი. დავით.). 2. **უჩინო** უჩინარი, გამოუჩინელი. ჩაეხუენა ქურციკი და *უჩინო* იქმნა (ამირანდ. 7, 3). მკვლელს შუა გზაში დაეცა თავში ლოდისა მსგავსი *უჩინო* არსი (ვაჟა). შდრ. ჩინი ხედვის უნარი, მხედველობა (ჩვეულებრივ, თვალსიტყვასთან ერთად. ჩინი ერთ-ერთი იმ ფუძეთაგანია, რომელთა სა-

ფუძველზე საერთო ქართველურისათვის აღდგენილია \*ჩან-/ჩენ-/ჩინ-/ჩნ- არქეტიპები (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

### **უცალო:**

ახ. ქართ. **I. უცალო** ვისაც ცალი, ტოლი არა ჰყავს. უცალოდ ზმნს. ცალის გარეშე. როდესაც *უცალოდ* დავიარებოდი ქვეყნად, მიყვარდა... ამომავალი მზის ცქერა (ი. ეკალ.). შდრ. **ცალი** ორისაგან, წყვილისაგან ერთი ცალი. აღდგენილია არქეტიპი \*ც.ალ-(ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

საშ., ახ. ქართ.**II.უცალო** მოუცლელი ZAB. See also: [ცალ ცლ,ცლევინ] – საბა.

**უცალო** მოუცლელი, დაკავებული, გართული: „უცალო ვიყავ წყობათაგან“ (ოსკ. 11,8). „წრაფამან მონაგებთამან *უცალო* ყო და წარწყმიდა“ (მ. სწ. 322, 34). *უცალო* იყო ხუარაზმელთაგან (ქ. ცხ. II.180,17). *უცალო* ვიყავ, უფრო ღამით დამიწერია, შეუნდოს ცოდვა, ვინც წერის დროს მიგზავნა ღვინო! (გ. ლეონ.). შდრ. მოუცლელი-ი მიმღ. უარყ. ვინც მოცლილი არ არის, – დაკავებული (საქმით). არქეტიპი\*ც.ალ-// ც.ლ-(ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

### **უჯარო:**

დიალექტ. **I. უჯარო** ვისაც ხარი არა ჰყავს; გადატ. ღარიბი. დაცინვა იცოდნენ: „რა *უჯარო* კაცივით ატყედები ხოლმე, დაჩუმიდი!“ (შდრ. ჯარიანი) (ქიზ. მენთ.). შდრ. **ჯარი, ხარი** მამალი შინაური რქიანი ცხოველი, რომელსაც აბამენ უღელში (შდრ. ძროხა) – ქეგლი. აღდგენილია ს.-ქართვ.\*ჯან- (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

დიალექტ. **II. უჯარო** დაცინვით უთოფო მონადირე, მრეკავი, სარეკიდან რომ ნადირს ერეკება სახუნდარისაკენ. სახუნდარში მსხდომარენი ესვრიან და ხოცავენ ნადირს (ქიზ. მენთ.). შდრ. ხარა კუთხ. (ხევს. ფშ.) თოფია ერთგვარი. თოფი წაართვეს ხირიმი, **ხარა** გადუგდეს სხვისაო (ხალხ.) – ქეგლი, ფშ. ხორნ., ხევს. შან.).



## წყაროები

**ილ. ახულ.** – ილია ახულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

**ამირანდ.** – მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსცა ალ. ათანელიშვილმა, თბილისი, 1967.

**არჩ.** – არჩილი, ქართული პოეზია, ტ. 3. ტომი შეადგინა ს. ცაიშვილმა, თბილისი, 1975.

**გ. ბერ.** – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, СПб., 1912; თბილისი, 1986.

**ბეს.** – ბესიკი, თხზულებანი, ალ. ბარამიძისადავ. თოფურის-რედაქციით, თბილისი, 1962.

**დ. გურამ.** – დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. კრებული შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ს. ცაიშვილმა, ლექსიკონი შედგენილია ივ. გიგინეიშვილის მიერ, თბილისი, 1980.

**გურ. ტულ.** – ზ. ტულუში, ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკა გურულში. – დიალექტოლოგიური კრებული, თბილისი, 1987.

**ეტლ.** – ეტლთა და შვდთა მნათობთათვს, გამოსცა ავ. შანიძემ, თბილისი, 1975.

**ვეფხ.** – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1966. ზან. (ლაზ. თანდ.).

**ვისრ.** – ვისრამიანი, გამოსცესალ. გვახარამდამავ. თოდუამ, თბილისი, 1962.

**ზ.-იმერ. ძოწ.** – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერულილექსიკონი, თბილისი, 1974.

**თეიმ. I** – თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, 1934.

**თუშ. ცოც.** – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი, 2002.

**თუშ. ხუბ.** – პ. ხუბუტია, თუშურიკილო, თბილისი, 1968.

**იმერ. ქავთ.** – ივ. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის. – „ქართველურენათასტრუქტურის საკითხები“, თბილისი, III, 1963; IV, 1974.

**იმერ. ქავთ.** – ივ. ქავთარაძე, იმერული ლექსიკონის მასალები. – იკვ, XXV, თბილისი, 1986.

**ინგ. როსტ.** – ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბილისი, 1978.

**ინგ. ღამბ.** – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური ცილოს-ლექსიკონი, თბილისი, 1988.

**მეგრ. ელ.** – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), მარტვილი – თბილისი, 1997.

**მთ. კაიშ.** – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბილისი, 1967.

**მრეწ.** – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი

ხელოსნობის ისტორიისათვის აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით: 1976 – 1989, ტ. I, 1976 (ქართლ. მტკრ. სამხ.; ქვ.-იმერ.); ტ. IV, ნაწ. III, 1989წ. (მთ; ზ. ქართ., შ.-კახ., ჯავახ.).

**მოხ.** – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.

**ოკრიბ. მოწ.** – ქ. მოწენიძე, მასალები ოკრიბული ლექსიკონისათვის (დანართი). – იხ. ზ. – იმერ.

**რაჭ. კობახ.** – რაჭული დიალექტის ლექსიკონი, შემდგენელი ალ. კობახიძე, თბილისი, 1987

**რუსუდ.** – რუსუდან იანი, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.

**საბა** – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ორ წიგნად. წიგნი I, თბილისი, 1966; თხზულებანი, ტ. II, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1966.

**სამ.IV.** – ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ თბილისი, 1972.

**ი. ტვილ.** – ი. ტვილელი. – ქართული მწერლობა, ტ. 5, შემდგენ.: ა. ბაქრაძე, თვარაძე, თბილისი, 1989.

**ფანასკ.** – . ზაზა ფანასკერტელი, “სამკურნალო წიგნი - კარაბადინი”; გამომცემლები: ი. აბულაძე, კ. გრიგოლია; მ. სააკაშვილის რედაქტორობით; თბილისი, 1950 .

**ფშ. გოგატ.** – გუბაზ გოგატიშვილი, ფშაური ლექსიკა, I, თბილისი, 2006.

**ფშ. ხორნ.** – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

**ქ. ცხ.** – ქართლის ცხოვრება, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. II, თბილისი, 1959.

**ქართლ. ლექსიკ.** – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი, 1981.

**ქართლ. მესხ.** – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები) თბილისი, 2006.

**ქიზ. მენტ.** – სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943.

**აღ. ღღ.** – ქართულ კილო-თქმათა სიტყვისკონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, თბილისი, 1984.

**შ3ნ.** – შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები I, ი. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1916; შაჰნამე ტ. II, ისტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, კ. ინგოროყვას კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით: კომენტარებით და ლექსიკონით, ტფ., 1934;

**ა.შან.** – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტტომად, ტ. I, ქართული კილოები მთაში, თბილისი, 1984.

**ფშ. ხორნ.** – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

**ხევს. ჭინჭ.** – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005.

**ქ. ცხ. II.** – ქართლის ცხოვრება, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, ტ. II, 1959;

**ქეგლ**– ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

**ქეგლ. ახ. რედ.** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I, II, III, მთავარი რედაქტორი – ავთანდილ არა-

ბული, თბილისი, 2008, 2010, 2015.

**დ. ჩუბ.** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთოა. შანიძემ, თბილისი, 1984.

**ჯავახ. ზედგ.** – გ. ზედგენიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბილისი, 2014.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**აბულაძე 1916** – იუსტ. აბულაძე, შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები I, ი. აბულაძის გამოცემა, თბილისი.

**ანდრონიკაშვილი 1966** – მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი.

**ანდრონიკაშვილი 1996** – მზია ანდრონიკაშვილი, მასალები ქართული ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, ტ. II, ნაწ. I თბილისი.

**გიგინეიშვილი 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, (ა-მ), თბილისი.

**ერთელიშვილი 1970** – ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი.

**იმედაძე 2014** – ს.იმედაძე, არაბული წარმოშობის ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონ ქართულში“, დისერტაცია, ქუთაისი (ელექტ.).

**კობაიძე 2014** – მ. კობაიძე, აღქმის სხვადასხვა მოდალობის გამომხატველი ხ-ძირის შემცველი ზოგი ფუძე ქართულში, „ეტიმოლოგიური ძიებანი“, XI, თბილისი.

**კობიძე 1983** – დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, I, თბილისი.

**ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

**ქავთარაძე 1954** – ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი.

**ქურდიანი 2010** – მ. ქურდიანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები, ა. არაბულის რედაქციითა და წინასი-

ტყვაობით, თბილისი.

**ჩუხუა 2017** – მ. ჩუხუა, ქართულ–ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი

**წერეთელი 1951** – კ. წერეთელი, სემიტური q-ს გადმოცემისათვის ქართულში. – მაცნე №2, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი.

**ჭუმბურიძე 1987** – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბილისი.

**ჯავახიშვილი 1986** – ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. V.

NINELI CHOKHONELIDZE

### On the History of Some Derived Homonyms

#### Summary

The paper presents the history of homonymous pairs attested in Georgian and derived under historically different conditions, the stems of which are semantically different but phonetically similar while affixes are both semantically and phonetically same. They are as follows:

1. **-ian**: *aryiani, braziani, burakhiani, bushiani, zariani, kiloiani, dzariani*;

2. **me – e** : *mevale, mezare, mezvere, mejore* ;

3. **na - ar-** : *nagabari* ;

4. **sa – e, sa - o** : *sazare, saghore, sadaro* ;

5. **-u, u – o** : *uvado, usaxelo, utaro, ucalo, uchino, uqaro*.

**ზოგი კველქართულისეული სიტყვის ისტორიისათვის**

(1. ხიობა // ხიოზა; 2. ვურთი // სურღი; 3. სნეპვა)

**ხიობა // ხიოზა:**

